ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

4 მაისი **ოთხშაბათი** 2011
№ 102 (13399) ფასი 60 თეთრი



↳12

## 1:0

**ფაჩულიამ ნახევარფინალი მოგებით გახსნა**

ქორებმა ჩიკაგოში ხარები დაკორტნეს

ეროვნული ბიბლიოთეკა




# მწვანეში ჩაფლულ ქართულ ფეხბურთს მხარზე ეშმაკი აზის

↳2-3



## ძოძუაშვილი: მე?



## ქეცბაია: თქვენ!

## ვაითუ, ცხრილი გაგვეცხრილოს...

**უეფა: თქვენს თახსირებს დროზე მიხედეთ და დასასჯელიც დროზე დასაჯეთ. ველით პასუხს!**

## ბარსა ფინალშია და მანჩესტერს ელის



↳9

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სად იყავით 20 წელი?



რევაზ ძოძუაშვილი



მარცხნიდან: ლადო ვარძელაშვილი, ზვიად სიჭინავა, ალექსანდრე ჩივაძე



## ძოძუაშვილის სოლორეიდი: შემტევ მწვრთნელს ორი-სამი კაცი იჭერდა

### ჩვენს ჩაწყობილ სამს უეფამ თავისი სამიც მიუწყო და პასუხს ითხოვს

კუდ-ის მიერ ტოტალიზატორებთან კორუფციულ გარიგებებში მონაწილე მოთამაშეთა გამოვლენა მიწისძვრა იყო, რასაც ლამის დამანგრეველი ცუნამი მოჰყვა.

ცუნამის გარდა სხვა არაფერი ითქმის, რაც გუშინ მოხდა: სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლები შეიკრიბნენ. უნდა ემსჯელათ საქართველოს ჩემპიონატში გარიგებებზე. ანონსირებულიც იყო, რომ შეხვედრის მონაწილეები "ერთიან პოზიციას დააფიქსირებდნენ".''

თუმცა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მსჯელობასა და ერთიანი პოზიციის დაფიქსირებას ვინ ჩივის, შეკრება ისე დაძაბულად წარიმართა, უეფას მიერ გამოვლენილი მორიგი უმძიმესი ბრალდებებიც კი გადაფარა.

შეხვედრის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ, ოლონდ დეტალურად იხილეს კუდ-ის ფარული ჩანაწერები, სადაც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მატჩების ჩაწყობაზე "ჭუკჭუკებდნენ".

ამის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** მორიგი სკანდალური მასალები ამოატივტივა:

- უეფადან გამოგზავნილი წერილიდან ცნობილი გახდა, რომ ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების კიდევ სამი მატჩი ცნეს საეჭვოდ და გვთხოვეს, ყურადღება მივაქციოთ. ლაპარაკია 2010 წლის 21 ნოემბერს "ვიტ ჯორჯიასა" და ცხინვალის "სპარტაკს" შორის გამართულ შეხვედრაზე (0:1), მეორე ,1-ელ დეკემბერს იმავე გუნდებს შორის თასზე "ვიტ ჯორჯიას" გამარჯვებით დასრულდა (2:1). ასევე საეჭვოდ ჩათვალეს 12 თებერვალს ჩემპიონატის მატჩი ფოთის "კოლხეთსა" და "სამტრედიას" შორის (2:1)). "ვიტ ჯორჯიასა" და "სპარტაკის" სათასო შეხვედრის შედეგიც კი წინასწარ იყო განსაზღვრული.

უეფას წერილში იყო დეტალური ამონაწერი აზიური ტოტალიზატორებიდან, ამ შეხვედრებში რომელ წუთზე რა ცოცხალი ფსონი იდებოდა. ჩვენ საკითხი უნდა გამოვიძიოთ და უმოკლეს ვადაში უეფას პასუხი გავცეთ, რა მოხდა. ჩვენთვისაც ცნობილი იყო რაღაც, მაგრამ, ცხადია, მოთამაშეთა დაკავებამდე ასეთ დეტალებს არ ვფლობდით. ისე, ამერიკელები "ოსკარით" ალ პაჩინოსა და რობერტ დე ნიროს რომ აჯილდოებენ, ჩვენ ეს პრიზი როინ ონიანს უნდა გადავცეთ. არ მეგონა, ასეთი მსახიობი თუ იყო.

ჩვენი სურვილია, დღეს სატკივარზე ვილაპარაკოთ, სად მივდივართ და რა ვქნათ.

**არჩილ არველაძე**: - მატჩებს ყველგან აწყობენ, მაგრამ მომხდარის გამო მრცხვენია. ჩვენი ფეხბურთის სახელს უნდა გავუფრთხილდეთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ, ზოგი უნდა მოიკვეთოს, ახალგაზრდებს კი გამოსწორების საშუალება მივცეთ. ზოგს ეს გამოუცდელობითა და უტვინობით მოუვიდა.

ვეტერან ფეხბურთელთა შეკრება ხმაურიან დაპირისპირებაში **რევაზ ძოძუაშვილის** გამოსვლის შემდეგ გადაიზარდა:

- ფეხბურთს ცნობილი ვეტერანები სწორედ მათ ჩამოგვაშორეს, ვინც ეს სენი დანერგა. აქ ჩუმად არიან ისინი, ვისაც სიტყვა ეთქმის. მაინცდამაინც ფიფამ და უეფამ უნდა გვითხრას, რომ მივხვდეთ? ეს მწვრთნელს არ უნდა ეპარებოდეს, მაგრამ ყველამ ვიცით, მათზე ლიცენზიას ვინ გასცემს. მიუშვით სადავეებთან ფეხბურთელები, მსაჯები, მწვრთნელები და აღარ იქნება ეს პრობლემები. ვინ არის ამ სცენარის დამწერი? ჩვენ გარდა საქმის გამკეთებელი ვინ არის?

ერთხელ ფეხბურთელი, რომელიც ფორმაში არ იყო, იაკუშინმა ძირითადში დააყენა. სთხოვეს, შევცვალოთო და იუარა, უნდა იწვალოსო. ჩვენ, ძველი ფეხბურთელები რომ ჩამოგვიშორეთ, იმიტომაც გვაქვს საქმე კარგად, ჰოდა, ახლა ღირსები ხართ და უნდა იწვალოთ. თქვენც უნდა მიხვდეთ, დიდი ფეხბურთი ცოდნით, პროფესიონალიზმით, გამოცდილებით, მხოლოდ დიდი ფეხბურთელებიდან მოდის.

ლაპარაკისას ძოძუაშვილმა ხელი გაიშვირა იქით, სადაც ისხდნენ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი**, ფედერაციის გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე**, ვიცე-პრეზიდენტები **ალექსანდრე ჩივაძე, გია ფირცხალავა** და საპატიო ვიცე-პრეზიდენტი **მურთაზ ხურცილავა**.

ზვიად სიჭინავა: - ვინ, ამათ უნდა იწვალონ? ჩივაძე არ იყო დიდი ფეხბურთელი, ხურცილავა თუ ქეცბაია?

ლადო ვარძელაშვილი: - ეტყობა, ჩემზეა ლაპარაკი.

ძოძუაშვილი: - ჩემნაირი ბევრი გყავს, ხურცილავასა და ჩივაძეს რომ ამბობთ, ძოძუაშვილი რატომ არ დაიყენეთ გვერდით? ჰოდა, იწვალეთ, ღირსები ხართ. (სიჭინავას) შენ აქ სხვა რამეზე ხარ მოსული, იმას ვგულისხმობ, ვინც დუროვის ცირკში მუშაობდა.

ძოძუაშვილის აგდებულმა ტონმა სიჭინავა აალელვა: - მე იქაც პროფესიონალი ვიყავი და აქაც. შენ ცოტა ჭკვიანურად ილაპარაკე, ნუ "ბლატაობ".

მათ შორის ხალხი რომ არ ჩამდგარიყო, ვინ იცის...

ვარძელაშვილი: - აქ იმის გასარკვევად არ მოვსულვართ, სად იმუშავებს ძოძუაშვილი. ქართული ფეხბურთის სატკივარი უნდა განვიხილოთ.

ძოძუაშვილს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია** შეეპასუხა:

- მე გავცემ ძოძუაშვილს პასუხს. ეს ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი არავის სჭირდება. 20 წელია ხმა არ ამოგიღიათ, ვისაც დიდი ფეხბურთი გითამაშიათ და ქართულ ფეხბურთს ამიტომ ეტირა დედა. მხოლოდ ახლა ამოიღეთ ხმა, როცა საქმე გაფუჭდა. ფეხბურთს მოედნები და უამრავი სტადიონი რომ წაართვეს, სად იმალებოდით? იყავით სადღაც მიყუჟულები და ელოდებოდით, როდის რა მოხდებოდა. ასე სადაა, ძმაო...

ქეცბაიას **ვახტანგ კოპალეიშვილი** და **გოჩა მაჩაიძე** არ დაეთანხმნენ, სხვა ვეტერანი ფეხბურთელებიც შეეპასუხნენ.

დარბაზში ვითარება უკიდურესად დაიძაბა და ფედერაციის ხელმძღვანელთა მოთხოვნით შეკრება ჟურნალისტებისთვის დაიხურა. თუმცა შევიტყვეთ, რომ დუღილის ტემპერატურა არ დაცემულა. დახურულ დარბაზში მდგომარეობა ისევ ძოძუაშვილის მონაწილეობით დაიმუხტა, რომელიც ამჯერად არჩილ არველაძეს ეკვეთა.

გულდასაწყვეტი იყო, ჩხუბის ხმები გამოდიოდა დარბაზიდან, სადაც თითოეული ჩვენგანისთვის სათაყვანო ადამიანები ფეხბურთზე სალაპარაკოდ შეიკრიბნენ, სინამდვილეში კი ჩხუბამდე ცოტა დააკლდათ. თუმცა, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ვფიქრობ, საფეხბურთო სამყაროს ასეთი ემოციური და გულახდილი ლაპარაკი სჭირდებოდა. ვითომ აკადემიურ, სინამდვილეში კი ფუჭ, არაფრისმომცემ, ფარისევლურ ლაპარაკსა და წაყრუებას შედეგი არასოდეს მოუტანია.

საბოლოოდ, შეხვედრაზე მედია მაინც დაუშვეს, მაგრამ ამ დროისთვის ვნებები ჩაცმხრალიყო. ვითარება ლადო ვარძელაშვილმა განმუხტა, რომელმაც პირობა დადო, რომ სახელმწიფო და ფეხბურთის ფედერაცია გამოვლენილ შემთხვევებთან დაკავშირებით უმკაცრეს ზომებს მიიღებენ.

სიჭინავას თქმით კი, უახლოეს დღეებში უეფას მოთხოვნებისა და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით ფედერაცია კონკრეტულ ვერდიქტს გამოიტანს.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია



# მოქმედი პირნი და შემსრულებელნი: რომელი ერთი და როდიდან...

# თაობა მიდის, თაობა მოდის, ქართულ ფეხბურთს კი მხარზე ისევ ეშმაკი აზის

*"საქართველოს ჩემპიონატში ჩაწყობილი თამაშები ყოველთვის იყო და ახლაც არის, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩემი გუნდი ამ სიბინძურეში არ მონაწილეობს"*, - "ლელო" უმაღლესი ლიგის გუნდების მთავარ მწვრთნელებს გარიგებული მატჩების თაობაზე 2007 წელს დაეკითხა და თითოეული მათგანისგან დაახლოებით ამგვარი პასუხი მიიღო.

ბუნებრივია, მათ ასეთი პასუხი ჰაერიდან არ მოუტანიათ. უხერხულ თემებზე კონკრეტულად ლაპარაკს კი ქართულ საფეხბურთო სამყაროში თითქმის ყველა ერიდება, ზოგადად კი, იცოცხლე, არავინ დაგზარდება ბრტყელ-ბრტყელ კომენტარებს. საქართველოს ჩემპიონატში გამეფებულ საძაგლობებზე მწვრთნელებსა თუ ფეხბურთელებს ჟურნალისტებზე გაცილებით მეტი ინფორმაცია აქვთ, მაგრამ კონკრეტულ დამნაშავეებს არასდროს არავინ ასახელებს – ზოგი აუტკივარ თავს არ იტკივებს, ზოგსაც კი იმის ეშინია, რომ მასაც არ გაუხსენონ ცოდვები.

ჟურნალისტებს მკითხველი ხშირად გვსაყვედურობს, რატომ არ წერთ ქართული ფეხბურთის ამა თუ იმ მანკიერებაზეო, გამსაკუთრებით ხშირად კი ქომაგი ინტერნეტფორუმებიდან გვთხოვს ეროვნული ჩემპიონატის საეჭვო მატჩებზე აზრის გამოთქმას. გვერწმუნეთ, დიდი სურვილი გვაქვს, ვამხილოთ ის ხალხი, ვინც ისედაც გაჭირვებულ და წაქცეულ ქართულ ფეხბურთს წიხლებს აზელს, მაგრამ ფაქტების გარეშე დარწმუნებით ვერაფერს ვამბობთ და უნიჭოდ დადგმული ამა თუ იმ მატჩის შესახებ მხოლოდ ეჭვებს გამოვთქვამთ, ამ თამაშების მონაწილეებს კი პროტესტს მხოლოდ "ლელოს" სიმბოლური ნაკრების მილმა დატოვებით ვუცხადებთ.

არადა, სიტუაცია ბევრჯერ იყო იმ დონეზე მომწიფებული, რომ კონკრეტული ბრალდებულებიც გამოაშკარავებულიყვნენ, მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯი არ გადადგმულა. სიტუაციას "ცუდი სუნი" მოედანზე ხომ არაერთხელ უდიოდა და ზოგჯერ კლუბების წარმომადგენელთა ხმაურიანი, ოლონდ უადრესატო განცხადებებიც ხვდებოდა პრესის ფურცლებზეც. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, შეთანხმებულ მხარეებს შორის საქმეები პირდაპირ სტადიონზეც გარჩეულა...

ბევრი ასეთი შემთხვევის გახსენება შეგვიძლია. ასე, მაგალითად: მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელმა განაცხადა, რომ მეტოქის ფეხბურთელები მის მოთამაშეებს დაუკავშირდნენ და თამაშის გაყიდვის სანაცვლოდ თანხა შესთავაზეს, კონკრეტული "მოქმედი პირების" დასახელება კი არ ისურვა; ერთი კლუბის პრეზიდენტს კი ნამატჩევს საკუთარმა და მეტოქის ფეხბურთელებმა ერთდროულად შეუტიეს: თავისიანებმა - ვიცოდით დღევანდელი თამაშის დასათმობად ფული რომ აიღე და რაკი წილში არ გაგვიყვანე, იმიტომაც მოვიგეთო, მეტოქემ კი, რომელმაც "ნაყიდი" თამაშის ვერმოგებით ევროსაგზური დაკარგა, იქვე მოითხოვა ფულის დაბრუნება.

თამაშების ყიდვა-გაყიდვა ქართული ფეხბურთის ძველი სენია, ამას კი ბოლო წლებში ტოტალიზატორში დადებული ამა თუ იმ სახის ფსონებიც დაემატა. ახლანდელი სკანდალი, როგორც იცით, სწორედ მეორე სახის მაქინაციებს ეხება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ექსპრეზიდენტმა, უმცროსმა **ნოდარ ახალკაცმა** თავის დროზე განაცხადა, რომ ჩვენი ჩემპიონატის ჩაწყობილი მატჩების შესახებ მასალები მალე იხილავდა დღის სინათლეს, მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა და სფფ-ს ამ თემაზე საჯაროდ აღარ უმსჯელია.

გუშინწინ კი ქართული ფეხბურთისთვის უპრეცედენტო მოვლენა მოხდა და როგორც იქნა, სამართალდამცავმა ორგანოებმა კონკრეტული დამნაშავეები გამოავლინეს. **ბექვაია, ონიანი, გაბედავა, გოგია** და **კირთაძე** დაპატიმრებას კი გადაურჩნენ, მაგრამ ამჟამინდელ კლუბებსაც დაემშვიდობებიან და დიდი ალბათობაა, მათი საფეხბურთო კარიერაც დასრულდეს. ეს მათთვის დიდი სასჯელია, მაგრამ სხვა საქმეა, რომ საფეხბურთო მაქინაციებს აქამდეც არაერთი "გმირი" ჰყოლია, რომელთაგანაც ბევრის ვინაობა საფეხბურთო წრეებში კარგადაა ცნობილი, ზოგის საფეხბურთო კარიერა ახლაც გრძელდება, მაგრამ იმის გამო, რომ ამ ხუთეულზე მეტად გაუმართლათ და ფარული კამერების მსხვერპლნი არ გახდნენ, დაუმსახურებლად ჰქვიათ ფეხბურთელი, დაუმსახურებლად იღებენ ხელფას-პრემიებს და, რაც მთავარია, დაუმსახურებლად არიან მისაბაძი მაგალითები მომავალი ფეხბურთელებისთვის.

უტყუარი ფაქტები მხოლოდ სამართალდამცავთა ხელშია და ხელალებით რაიმეს მტკიცება ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ ისევ და ისევ გამოქვეყნებული ფარული ჩანაწერებიდან ჩნდება სერიოზული ეჭვი, რომ კონკრეტულად ამ ბინძურ საქმეში მხოლოდ ეს ფეხბურთელები არ მონაწილეობენ.

ფარული ჩანაწერების სტენოგრამას "ლელოს" გუშინდელ ნომერში გაეცნობოდით, ახლა კი მის საინტერესო და ყურადსაღებ მონაკვეთებს გადავხედოთ, რომლებსაც დროისა და საგაზეთო ფართობის სიმცირის გამო გუშინ ველარ მივდიეთ. უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, არ დავასახელებთ იმ ფეხბურთელების ვინაობას, რომლებიც ამა თუ იმ საეჭვო ეპიზოდში მონაწილეობენ.

მაშ ასე, ვნახოთ, რა მოჰყვა ფეხბურთელთა კონკრეტულ დანაპირებს:

ონიანი – მე-10 წამზეც იქნება "ზამენა" თუ საჭირო იქნება, მაგის პრობლემა არ არის... მე-10 წამზე კი არა, რომ ვხედავდე, რომ ცვლიან, მანამდე შევცვლით ჩვენ თავს, რა პრობლემაა...

**"დინამოსთან" მატჩში პირველი შეცვლა მართლაც "ბაიამ" განახორციელა, მე-14 წუთზე ზუგდიდელთა ფეხბურთელმა მოედანი ტრავმისა თუ ტრავმის მომიზეზებით დატოვა.**

ონიანი – მე გეუბნები, ეგ უეჭველია რასაც ვიტყვი... თუ საჭიროა, ჩვენ თუ ჩავთვლით ხო, რომ გეთქვათ, ჩვენ ორ პენალტსაც ავიკიდებთ, მაგასაც ავილებთ... ჩვენ ეგ შეიძლება პირველ ტაიმში მოვაყომაროთ... მეორე ტაიმში უეჭველი იქნება რა...

**მატჩის მიწურულს "ბაიას" კარში პენალტი დაინიშნა.**

ბექვაია – პირველ ტაიმში შეცვლას გიკეთებ.

**"სიონთან" შეხვედრის მე-14 წუთზე "ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობაში შეცვლა განხორციელდა. მიზეზი აქაც ტრავმაა.**

ბექვაია - პირველ ყვითელს გიკეთებ.

**იმავე მატჩში პირველი გაფრთხილება "ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელმა, უფრო ზუსტად კი თავად ბექვაიამ მიიღო.**

ბექვაია - ჩვენი მეტი აუტი იქნება, სადღაც 15 აუტს ჩავაწვდით... ბოლნისის ხალხს ეცოდინება და გადაყრიან და გადაყრიან.

**"ვიტ ჯორჯია"-"სიონის" მატჩში დაპირებულ 15 აუტზე მეტიც ჩაწოდდა.**

გაბედავა – პენალს გავაკეთებთ...

**"სიონი"-"სამტრედიას" მატჩში სტუმართა მცველმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და დაპირებული პენალტიც დაინიშნა.**

გაბედავა - უკვე ორი კაცი ვართ სტადიონზე... ტრენერი თავისთავად ჩვენია.

**ორ კაცში გოგია და კირთაძე უნდა იგულისხმებოდნენ, და რომელი "ტრენერი"?**

გაბედავა - ეგენი მელოდებიან რო ა პენალი გვინდა... ჰა პენალი და შეცვლა გავაკეთოთ...

**"სამტრედიამ" "პენალიც" აიკიდა და მეტოქეს შეცვლაც დაასწრო.**

ვიმეორებთ, ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ ფაქტია, რომ ფარულ ჩანაწერებში ბევრი საინტერესო ნიუანსია, რომელიც უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ბექვაია ჯერჯერობით...

"ვიტ ჯორჯია" **გიგა ბექვაიას** თაობაზე გუშინ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს. ამბობდნენ, რომ ყოფილი კაპიტანი კლუბმა დაითხოვა, მაგრამ "ვიტ ჯორჯიას" სპორტულმა დირექტორმა **დავით თავართქილაძემ** ფაქტი არ დაგვიდასტურა: *"კლუბი ბექვაიას თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში მიიღებს. ჯერჯერობით იგი არ გაგვითავისუფლებია, მაგრამ და ზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ "ვიტ ჯორჯიას" უახლოესი მატჩები მის გარეშე ჩაივლის".*

**ლევან ჯანეზაშვილი**



გიგა ბექვაია

# ცხინვალის სპარტაკი უარყოფს

ცხინვალის „სპარტაკის" პრესსამსახურმა წუხელ ასეთი ინფორმაცია გაავრცელა: „უეფადან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მოსულ წერილში ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო ჩვენი გუნდის მიერ ჩატარებულ ორ მატჩს საეჭვოდ მიიჩნევს. კერძოდ, 2010 წლის 21 ნოემბერს რუსთავში "ვიტ ჯორჯიასთან" ჩატარებულ ეროვნული ჩემპიონატის მატჩს (0:1) და 2010 წლის 1-ელ დეკემბერს ასევე რუსთავში ჩატარებულ თასის მეოთხედფინალის პირველ მატჩს (2:1).

ინფორმაცია ამ მატჩების საეჭვოდ მიჩნევის შესახებ ჩვენთვის მიულებელია.

მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ამ საქმის გამოძიებაში ჩართულ ნებისმიერ უწყებასთან და ორგანიზაციასთან. ჩვენი საფეხბურთო კლუბი საკუთარ პოზიციას ამ საქმის გამოძიების დასრულების შემდეგ დააფიქსირებს".

ამბები

# ყიფიანი ლიცენზირებას და კლუბს ელის



გიორგი ყიფიანი

ბოლნისის "სიონის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **გიორგი ყიფიანის** გადადგომა ბევრისთვის მოულოდნელი იყო. პირველი წრის ბოლოს ახალგაზრდა მწვრთნელმა გუნდში გაჩერება აღარ ისურვა. ახლა კი გიორგი ისრაელშია და შეთავაზებას ელის.

*"შეიძლება, ისრაელში მუშაობა დავიწყო, მაგრამ შემდეგი სეზონიდან. ამჟამად ისრაელში ვარ და სისტემატურად ვესწრები თელ ავივის "ჰაპოელის" ვარჯიშებს. საქმე ისაა, რომ ამ გუნდის მთავარ მწვრთნელ ელი გუტმანს ძალიან საინტერესო სავარჯიშო ციკლი აქვს და ვფიქრობ, სამომავლოდ საკმაოდ წამადგება. კავშირი კიდევ რამდენიმე კლუბთან მაქვს როგორც უმაღლეს, ასევე პირველ ლიგაში. შეძლებისდაგვარად ვესწრები მათ თამაშებსა და ვარჯიშებს და ვცდილობ, საუკეთესო შევითვისო და მერე ჩემს პრაქტიკაში გამოვიყენო. რა თქმა უნდა, მოუთმენლად ველი საქართველოში A კატეგორიის ლიცენზირების დაწყებას და როგორც კი ეს მოხდება, აუცილებლად ჩამოვალ"* – გვითხრა გიორგი ყიფიანმა.

# რევაზ ბარაბაძე: მთავარი ივნისი და ფიზიკაა

**რევაზ ბარაბაძე** ძალიან განვალდა. ბოლო ორი წელია, 22 წლის თავდამსხმელს გადაბმულად 10 მატჩი არ ჩაუტარებია, ტრავმებმა თამაშისა და ფორმის აღდგენის შანსი არ მისცა. მახაჩყალის "ანჟიდან" წამოსვლის შემდეგ ბელგიაში მკურნალობდა, მერე, გასულ წელს რუსთავის "ოლიმპში" ჩაირიცხა. თუმცა ტრავმამ მალევე შეახსენა თავი და დღემდე მკურნალობს.

*"ხანგრძლივმა მკურნალობამ ფსიქოლოგიურად ძალიან დამღალა. ტრავმა კი მოვირჩინე, მაგრამ ჯერ კუნთი არ მომმაგრებია და ჩვეულებრივი დატვირთვით ვარჯიში არ შეიძლება. ახლა ყოველდღე ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ. ჯერ არც ვიცი, როდის დასრულდება მკურნალობა. ახლა მთავარია, ივნისისთვის, როდესაც ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყება, ფიზიკურად მზად ვიყო"* – ამბობს ბარაბაძე.

**მერაბ მამულაშვილი**



რევაზ ბარაბაძე

# ქართულ ფეხბურთს სერგო კოტრიკაძე აღარ ჰყავს



ქართულმა საფეხბურთო სამყარომ მძიმე დანაკლისი განიცადა.

1964 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გუნდის, თბილისის „დინამოს" ლეგენდარული მეკარე სერგო კოტრიკაძე 3 მაისს, შვედეთის ქალაქ სტოკჰოლმში, გულის შეტევით გარდაიცვალა.

ბატონი სერგო საქართველოს U 15 ნაკრების სამწვრთნელო შტაბის წევრი იყო და გუნდს ლენარტ იოჰანსონის თასი 2011-ის გათამაშებაზე ახლდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

სფფ-ის პრესსამსახური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმერში: არნახული მოტივაცია. ამერში: სხვადასხვა განწყობა...

ქართულ ფეხბურთში განვითარებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა, ლამის არის, ნებისმიერი დონის ტურნირის მნიშვნელობა დააკნინოს. გუშინ, მაგალითად, ჩვენი გაზეთის ტრადიციულ რუბრიკაზე („ტურის მიმოხილვა“) შეგნებულად ვთქვით უარი, — რა მიმოვიხილოთ და ვინ ავირჩიოთ? თანაც, ერთ-ერთი გარიგებული მატჩთაგანი („ვიტ ჯორჯია“-„სიონი“) ხომ სწორედ გასულ ტურში იყო; და როგორ გგონიათ, მხოლოდ ამ ტურსა და კონკრეტულად ამ შეხვედრაზეა გარკვეული ეჭვები? თუმცა ჯერ სადა ვართ, — მოვლენები ისეთი კალეიდოსკოპური ტემპით ვითარდება, რომ მალე, შესაძლოა, მსოფლიო ფეხბურთის მასშტაბების საფეხბურთო სკანდალის მომსწრენიც გავხდეთ; თუმცა, მოდი ამ თემაზე და საერთოდაც, ეჭვსივე საეჭვო მატჩზე (სამი შეხვედრა გუშინწინ გახმაურდა, სამიც გუშინ დაემატა) ხვალ ვისაუბროთ; ახლა კი, დღევანდელი მატჩებიც ვახსენოთ, — ფაქტია, რომ საქართველოს თასის განმეორებითი მატჩები მართლაც „ჩრდილში“ მოექცა. არადა, ქართულ ფეხბურთში „ჩვეულებრივი სიტუაცია“ რომ ყოფილიყო, დღევანდელ მატჩებს ბევრად უფრო დიდ ყურადღებას დავუთმობდით...

## ვიტ ჯორჯია–გაგრა

Bwin: 1.48 3.75 6.00

04.05. თბილისი. შატილი (თემქაზე) 16:30

### პირველი მატჩი: 0:3

არბიტრი: ლ. სილაგავა, ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, ზ. ჯვარიძე; მეოთხე მსაჯი: ლ. კვარაცხელია

LIVE პირდაპირი რეპორტაჟი პირველ არხზე LIVE



პირველ ნახევარფინალში ვეტერინართა კარში ორი გოლი ოვონიკოკომ გაიტანა

საქართველოს თასის 21-წლიან ისტორიაში შარშან პირველად მოხდა, პირველი ლიგის გუნდმა (მარტვილის „მერანი“) ნახევარფინალამდე რომ მიაღწია. წელს იმავე წარმატებას „გაგრამ“ მიაღწია: უკრაინელი სპეციალისტის, **ანატოლი პისკოვეცის** დამოძღვრილმა გუნდმა უკვე ორი სენსაცია მოახდინა და მესამე და მთავარ სენსაციამდეც ბევრი აღარაფერი უკლია. შეგახსენებთ, რომ მეოთხედფინალში „გაგრამ“ თითქმის შეუძლებელი შეძლო და პირველი მატჩის წაგების მიუხედავად, ნახევარფინალის საგზური მოიპოვა. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ „გაგრამ“ თასის იმ ეტაპზე თბილისის „დინამოს“ აჯობა! თუმცა, პირველი ლიგის გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი და უმაღლესში აღზევების რეალური კანდიდატი მხოლოდ ამას არ დასჯერდა და პირველ ნახევარფინალურ მატჩში თასის მოქმედი მფლობელი „ვიტ ჯორჯია“ რომ სოლიდური ანგარიშით, 3:0 დაამარცხა („დუბლი“ **აბაიომი ოვონიკოკომ** შეასრულა, ერთი გოლიც **შალვა კვანტალიანმა** გაიტანა). თანაც, „გაგრას“ დისკვალიფიკაციის გამო ორი წამყვანი ფეხბურთელი, უკრაინელი ლეგიონერები **მიკოლა ნაკონეჩნი** და **ვლადიმირ ორდინსკი** აკლდა, დღეს რომ უკვე გუნდს დაეხმარებიან. მოკლედ, განმეორებითი მატჩის წინ „გაგრას“ სოლიდური ჰანდიკაპი აქვს - სამბურთიანი უპირატესობა პატარა ამბავი ნამდვილად არ არის. თუმცა, „ვიტ ჯორჯიას“ მსგავსი სხვაობა ადრეც აღმოუფხვრია: შარშან, პირველი მეოთხედფინალური მატჩი „ვეტერინარებმა“ 0:3 წააგეს „ზესტაფონთან“, თუმცა განმეორებითი შეხვედრის ძირითად დროში ძლიერი მეტოქის კარში ასევე სამი გოლი გაიტანეს, ერთიც დამატებითში მიაყოლეს და ჯერ ნახევარფინალში გავიდნენ, შემდეგ კი, კლუბის ისტორიაში პირველად დაეუფლნენ საქართველოს თასს.

ისე, „ვიტ ჯორჯიას“ თამაშში ამ ბოლო დროს აშკარად პროგრესი შეიმჩნევა და, ყოველივე ეს, რაღა თქმა უნდა, გუნდის ძველ-ახალი მწვრთნელის, **ზურაბ ბერიძის** დამსახურებაა. საერთოდაც, „ვეტერინართა“ ბოლოდროინდელ თამაშზე, ალბათ, უფრო მეტის თქმაც შეიძლებოდა, მაგრამ ამ გუნდის ირგვლივ განვითარებულმა ბოლოდროინდელმა ამბებმა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ყველაფერი უკანა პლანზე გადასწია. ისე, მართლაც ძნელი სათქმელია, თუ როგორ განწყობაზე იქნებიან დღევანდელ შეხვედრაში „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელები...

## ზესტაფონი–ტორპედო

Bwin: 1.34 4.25 7.75

04.05. ზესტაფონი. დ. აბაშიძე 18:00

### პირველი მატჩი: 0:1

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი. ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, ზ. ფიფია; მეოთხე მსაჯი: გ. ვადაჭკორია

2003 წელს თბილისის „დინამომ“ საქართველოს თასიც მოიპოვა და ჩემპიონატშიც ოქროს მედლებს დაეუფლა; იმის შემდეგ რვა წელიწადი გავიდა და „დუბლის“ შესრულება ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, ამის შანსი „ზესტაფონს“ აქვს: თუ მართლაც რაიმე სასწაული არ მოხდა, **გია გეგუჩაძის** გუნდს ჩემპიონობაში ვერავინ შეეცილება (დარჩენილ ოთხ შეხვედრაში ორი მოგებაც ჰყოფნის); ამას გარდა, „ზესტაფონს“ თასის ფინალში გასვლის იმდენივე შანსი აქვს, რამდენიც დღევანდელ მეტოქე „ტორპედოს“ და, აქედან გამომდინარე, „დუბლის“ შესრულებაც სავსებით რეალურად ხელეწიფება ამ სეზონის უდავოდ საუკეთესო გუნდს. მით უფრო, რომ ბევრი სხვა გუნდისგან განსხვავებით, „ზესტაფონის“ სამწვრთნელო შტაბს ნამდვილად აქვს იმის ფუფუნება, რომ ჩემპიონატსა თუ თასის მატჩებზე ძირითად შემადგენლობაში უმტკივნეულო როტაცია მოახდინონ. თუმცა, ვეჭვობთ, რომ გია გეგუჩაძის საჩემპიონოდ „მომართული“ გუნდი დღევანდელ უპრინციპულეს დაპირისპირებას შედარებით ნაკლებად მოტივირებულად შეხვდნეს: ბოლოს და ბოლოს, „იმერული დერბია“; და, ესეც რომ არ იყოს, „ზესტაფონისა“ და „ტორპედოს“ საამსეზონო დაპირისპირებაში, ბოლოს და ბოლოს, გამარჯვებული ხომ უნდა გამოვლინდეს? შეგახსენებთ, რომ დღევანდელ მატჩამდე „ზესტაფონი“ და „ტორპედო“ ჩემპიონატში ოთხჯერ შეხვდნენ, ერთხელაც თასზე ითამაშეს. ამ ხუთი პაექრობიდან ორი ზესტაფონმა მოიგო, ორი — „ტორპედომ“, ერთი შეხვედრაც ფრედ დამთავრდა (ბურთების სხვაობაც იდენტურია — 3:3). მოკლედ, საინტერესო პაექრობა გველოდება, რომლის პირდაპირი ტელერეპორტაჟი საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ეთერით უნდა გავიდეს. ერთი საინტერესო დეტალიც: როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, „ზესტაფონს“ არცთუ სტუმართმოყვარე დახვედრა ჰქონია პირველ სათასო მატჩში. არადა, იმასაც შეგახსენებთ, რომ ქუთაისში ჩატარებულ პირველ ნახევარფინალურ შეხვედრას 15000 მაყურებელი დაესწრო! ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი სიხარული სუფევდა 19 აპრილს ქუთაისის სტადიონზე, როცა მშობლიურ ქალაქში დაბრუნებული **გიორგი მეგრელაძის** ერთადერთი გოლით „ტორპედომ“ მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა. თანაც, უმაღლეს ლიგაში სამწლიანი პაუზის მერე დაბრუნებული „ტორპედო“ ახლა საერთაშორისო ასპარეზზეც ფიქრობს დაბრუნებას; ოღონდ, **გია გიგატაძის** გუნდს ამისათვის, ფაქტობრივად, ერთადერთი გზა რჩება: თასის აღება! ანუ, „ტორპედომ“: ჯერ ნახევარფინალის ბარიერი უნდა დაძლიოს, მერე კი ფინალშიც გაიმარჯვოს. თუმცა, თეორიულად სხვა ვარიანტიც არსებობს: იმისათვის, რომ „ტორპედომ“ ევროპის ლიგაზე იასპარეზოს, ჩემპიონატი IV ადგილზე უნდა დაასრულოს, ოღონდ „ზესტაფონი“ ჩემპიონი ... ვერ უნდა გახდეს, მაგრამ, თასის ფინალში გაიმარჯვოს; ანუ, მოვლენების ასეთი განვითარება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „ტორპედო“ თასის გათამაშებას გამოეთიშება. თუმცა, ამდენ ვარაუდებს, სჯობს დღევანდელ შეხვედრას დაველოდოთ, ორივე გუნდისთვის უპრინციპულესი რომ უნდა იყოს.

**გია ტუხაშვილი**

## ლეგიონერი



დავით მუჯირი (მარჯვნივ)

# პირველი ქართული გოლი იაპონიაში

იაპონიაში განახლებული ჯეი-ლიგის მეოთხე ტურში “სანფრეჩე ჰირომიმამ” სტუმრად “შიმუცუ ეს-პულსი” 1:0 დაამარცხა და გამარჯვების გოლი **დავით მუჯირის** ანგარიშზეა. 33 წლის ქართველმა ნახევარცველმა თავი მატჩის 70-ე წუთზე გამოიჩინა, როცა მარცხენა ფლანგიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა. ეს ჯეი-ლიგის პირველი ქართული გოლია.

“ჰირომიმა” 8 ქულით მეხუთე ადგილზეა, თუმცა ლიდერ “ვეგალტა სენდაი” ორიოდე ქულით ჩამორჩება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ქალთა ფეხბურთი

# ქველიძე კარლსრუეში, ქართველი ქალები ევროპულ ფეხბურთში

საქართველოს ქალთა საფეხბურთო ნაკრების წევრი ცენტრალური მცველი **თაკო ქველიძე** გერმანიის საფეხბურთო კლუბ „კარლსრუეში“ ისინჯება. გერმანულ კლუბამდე თაკო ქველიძითა და მეკარე **თაკო ნადირაშვილით** სლოვენური „კრკა“ იყო დაინტერესებული. საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის **ნინო სორდიას** განმარტებით გოგონების ტრანსფერი პოლონეთის საელჩომ შეაფერხა.

საქართველოს ქალთა საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი **ქრისტინე შადოვა, ტატა მატვეევა, ხატია ჭყონია** და **კესო გაბელია** (ყაზახეთის ჩემპიონატში 22 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა) - ეს გოგონები თურქეთის ყაზახეთის, გერმანიის და სლოვენიის საფეხბურთო კლუბებში თამაშობენ. თაკო ქველიძის მსგავსად ევროპულ კლუბში ისინჯება საქართველოს ქალთა საფეხბურთო ნაკრების წევრი **ლელა ჭიჭინაძე.**

**თაკო ქველიძე:** *„გერმანულ კლუბში ჩემი გადასვლა საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, დარჩენილია იურიდიული საკითხების მოგვარება. „კარლსრუეს“ წარმომადგენლები ჩემგან სწრაფ აზროვნებას, ბურთთან ხშირ კონტაქტს და თამაშის მსვლელობისას მუდმივ აქტიურობას მოითხოვდნენ. გერმანიაში მოედანზე გასვლა და ფეხბურთის თამაში უდიდესი სიამოვნებაა, რადგან ამ ქვეყანაში ქალთა ფეხბურთი საოცრად არის განვითარებული“.*

**ნინო სორდია:** *„სლოვენიის საელჩო საქართველოში არ არის, ხოლო პოლონეთის საელჩოს გოგონებისთვის ერთწლიანი ვიზის გაცემა არ შეეძლო. თაკო ქველიძის „კარლსრუეში“ ჩარიცხვაში ფედერაცია არ ერევა, თუმცა გერმანულ კლუბში გამგზავრებამდე მას შესაბამისი დახასიათება გავატანეთ. ახლა მთავარია, თაკო ახალ კლუბში დარჩეს და თანაგუნდელებსაც შეეწყოს“.*

**სალომე ხარატიშვილი**



თაკო ქველიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო დღეების თემა

# რა უნდა ფიფას? ანუ პოლი და გოლი

პრემიერლიგის ბოლო ტურში ბევრი საინტერესო რამ მოხდა, რომელთა შორის საზოგადოებას თვალში ყველაზე მეტად მსაჯთა შეცდომები ეცა. გუშინ „არსენალისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეხვედრაში არდანიშნულ პენალტებზე მოგახსენეთ, დღეს კი, ნება მოგვეცით, ერთი დღით უკან დავბრუნდეთ და „ჩელსისა“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ შეხვედრა გავიხსენოთ, რომელიც „ლურჯებმა“ 2:1 მოიგეს, მაგრამ ორივე გოლი წესების დარღვევით გაიტანეს. მეორე გოლი, რომელიც „სფურზის“ კარში **სალომონ კალუმ** შეაგდო, ოფსაიდიდან გავიდა, პირველი დარღვევა კი უფრო საინტერესო იყო: **ფრენკ ლემპარდის** დარტყმული ბურთი მეკარე **გომესმა** ხაზს მიღმა ნაწილობრივ გადაგორებული დაიჭირა. წესების თანახმად კი, გოლი მაშინ ითვლება, როდესაც ბურთი ხაზს მთლიანად გადაკვეთს.

საინტერესოა, რომ ჩათვალა თუ არა მსაჯმა **ანდრე მარინერმა** ლემპარდის გოლი, სოციალურ ქსელებსა და ფორუმებზე მილიონობით ადამიანმა დაწერა, რომ დროა ფეხბურთში ტექნოლოგიები დაინერგოს. ერთი და იმავე ტიპის ამდენი შეცდომის ატანა უკვე შეუძლებელია. გოლი გავიდა თუ არა, ზუსტმა აპარატურამ უნდა გადაწყვიტოს და არა ადამიანმა, რომელიც შესაძლოა თვალმა მოატყუოს. ხაზს ვუსვამთ, სოციალურ ქსელებსა და ფორუმებში ლემპარდის გოლს გამოხმაურება თამაშის მერე კი არა, რამდენიმე წუთში მოჰყვა. მსაჯი შეცდა, არადა, ეს გახლდათ უდიდესი მნიშვნელობის გადაწყვეტილება, რომლის დახმარებით „ჩელსი“ შეიძლება ჩემპიონიც კი გახდეს.

ამრიგად, ფიფას პრეზიდენტი **ზეპ ბლატერი** და უეფას თავკაცი **მიშელ პლატინი** კიდევ ერთხელ დადგნენ სერიოზული გამოცდის წინაშე. ცნობილია, რომ მათ, ფეხბურთში ტექნოლოგიების დანერგვა არ უნდათ და ამას ადამიანური ფაქტორის (მათ რიცხვში შეცდომების) შენარჩუნების სურვილით ხსნიან. მაგრამ, რაც დრო გადის, ერთი და იმავე ტიპის შეცდომათა რაოდენობა იზრდება და ბლატერი და პლატინი სულ უფრო დიდ უმცირესობაში რჩებიან.

„სტემფორდ ბრიჯზე“ თამაშის დასრულების შემდეგ ინგლისურმა ტელეარხებმა უამრავი ადამიანი გამოჰკითხეს. მათ შორის გახლდათ „ლივერპულის“ თავკაცი **კენი დალგლიში**, რომელსაც ჰკითხეს, ტექნოლოგიების დანერგვის შემთხვევაში ძალიან შეყოვნდება თუ არა მატჩები და დაიკარგება თუ არა თამაშის დინამიკა. დალგლიშმა უპასუხა: *„თუ გამარჯვებას ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, მაშინ გამარჯვებულის გამოსავლენად ჩვენს ხელთ არსებული საუკეთესო საშუალებები უნდა გამოვიყენოთ. პირადად მე ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ უნდა ვთქვათ უარი კარის ხაზის ტექნოლოგიებზე“.*

ბოლოს და ბოლოს, ტელეკამერები ისედაც ყველაფერს აკონტროლებს ანუ, სხვა



ჩელსი-ტოტენჰემი 2:1. უნდა ჩათვლილიყო თუ არა ფრენკ ლამპარდის დარტყმული?




სიტყვებით, ტექნოლოგია რა ხანია სტადიონებზეა (აბა, საიდან გაიგო მთელმა მსოფლიომ, რომ ლემპარდის გოლი არ უნდა ჩათვლილიყო) და ასეთ პირობებში იმის დაჩემება, რომ გოლი მაინცდამაინც კაცის თვალმა უნდა შეამჩნიოს, არასერიოზულია. პირიქით, ახლა, უკვე, რაც მეტი კამერა იმუშავებს, მით უკეთესი იქნება.

ერთი სიტყვით, ახლა სიტყვა ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო საბჭოზეა — ეს გახლავთ ორგანიზაცია, რომელიც ფეხბურთის წესებში ცვლილებებს ამტკიცებს. და კიდევ, პრესაში გაჟონა ინფორმაციამ, რომ 2007 წელს ფიფამ, ეგრეთ წოდებული, „ქორის თვალის“ სისტემა „რედინგის“ ერთ-ერთ თამაშზე დაამონტაჟა და... როგორც კი დაინახა, რომ სისტემამ გაამართლა, ექსპერიმენტი შეწყვიტა.

ახლა კი ფრენკ ლემპარდის გოლს ფიფას ყოფილი არბიტრის, **გრემ პოლის** თვალით შევხედოთ. აი, რას ამბობს, არბიტრთა საქმის ექსპერტი:

*„თუკი თანამსაჯ მაიკ კერინსს დასჯიან, სწორად მოიქცევიან, რადგან, მან არ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა. თავიდან კერინსი სწორად იდგა. სწორედ იქ უნდა მდგარიყო მსაჯის ასისტენტი, რათა თამაშგარე მდგომარეობა შეემჩნია, მაგრამ შემდეგ სურათი შეიცვალა — ლემპარდმა დაარტყა, ბურთი მეკარე გომეშმა დაიჭირა, მერე გაუვარდა, ფეხებს შორის გაუძვრა და მის შესაპყრობად გადახტა. ამ ხნის განმავლობაში კერინსი ვალდებული იყო ბურთის მიმართულებას გაჰყოლოდა, ის კი ადგილზე დარჩა და საბოლოოდ თავი ისეთ პოზიციაში ამოყო, საიდანაც ველარ დაინახა, გავიდა თუ არა გოლი.*

*წესი ასეთია: ბურთმა კარის ხაზი, ჰაერში ან მიწაზე, მთლიანად უნდა გადაკვეთოს და თუ თანამსაჯი ამას ვერ აფასებს, ესე იგი, არასწორი კუთხით მდგარა. მაგრამ, არის შემთხვევები, როდესაც დარწმუნებით ვერავინ ამბობს გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი და აქ, რასაკვირველია, უკვე ტექნოლოგიაა საჭირო. რამდენჯერ უნდა ჩავვარდეთ სასაცილო მდგომარეობაში, როდესაც მსაჯის გარდა მთელმა მსოფლიომ იცის გავიდა თუ არა გოლი?“*

ამბები



რომან აბრამოვიჩი

## რომანს სექსი აკლია

„ჩელსის“ რუსი მეპატრონე **რომან აბრამოვიჩი** ზაფხულში 80 მილიონი ფუნტის დახარჯვას აპირებს. მილიარდერს სურს, „ლურჯებმა“ მომავალ სეზონში უფრო შემტევი და ამაღელვებელი ფეხბურთი ითამაშონ. მოგეხსენებათ, ამ მიმართულებით მან პირველი ნაბიჯი იანვარში გადადგა, როდესაც 72 მილიონად „ბენფიკასგან“ 24 წლის ბრაზილიელი **დავიდ ლუიზი**, ხოლო „ლივერპულისგან“ 27 წლის ესპანელი **ფერნანდო ტორესი** იყიდა.

ცნობილია, რომ „ჩელსის“ მეპატრონე სამი პოზიციის გაძლიერებას აპირებს. უპირველეს ყოვლისა, მას გამთამაშებელი სჭირდება, შემდეგ, სწრაფი გარემარბი და ბოლოს ძლიერი მარჯვენა მცველი. პრესაში, რასაკვირველია, კონკრეტულ ვარაუდებსაც გამოთქვამენ. ამბობენ, რომ აბრამოვიჩს **სესკ ფაბრეგასის, გარეთ ბეილისა** და ჰოლანდიელი **გრეგორი ვან დერ ვიელის** შეძენა უნდა. ჩამოთვლილთაგან 23 წლის ფაბრეგასი და 21 წლის ბეილი ცნობილები არიან, 23 წლის ვან დერ ვიელს კი ევროპელი გულშემატკივარი ტელევიზიით უფრო იშვიათად ხედავს. ის „აიაქსის“ მოთამაშეა.

ამ სამეულის გარდა ასახელებენ **ვესლი სნეიდერს, ტომას მიულერს, ადამ ჯონსონს, ჯეკ როდუელს, მორუან ფელაინის, ლუკა მოდრიჩსა** და **ანდრეი არშავინს**. „ჩელსის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა ტაბლოიდებს უთხრა:

*„რომანი ყოველთვის ისეთ ფეხბურთზე ოცნებობდა, როგორსაც თავად სექსუალურს ეძახის. მას ურჩევნია „ჩელსიმ“ 4:3 მოიგოს, ვიდრე 1:0“.*

## ალონსოს სასამართლო

„ბოლტონის“ 20 წლის განაპირა მცველი **მარკოს ალონსო** გუშინ მადრიდის სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყო. მას წაუყენებდნენ ბრალდებას იმ ავტოსაგზაო შემთხვევისთვის, რომლის დროსაც ქალი დაიღუპა. „რეალის“ ყოფილ ფეხბურთელს შესაძლოა განზრახვის გარეშე მკვლელობა დაუმტკიცდეს. ავარიის ადგილზე მისულმა პოლიციის ექსპერტებმა მის ორგანიზმში ესპანეთში დაშვებულ ნორმაზე ორჯერ მეტი ალკოჰოლი აღმოაჩინეს.

ტრაგედია ორშაბათს დილით მოხდა, როდესაც ალონსოს მანქანა ამოყირავდა. სასწრაფო დახმარების ექიმებმა ყველა ღონე იხმარეს ქალის გადასარჩენად, მაგრამ ის საავადმყოფოში მიყვანიდან 30 წუთის შემდეგ გარდაიცვალა.

მანქანაში კიდევ სამი ადამიანი იჯდა, მათ შორის ალონსოს ყოფილი თანაგუნდელი **ხაიმე ნავარო**. საბედნიეროდ, სახიფათოდ არც ერთი მათგანი არ დაშავებულა. ფიზიკურად არაფერი დაშავებია თავად ალონსოსაც, რომელიც შაბათს „ბლექბერნთან“ 1:0 წაგების შემდეგ დაბრუნდა მადრიდში, მაგრამ იუწყებიან, რომ ავარიამ ის ფსიქოლოგიურად შეძრა.

## სიტის კომბინაცია

მოსალოდნელია, რომ „მანჩესტერ სიტისა“ და „ბოლტონს“ შორის ასეთი გარიგება შედგება: ბოლტონელები „სიტის“ 22 მილიონ ფუნტად შეფასებულ **გერი კეჰილს** დაუთმობენ, სანაცვლოდ კი, ისტლენდიდან, **კრეიგ ბელამისა** და **დედრიკ ბოიატას** წაიყვანენ. აქ, უნდა დავძინოთ, რომ კეჰილი დასახელებულ ორ ფეხბურთელში პირდაპირ არ იცვლება ანუ „სიტის“ ფულის დამატებაც მოუწევს.

გერი კეჰილი 25 წლის მცველია, რომელიც ამ ბოლო დროს გამოჩნდა ინგლისის ნაკრებში — სამჯერ ეცვა ეროვნული გუნდის ფორმა. უელსელი ბელამი, მოგეხსენებათ ვეტერანია. 31 წლისა ბოლოს „კარდიფ სიტიში“ იყო გაქირავებული, ბელგიელი ბოიატა კი ჯერ ახალგაზრდაა, სულ 20 წლისა გახლავთ. ბოიატამ ბელგიის ნაკრებში ჯერჯერობით ერთხელ ითამაშა. ეს შარშან, ოქტომბერში მოხდა.

ცნობილია, რომ „ბოლტონის“ თავკაც **ოუენ კოილს** ბელამის თამაში ყოველთვის მოსწონდა და თუ უელსელი მის გუნდში გადავა, ძალიან გაუხარდება. თუმცა, არის ერთი დაბრკოლება — ხელფასი! შეძლებს კი „ბოლტონ უონდერერზი“ კრეიგ ბელამისთვის ისეთი გასამრჯელოს გადახდას, „სიტი“ რომ უხდიდა? ლაპარაკია კვირაში 80 ათას ფუნტზე.

## რატომ გაურბიხართ, რატომ ემალებით?

„ვესტ ჰემის“ ერთ-ერთმა მეპატრონემ, **დევიდ სალივანმა** განმარტა, რატომ არ დაესწრნენ ის და მისი ბიზნეს პარტნიორი **დევიდ გოლდი** ბოლო ტურის შეხვედრას „მანჩესტერ სიტის“ წინააღმდეგ. მათმა გუნდმა ის შეხვედრა 2:1 წააგო. სალივანის თქმით, მათ სტუმრად „ჩაქუჩების“ საცოდავი თამაში მობეზრდათ.



დევიდ სალივანი

სტატისტიკა მეტყველებს, რომ „ვესტ ჰემმა“ მიმდინარე სეზონში, რომლის დამთავრებამდე სამად სამი ტურია დარჩენილი, სტუმრად მხოლოდ ორი თამაში მოიგო. გუნდი პრემიერლიგის ცხრილში ბოლო ადგილზეა, თუმცა, სამი ქულით მეტი რომ ჰქონდეს, გასავარდნთა ზონის მიღმა იქნებოდა. სალივანმა თქვა, რომ მან, გოლდმა და კლუბის ვიცე თავმჯდომარე ქალმა, **კარენ ბრეიდიმ** მორიგი იმედგაცრუების უშუალოდ ყურებას თამაშის ტელევიზიით ცქერა ამჯობინეს. კერძოდ, სალივანმა ასე ბრძანა:

*„გულწრფელად გიპასუხოთ? ჩვენზე ძალიან მოქმედებს ის, რომ სტუმრად, ყოველ ტურში, გუნდი საშინლად თამაშობს, ჩვენ კი ვერაფერს ვცვლით. ოჯახის წევრები უკვე მეუბნებიან, გიჟი ხარ ამ კლუბზე ამდენ დროს და ფულს რომ ხარჯავო. მანჩესტერში რომ ჩავსულიყავით, ამით მაინც ვერაფერი შეიცვლებოდა და ამიტომ გადავწყვიტეთ თვითმფრინავის დაქირავების ხარჯი დაგვეზოგა. ამ ფულს ქველმოქმედებას მოვახმართ, ასე აჯობებს“.*

სალივანის ამ სიტყვებამდე ერთი კვირით ადრე კი „ვესტ ჰემის“ ბანაკში არეულობა იყო. გამოითქვა ეჭვი, რომ სამი ფეხბურთელი, კერძოდ კი 32 წლის **მეტიუ აპსონი**, 31 წლის **დენი გებიდონი** და 32 წლის **კირონ დაიერი** გულით არ თამაშობდნენ. ცნობისთვის: დაიერი 2011 წლიდან „იფსვიჩ თაუნშია“ გაქირავებული.

62 წლის სალივანმა თქვა, რომ „ვესტ ჰემს“ პრემიერლიგაში დარჩენის ძალიან მცირე შანსი აქვს — სულ 25-30 პროცენტი.

*„ჩვენი კლუბის დირექტორთაგან „ვესტ ჰემიდან“ ფული სახლში არავის მიაქვს. აქ, არც ხელფასი აქვს რომელიმეს და არც სხვა შემოსავალი. ჩვენ ფეხბურთელები არ გეგონოთ, წაგებაში კვირაში 20-60 ათასი ფუნტს რომ იღებენ. მანჩესტერში გუნდს მხოლოდ 1100 გულშემატკივარი გაჰყვა. ხომ ხედავთ, ფანებს უკვე ტელევიზორებთან დარჩენა ურჩევნიათ“.*

## უფრთხილდით ხუთს



სალომონ კალუ



ჯონ ტერი

„ჩელსის“ კაპიტანმა, **ჯონ ტერიმ** „მანჩესტერ იუნაიტედი“ გააფრთხილა, ჩვენი გუნდის საუკეთესო ხუთეულთან გამკლავება გაგიჭირდებათო. მისი თქმით, **კარლო ანჩელოტის** შემტევ ვარსკვლავთა გაძლება ძალიან ძნელი საქმეა. ტერი დარწმუნებულია, რომ კვირას, ინგლისური სეზონის მთავარ შეხვედრაში **დიდიე დროგბას, ფერნანდო ტორესის, სალომონ კალუს, ფლორან მალუდას** და **ნიკოლა ანელკას** გაჩერებას თვით „მანჩესტერ იუნაიტედიც“ კი ვერ შეძლებს.

*„ნებისმიერი მოწინააღმდეგე შეკრთება, როდესაც მოედანზე ნანდოს, დიდიეს, ნიკოს, სალას ან ფლორანს დაინახავს. ეს ხუთეული ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. სულერთია, ამ მოთამაშეთაგან მწვრთნელი კონკრეტულ შეხვედრაში რომელს ათამაშებს. გამარჯვების გოლის გატანა ხუთეულის ყველა წევრს შეუძლია და იმისათვის, რომ ამ სეზონში ტიტულისთვის ვიბრძოლოთ, ისინი კარგ ფორმაში უნდა იყვნენ.*

*ალბათ, დააკვირდებოდით, რომ ამ ბიჭებიდან, ჩვეულებრივ, სამი იწყებს თამაშს, ორი კი მეორე ტაიმში, შეცვლაზე შედის. ამის მიუხედავად, მათ შორის არანაირი გაუგებრობა არ არსებობს. ან კი, რა დროს გაუგებრობაა, როდესაც ჩემპიონობისთვის ბრძოლა იმდენად დაიძაბა, რომ გამარჯვებული შეიძლება გატანილი და გაშვებული გოლების სხვაობამ გამოავლინოს. ძალიან მიხარია, რომ სალამ, დიდიემ და ფლორანმა კვლავ გაიხსენეს გოლების გატანის გემო“.*

თავდამსხმელთა შორის კონკურენციაზე ლაპარაკი იმიტომ ჩამოვარდა, რომ კალუმ, „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ შეხვედრაში, ბოლო წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანა, მაგრამ როდესაც მსაჯმა თამაში დაამთავრა, თანაგუნდელებთან ერთად, საზეიმოდ მოედანზე არ დარჩა. ის განაწყენდა, რადგან ბოლო დროს ანჩელოტი სასტარტო შემადგენლობაში ხშირად არ ათამაშებს. ამის მიუხედავად, ანჩელოტიმ თქვა, რომ 25 წლის კოტ დ'ივუარელი ვერც კვირას მოხვდება სასტარტოში.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

სერია A XXXV ტური

# ლიგის საგზურზე ბრძოლაა

## ლაციო, უდინეზე, რომა და ალბათ იუვეც



იუვემ გაიხარა

**ლაციო–იუვენტუსი 0:1**

**ლაციო (4-4-2):** მუსლერა – ლიხტშტაინერი, ბიავა (71. სკალონი), დიასი, გარიდო – ერნანდესი, ლედესმა, მათუზალემი, ბროკი (88. კოზაკი) – სარატე (85. ბრეშიანო), ფლოკარი.

**იუვენტუსი (4-4-2):** ბუფონი – მოტა (71. სალიჰამიჯიჩი), ბარძალი, კიელინი, გროსო – კრასიჩი, აკვილანი, მელო, პეპე – დელ პიერო (90. ბონუჩი), მატრი (71. ტონი).

**გოლი:** 0:1 პეპე (87).

**გაფრთხილება:** გროსო, პეპე, სალიჰამიჯიჩი (იუვენტუსი).

**გაძევება:** ლედესმა (81).

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 19-14; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 14(4)-5(3); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 65 000

XXXV ტურის უკანასკნელი შეხვედრა ორშაბათს გვიან ღამით გაიმართა და "იუვენტუსის" "ლაციოზე" ძლევით დასრულდა. ტურინული გრანდისთვის მიმდინარე სეზონი წარმატებულად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ძლიერ გუნდებთან საკმაოდ კარგად ასპარეზობს. "ლაციომ" ფავორიტის სტატუსით მიიღო მეტოქე, გადაჭედილ "ოლიმპიკოზე" შეტევებშიც წარმართა თამაში, მაგრამ ვერას გახდა და მატჩის დასრულებამდე სამიოდე წუთით ადრე გოლიც გაუშვა. ასეთმა რეზულტატმა უკიდურესად დაძაბა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა – მეოთხე ადგილზე ჯერ კიდევ "ლაციოა", რომელსაც 35 ტურის შემდეგ 60 ქულა აქვს მოგროვილი, ერთი ქულით ნაკლები აქვთ "უდინეზეს" და "რომას", ოთხით ნაკლები კი "იუვენტუსს". "ბიანკონერის" შანსებზე საერთოდ აღარ იყო ლაპარაკი, მაგრამ რომში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, "იუვეც" ოთხეულის პრეტენდენტთა შორის გაერია.

შეხვედრის პირველი ტაიმი ორმხრივ იერიშებში წარიმართა, თუმცა ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. განსაკუთრებულად აქტიური განაპირა მცველები გახლდნენ, რომლებიც აქტიურად ერთვებოდნენ ფლანგებიდან და კარგად ამწვავებდნენ თამაშს. განსაკუთრებით ეს **ლიხტშტაინერზე** ითქმის, რომელმაც აიკლო ტურინელთა მარჯვენა ფლანგი. სწორედ ამის გამო იყო, რომ მეორე ნახევარში **ლუიჯი დელ ნერიმ მოტას** შეცვლის გადაწყვეტილება მიიღო და **ჰასან სალიჰამიჯიჩით** ჩაანაცვლა. საერთოდ, დაცვის მარჯვენა ფრთა ტურინელთათვის აქილევსის ქუსლად იქცა, ხან მოტა ირჯება, ხანაც **სორენსენი**, თუმცა ორივე ძალიან ახალგაზრდაა და შეცდომებსაც უხვად უშვებენ.

მეორე ნახევარში მასპინძელთა უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში რომაელებს მუდმივად რაღაც აკლდებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ ტურინელ მცველებს უშეცდომოდ არ უასპარეზიათ, კარის მშრალად შენახვა მოახერხეს და ეს სწორედ მასპინძელთა უნიათობის ბრალია შეტევით ფაზაში. რამდენჯერმე ძალიან ახლოს იყვნენ "ლაციალები" გოლთან, თუმცა ხან სიზუსტე აკლდებოდათ, ხანაც **ჯანლუიჯი ბუფონი** იყო მოწოდების სიმაღლეზე. რაც შეეხება "იუვენტუსს", გოლს თუ არ ჩავთვლით, ყველაზე კარგი შანსი **ალესანდრო მატრის** მიეცა – რეკოშეტის შემდეგ სწორედ მას მიუვიდა ბურთი და კიპერთან პირისპირ დარჩენილმა ბურთი პირდაპირ **მუსლერას** გაარტყა. ყველაზე საინტერესო ბოლო ათწუთეული გამოვიდა – ჯერ კრისტიან ლედესმა გააგდო უხეშობისთვის მატჩის არბიტრმა და "ლაციო" ათი ფეხბურთელით დარჩა, მატჩის მიწურულს კი სიმონე პეპე გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე და შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა. აქვე ვთქვათ, რომ საგოლე პასის ავტორი **ლუკა ტონი** გახლავთ, რომელმაც თავით გადააწოდა თანაგუნდელს და მანაც მარცხენა ფეხით მოათავსა ბურთი მუსლერას კარის შორეულ კუთხეში.

ნამატჩევს, ლუიჯი დელ ნერი ტრადიციულად ცოტა არაადეკვატური იყო: *"ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი მოვუგეთ უშუალო კონკურენტს და ვაგრძელებთ ბრძოლას უმაღლესი მიზნისთვის. მთელი შეხვედრის განმავლობაში ვდომინირებდით, რაც არ იყო იოლი, ჩვენ ხომ სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე მყოფ გუნდთან გვიწევდა ჯახი. მიუხედავად ამისა, დავჯაბნეთ მეტოქე და სრულიად დამსახურებულად მოვიპოვეთ სამი ქულა, რომელიც ექვსის ტოლფასია".*

დელ ნერის არაადეკვატურობა იმაში გამოიხატება, რომ "იუვენტუსი" სულაც არ ყოფილა დომინანტი და თანაც, მთელი შეხვედრის განმავლობაში – პირიქით, უპირატესობას "ლაციო" ფლობდა, თუმცა "იუვემ" ისარგებლა მასპინძელთა კაცნაკლულობით და ერთ-ერთი იშვიათი შეტევა გოლით დაასრულა. სენიორ ლუიჯის სიტყვების დაბრახუნებაც სჩვევია – მისი თქმით, "ბიანკონერი" უმაღლესი ადგილისთვის იბრძვის და რთული სათქმელია, რომელ უმაღლეს ადგილზე და მწვერვალზეა ლაპარაკი. მოკლედ, დელ ნერი თავის სტიქიაშია, ჩვენ კი **ედუარდო რეიას** გადავცეთ სიტყვა, რომელმაც მსაჯის შეცდომაზე გაამახვილა ყურადღება:

*"ერთ-ერთ ეპიზოდში რეფერის აუცილებლად უნდა დაენიშნა თერთმეტმეტრიანი, მაგრამ სხვაგვარად მოიქცა. სერჯო ფლოკარი აშკარად წააქცია მცველმა, მაგრამ არბიტრმა ეს ან ვერ, ან არ დაინახა. პირველად არ ხდება, როდესაც მსაჯი ჩვენს საწინააღმდეგოდ ცდება და შემიძლია "ნაპოლისთან" გამართული შეხვედრა გავიხსენო. საერთოდ, თავის მართლება არ მჩვევია და ისე არ გამიგოთ, თითქოს ფეხბურთელების შეცდომებს სხვას ვაბრალებდე - თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მიმდინარე სეზონში მსაჯის შეცდომის მსხვერპლი უკვე არაერთხელ გავხდით".*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 35 | 23 | 8 | 4 | 61-23 | 77 |
| 2. ინტერი | 35 | 21 | 6 | 8 | 62-39 | 69 |
| 3. ნაპოლი | 35 | 21 | 5 | 9 | 55-34 | 68 |
| 4. ლაციო | 35 | 18 | 6 | 11 | 46-33 | 60 |
| 5. უდინეზე | 35 | 18 | 5 | 12 | 61-42 | 59 |
| 6. რომა | 35 | 17 | 8 | 10 | 55-49 | 59 |
| 7. იუვენტუსი | 35 | 15 | 11 | 9 | 53-42 | 56 |
| 8. პალერმო | 35 | 15 | 5 | 15 | 53-58 | 50 |
| 9. ფიორენტინა | 35 | 12 | 13 | 10 | 45-38 | 49 |
| 10. ჯენოა | 35 | 12 | 9 | 14 | 38-40 | 45 |
| 11. კალიარი | 35 | 12 | 8 | 15 | 42-46 | 44 |
| 12. კიევო | 35 | 10 | 12 | 13 | 33-35 | 42 |
| 13. პარმა | 35 | 10 | 11 | 14 | 37-46 | 41 |
| 14. კატანია | 35 | 10 | 10 | 15 | 35-47 | 40 |
| 15. ბოლონია | 35 | 11 | 10 | 14 | 34-47 | 40 |
| 16. ჩეზენა | 35 | 9 | 10 | 16 | 33-47 | 37 |
| 17. სამპდორია | 35 | 8 | 12 | 15 | 30-42 | 36 |
| 18. ლეჩე | 35 | 9 | 8 | 18 | 40-61 | 35 |
| 19. ბრეშა | 35 | 7 | 10 | 18 | 31-47 | 31 |
| 20. ბარი | 35 | 4 | 9 | 22 | 22-52 | 21 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს სამი ქულა*

**ბომბარდირები:** 26 – დი ნატალე (უდინეზე), კავანი (ნაპოლი); 20 - ეტოო (ინტერი); 19 - დი ვაიო (ბოლონია); 18 - მატრი (იუვენტუსი); 14 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი), პატო (მილანი), პაცინი (ინტერი).

**ლაშა წიკლაური**

ბაიერნი



ჰანს იორგ ბუტი და თომას კრაფტი: ერთი რჩება, მეორე მიდის

# ბუტი კიდევ ერთი წლით, კრაფტი მიდის

## თომასს ბერლინში ეპატიჟებიან, რეკორდმაისტერმა ზენიტთან ტესტმატჩი დაგეგმა

გადავა თუ არა **მანუელ ნოიერი** მიუნხენში „ბაიერნში", ეს ჯერ კიდევ გაურკვეველია. სამაგიეროდ, რეკორდმაისტერს მეკარეების საკითხი სხვა სიახლე აქვს: **ჰანს-იორგ ბუტმა** კონტრაქტი გააგრძელა, **თომას კრაფტმა** კი გაწყვიტა. ეს ორი ინფორმაცია მიუნხენურმა გრანდმა გუშინ გაავრცელა. შესაბამისად, გაირკვა, რომ ბუტი ზაფხულში აქტიურ სპორტულ კარიერას არ დაამთავრებს.

ბუტმა, რომელიც 28 მაისს 37 წლის ხდება, „ბაიერნთან" მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. *„იორგ ბუტი უმაღლესი კლასის მეკარეა და ძალიან მიხარია, რომ მომდევნო სეზონშიც ჩვენთან ერთად იქნება. მასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებით, პირველ რიგში „ბაიერნის" მომავალი მწვრთნელის, იუპ ჰაინკესის სურვილი შესრულდა,"* - ეს რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** სიტყვებია.

რაკი მიუნხენელები ნოიერის ყიდვა დგას დღის წესრიგში, გამოდის, რომ ბუტი თანახმაა, მომავალ სეზონში სათადარიგოთა სკამზე დაჯდეს. მანუელის ტრანსფერი რომ არ შედგეს, ვეტერანი კიპერი პირველ ნომრად დარჩება. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ 22 წლის კრაფტს მიუნხენში აღარ დაედგომება. ამ უკანასკნელს „სკამის ხეხვის" პერსპექტივა არ ხიბლავს.

*„თომას კრაფტის მიზანი პირველობაა, ჩვენ კი ამის გარანტიას ვერ ვაძლევთ. შესაბამისად, თომასი ზაფხულში დაგვტოვებს,"* - აცხადებს „ბაიერნის" სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერი**. „კიკერის" ინფორმაციით, კრაფტს ბერლინის „ჰერტა" ეპატიჟება – **ლევან კობიაშვილის** გუნდი, რომელმაც უკვე გაინაღდა პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნება, მომავალი სეზონისთვის ელიტისთვის შესაფერის კიპერს ეძებს.

აქვე გეტყვით, რომ გადაწყვეტილია სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან" ამხანაგური მატჩის ჩატარება – შეხვედრა 18 მაისს გაიმართება. შეგახსენებთ, „ზენიტი" ის გუნდია, რომელმაც სამი წლის წინ, უეფას თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩში „რეკორდმაისტერი" 4:0 დაამარცხა...

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

## ჰერტას სატრანსფერო გეგმები

ბერლინის „ჰერტამ" პირველი ბუნდესლიგის საგზური უკვე გაინაღდა და შესაბამისად, კლუბის ხელმძღვანელებმა გუნდის გაძლიერებაზე ზრუნვა დაიწყეს. **ლევან კობიაშვილის** გუნდმა უკვე გაიფორმა შემტევი ნახევარმცველი **თუნაი თორუნი**, რომელიც ბერლინში „ჰამბურგიდან" გადავა, ახლა კი, მთავარმა მწვრთნელმა **მარკუს ბაბელმა** თვალი „ზანკტ პაულის" ნახევარმცველ **მაქს კრუსეს** და „აინტრახტის" მცველ **მაიკ ფრანცს** დაადგა. გარდა ამისა, „ჰერტას" „ბაიერნიდან" 22 წლის მეკარე **თომას კრაფტის** და საყრდენი ნახევარმცველის, **ანდრეას ოტლის** გადაბირებაც უნდა.

## დორტმუნდი: ფორვარდი ალკმაარიდან?

გერმანიის ჩემპიონ დორტმუნდის „ბორუსიას" ხელმძღვანელები გუნდის გაძლიერებაზე ზრუნვას აგრძელებენ და ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, თვალი ჰოლანდიური „ალკმაარის" თავდამსხმელს, 21 წლის **კოლბეინ სიგთორსონს** დაადგეს. ეს უკანასკნელი ისლანდიელია და ჰოლანდიის მიმდინარე ჩემპიონატში 15 გოლის გატანა შეძლო. მას „ალკმაართან" კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული. თუმცა „ბორუსია" არ არის ერთადერთი გუნდი, რომელსაც სიგთორსონის ყიდვა უნდა – „დორტმუნდს" ამსტერდამის „აიაქსის" სახით ძალიან სერიოზული კონკურენტი ჰყავს. ამსტერდამელები მზად არიან, „ალკმაარს" 2 მილიონი ევრო გადაუხადონ. ჰოლანდიური პრესა წერს, რომ სიგთორსონის შეძენა ინგლისურ „ნიუკასლსაც" უნდა.



კოლბეინ სიგთორსონი

**გოტფრიდ ლენცი**

მილანი

# ახალი ფორმა რეტრო დიზაინით



მარკ ვან ბომელი ახალ ფორმაში

გუშინ, "მილანის" მესვეურებმა ახალი ამუნიციის პრეზენტაცია მოაწყვეს. დიახ, მომდევნო სეზონიდან ლომბარდიული გრანდი ახალი დიზაინის ფორმით იასპარეზებს, რომელიც ტრადიციულ შავ-წითელ ფერებში იქნება გადაწყვეტილი. მიუხედავად იმისა, რომ ფორმა საახალსეზონოდ გახლავთ გათვლილი, მას ფეხბურთელები პირველად "მილანის" მომდევნო საშინაო შეხვედრაზე მოირგებენ. ერთი სიტყვით, "როსონერის" ახალ ამუნიციას გულშემატკივრები "მილანი"-"კალიარის" პაექრობისას იხილავენ.

პრეზენტაციას "როსონერის" სამი ფეხბურთელი დაესწრო: **ლუკა ანტონინი, კლარენს ზეედორფი** და **მარკ ვან ბომელი**. ამ უკანასკნელმა ვრცელი კომენტარი გააკეთა პრესასთან და განაცხადა, რომ ახალ მაისურში თავს შესანიშნავად გრძნობს: *"სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ახალი ფორმა ასეთი ორიგინალური, ლამაზი და კომფორტული იქნებოდა. ერთი სული მაქვს როდის გავალ ამ მაისურებით ოფიციალურ შეხვედრაზე".*

კომენტარი გააკეთა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ**: *"როგორც ხედავთ, ფორმა ძალიან ლამაზი გამოვიდა. ასეთი დიზაინის ამუნიცია "მილანს" ოქროს წლებში ემოსა და ამ ჟესტით, პატივს მივაგებთ იმ დიდ ფეხბურთელებს, რომლებმაც კლუბის ისტორია დაწერეს. მართალია, დიზაინი რეტროა, მაგრამ მაისურები თანამედროვე ტექნოლოგიით არის შეკერილი და ყველანაირ კლიმატურ პირობებში თანაბრად კომფორტულია".*

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრაიბურგი



ერთი გოლიც და პაპის დემბა სისე ფრაიბურგის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდება ბუნდესლიგაში – ის ალექსანდრე იაშვილის რეკორდს დაამხობს

# სისე: ერთი გოლი იაშვილის რეკორდამდე

## ფრაის გოლეადორს ინგლისში ეპატიჟებიან

გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი, „ფრაიბურგი“ კი უკვე „ოქროს ანანასისთვის“ იბრძვის – გერმანიაში ასე ამბობენ ხოლმე გუნდზე, რომელსაც სეზონში არანაირი სპორტული მოტივაცია აღარ აქვს. მიუხედავად ამისა, ბრაისგაუელებმა იდენტურ მდგომარეობაში მყოფ „ჰამბურგს“ მაინც მოუგეს და როგორც გუნდის მთავარი მწვრთნელი **რობინ დუტი** ამბობს, კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ „ფრაიბურგში“ გუნდური სულისკვეთება ყველაფერზე მაღლა დგას. „ფრაის“ მთავარმა გოლეადორმა **პაპის დემბა სისემ** ჰამბურგთან დუბლი შეასრულა და ბომბარდირთა დავაში ჯერ კიდევ მისდევს ბაიერნელ **მარიო გომესს** – ამ უკანასკნელის ანგარიშზე 24 გოლია და სისეს მას მხოლოდ ორი გოლით ჩამორჩება. დუტი ამბობს, „ოქროს ანანასის“ გარდა, ჯერ კიდევ ვიბრძვით ერთი ტიტულისთვისო და ცხადია, რომ სისეს ბომბარდირობას გულისხმობს.

22 გოლი ბუნდესლიგის ერთ სეზონში – ასეთი შედეგი აქამდე გერმანიაში არც ერთ აფრიკელ ფეხბურთელს არ ჰქონია. რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, „ფრაიბურგის“ ბუნდესლიგაში მოღვაწეობის ისტორიაში, ყველაზე მეტი, 29 გოლი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს, **ალექსანდრე იაშვილს** აქვს გატანილი და სისეს „იაშკას“ რეკორდის დამხობამდე მხოლოდ ერთი გოლიღა აკლია...

*„სისე მართლაც ზღაპრულ სეზონს ატარებს. დიდი ხანია, „ფრაიბურგს“ ასეთი დონის თავდამსხმელი არ ჰყოლია,“* - ამბობს დუტი.

მაგრამ სისეს წარმატებები „ფრაის“ ქომაგებში შიშსაც იწვევს, რადგან ყველა ხვდება, რომ თავდამსხმელს თითოეული გოლი ყველასათვის კიდევ უფრო სასურველ ფეხბურთელად აქცევს. მართალია, პაპის დემბას „ფრაიბურგთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს, მაგრამ გუნდის სპორტული დირექტორი **დირკ დუფნერი** აღიარებს, რომ თუ სისეს მსურველი კლუბი „ფრაის“ დიდ თანხას შესთავაზებს, საკმაოდ რთული ფინანსური მდგომარეობის გამო გუნდი იძულებული გახდება, ლიდერს შეელიოს. „კიკერის“ ინფორმაციით, „ფრაიბურგი“ სისეს 15 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეელევა და ჩვენი გერმანელი კოლეგები იმასაც წერენ, რომ პაპის დემბას დიდი ხანია აკვირდებიან ისეთი გრანდები, როგორებიც არიან ლონდონის „არსენალი“ და „ლივერპული“. მათთან ერთად, სისეს გადაბირებაზე სერიოზულად ფიქრობენ სხვა ინგლისური კლუბების, „ბლექბერნისა“ და „ფულჰემის“ შეფებიც.

**გოტფრიდ ლენცი**

ციფრებით მოყოლილი

# ტოტიმ ბაჯოს გაასწრო, აგუერომ ფორლანს

**ჩემპიონთალიგური წარმატება და ბომბარდირული მიღწევები ფიფას ოფიციალური საიტის ყოველკვირეული სტატისტიკური მიმოხილვის მთავარი შემადგენელი ნაწილია. დღევანდელი სტატიის გმირები „ლინფილდი“, „ფლამენგო“, რაიან გიგზი, სერხიო აგუერო და ფრანჩესკო ტოტი არიან...**

**206** გოლი გაიტანა **ფრანჩესკო ტოტიმ** სერია A-ში. „რომას“ კაპიტანმა „ბარისთან“ მატჩში დუბლი შეასრულა და **რობერტო ბაჯოს** გადაასწრო ჩემპიონატის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირებში. ახლა ტოტი მე-5 ადგილზეა ბომბარდირებში. მოქმედ ფეხბურთელთა შორის მეორე ადგილზეა **ალესანდრო დელ პიერო** 184 გოლით. სერია A-ს ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი ლეგენდარული **სილვიო პიოლაა**, რომელმაც 274 გოლი გაიტანა.

**98** გოლი გაიტანა **სერხიო აგუერომ** „ატლეტიკოს“ რიგებში და არგენტინელი ამ კლუბის ისტორიაში საუკეთესო ლეგიონერი მეგოლე გახდა. სხვათა შორის, აგუერომ... თანამემამულე **დიეგო ფორლანს** გაასწრო, რომელსაც 96 გოლი აქვს გატანილი. „ატლეტიკოს“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი კი **ლუის არაგონესია** 172 გოლით.

**50** ტიტული მოიპოვა უკვე ჩრდილოირლანდიურმა „ლინფილდმა“, შაბათს „ლინფილდმა“ „პორტდაუნის“ ძლევით გაინაღდა ჩემპიონობა. ასე აღნიშნა კლუბმა 125-წლიანი ინტერვიუ. ყველაზე მეტჯერ თავისი ქვეყნის ჩემპიონი „რეინჯერსი“ იყო, რომელმაც 53-ჯერ მოიპოვა შოტლანდიის საუკეთესო გუნდის ტიტული, მეორე ადგილზე კი „ლინფილდია“.



რონალდინიო რიოს ჩემპიონია

**37** წლისა და 148 დღის **რაიან გიგზმა** „შალკეს“ კარში რომ გაიტანა, ჩემპიონთა ლიგის ყველაზე უხუცესი მეგოლე გახდა. აქამდე რეკორდსმენი **ფილიპო ინძაგი** (37 წლის და 86 დღის) იყო.

**26** თამაში ზედიზედ წაუგებლად ეს „ფლამენგოს“ ახალი სიმაღლეა, კვირას კი **რონალდინიოს** ახალმა გუნდმა კარიოკას ჩემპიონატი 32-ედ მოიგო. **ვანდერლეი ლუშემბურგოს** გუნდს ნოემბრის შემდეგ არ წაუგია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრავმა

# ჩიგრინსკი საოპერაციო მაგიდაზე

დონეცკის “შახტარის” ცენტრალურმა მცველმა **დმიტრო ჩიგრინსკიმ** ფეხის ტერფის ტრავმა 20 მარტს “ვოლინთან” უკრაინის ჩემპიონატის შეხვედრაში მიიღო და მას მერე მინდორს არ გაჰკარებია. დონეცკურმა კლუბმა ფეხბურთელი სამკურნალოდ საფრანგეთს მიავლინა, სადაც მას სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარეს. ექიმები საბოლოოდ მივიდნენ დასკვნამდე, რომ საქმეს მხოლოდ ოპერაცია თუ უშველიდა. ოპერაციისთვის კი ფეხბურთელი მიუნხენში გადაფრინდა. “შახტარის” სამედიცინო სამსახურის უფროსის **ვიქტორ კირილენკოს** განცხადებით, ქირურგიულმა ჩარევამ წარმატებით ჩაიარა, დაზიანებულ ადგილზე სპეციალური რკინის ფირფიტა დაამაგრეს და ფეხი თაბაშირში ჩაუსვეს, რასაც მხოლოდ ერთი თვის თავზე მოხსნიან. ფეხბურთელს მიუნხენში ქირურგთან ვიზიტი სწორედ თაბაშირის მოხსნის შემდეგ მოუწევს.

ჩიგრინსკი თავს უკეთ გრძნობს, მაგრამ მინდორზე მისი დაბრუნების რაიმე კონკრეტულ ვადაზე ლაპარაკი ნაადრევია.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## ერთხელ მთავარი მწვრთნელის გარეშე

გაზეთმა “ეკიპმა” გუშინ გვაცნობა, რომ “სენტ ეტიენი” 34-ე ტურის შეხვედრაში “არლს” მთავარი მწვრთნელის **კრისტოფ გალტიეს** გარეშე ეწვევა. მის ადგილს მუსიე კრისტოფის თანაშემწე **ალენ ბლანკო** დაიკავებს. ამის მიზეზი კი მეტად პროზაულია – არანაირი დისკვალიფიკაცია და ავადმყოფობა, უბრალოდ, გალტიეს სამწვრთნელო პროლიცენზიის ჩასაბარებელი გამოცდა სწორედ შაბათს ელის. ბუნებრივია, კუთვნილ ადგილს სათადარიგოთა სკამზე ის მომდევნო შეხვედრაშივე დაუბრუნდება.

## მარიკა სიყვარულის ქალაქში?

ისევ და ისევ გაზეთ “ეკიპზე” დაყრდნობით შეგვიძლია მოგახსენოთ, რომ “პარი სენ-ჟერმენი” მომავალი სეზონისთვის შეიძლება “შტუტგარტის” რუმინელი თავდამსხმელით ჩიპრიან მარიკათი გაძლიერდეს. შვაბურ კლუბთან მოლაპარაკებები ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ როგორც ჩანს, ეს დღე არც ისე შორს არის. გამოცდილ შემტევში გერმანელები 2 მილიონ ევროს ითხოვენ, რაც დღევანდელი სატრანსფერო ბაზრის პირობებში დიდი თანხა ნამდვილად არ არის.

## შეჯუს მუხლი, სოვის საზარდული

“ლილის” მცველმა **ორელიენ შეჯუმ** “არლთან” (5:0) 33-ე ტურის შეხვედრაში მუხლის მყესები დაიზიანა და უკვე დარწმუნებით შეიძლება თქმა, რომ მიმდინარე სეზონში მინდორზე უკვე ველარ გავა. შეგახსენებთ, რომ ანალოგიური პრობლემა შეექმნა ორიოდე კვირის წინ “ძალლების” კიდევ ერთ წამყვან ფეხბურთელ **ფლორან ბალმონს**. ლიგა 1-ის ლიდერებს “ნანსისთან” შეხვედრაში ალბათ ლიგის საუკეთესო ბომბარდირი **მუსა სოვიც** დააკლდებათ. მართალია, მან მოირჩინა საზარდულის ტრავმა, მაგრამ შეიძლება თუ არა მინდორზე მისი გაშვება, გადაწყვეტილება ამის შესახებ ექიმებს ჯერ არ მიუღიათ.

## საქმე 12 მაისს გაირჩევა

“ევროსპორტის” ცნობით, “მარსელის” ფეხბურთელების - **სტეფან მბიასა** და **ტაიე ტაივოს** საქმეს საფრანგეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგის ეთიკის კომიტეტის სხდომაზე 12 მაისს განიხილავენ. შეგახსენებთ, რომ ლიგის თასის ფინალური მატჩის დასრულების შემდეგ, რომელიც “მონპელიესთან” მისი გუნდის მინიმალური გამარჯვებით 1:0 დასრულდა, ტაივო “ოლიმპიკის” ფანების სექტორთან მიკროფონით ხელში მიიჭრა და “პარი სენ-ჟერმენის” დამამცირებელი სიმღერები შემოსძახა. ამ საქმეში მას გვერდით სწორედ მბია დაუდგა და თავისი არანაკლებ ომახიანი ხმა შეაშველა. ფეხბურთელებს სერიოზული ფინანსური სანქციების გარდა შეიძლება დისკვალიფიკაციაც გამოუწერონ. ტაივოს ვერც ის უშველის, რომ მომავალი სეზონიდან ის “მილანის” ღირსებას დაიცავს. უეფას წესებით, დისკვალიფიკაცია მას იტალიაშიც გადაჰყვება.

## სპორტინგი ტალანტს არ თმობს

ლისაბონის “სპორტინგის” 22 წლის შემტევი ნახევარმცველი **ანდრე სანტუში** ამ დღეებში ლისაბონურ კლუბთან სავარაუდოდ ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს. ის სამართლიანად მიიჩნევა წლევანდელი ლიგა საგრეშის სეზონის ერთ-ერთ აღმოჩენად. ანდრემ 2 წელი იჯარით “ლეირიაში” გაატარა და “სპორტინგში” დაბრუნების შემდეგ გუნდის ერთ-ერთი ლიდერის სახელი მოიპოვა. მისი თამაში იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ეროვნულის ნაკრების დამრიგებელმა **პაულუ ბენტუმ** თავისთან იხმო. ანდრეს დებიუტი ჩილეს წინააღმდეგ შედგა.

“ა ბოლას” ცნობით, “სპორტინგი” მასთან კონტრაქტის გახანგრძლივებას 2016 წლამდე ეშურება. თანაც ლისაბონელებს ფეხბურთელის სატრანსფერო ფასის იმპერატიულად განსაზღვრა 20 მილიონი ევროთი სურთ. ანდრე სანტუში “სპორტინგში” კარიერის გაგრძელების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ მას ხელფასის მნიშვნელოვნად მომატება სურს. გეტყვით, რომ ფეხბურთელის ანგარიშზე წელს 2 გოლის გარდა 7 საგოლე გადაცემაა.

**ლევან ბიბილაშვილი**




ინტერვიუ ფრანკ დე ბურთან

# 26 მამაკაცის სუროგატი მამა

**ჰოლანდიის ნაკრების ყოფილმა მცველმა ფრანკ დე ბურმა “აიაქსი” კლუბისთვის გარდამავალ ეპოქაში ჩაიბარა. მოგეხსენებათ, რომ ამსტერდამულ გრანდში ძირეული ცვლილებები დირექტორატში ლეგენდარული იოჰან კრუიფის მოსვლის შემდეგ დაიწყო. ფრანკს ძალზე წარმატებული საფეხბურთო კარიერა ჰქონდა და არც სამწვრთნელო კარიერის დასაწყისს უჩანს ცუდი პირი. ფიფას ვებგვერდის ჟურნალისტი მას სწორედ ახალ ცხოვრებისეულ როლზე ელაპარაკა. ვფიქრობთ, რომ ფრანკ დე ბურის ინტერვიუ, თუნდაც მცირედი შემოკლებით, არც ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის იქნება უინტერესო.**

**- ორი წლის წინ, სამწვრთნელო კარიერის პირველ ეტაპზე ძალზე იოლად უყურებდით ამ საქმეს. ახლა თუ შემოგრჩათ მაშინდელი ენთუზიაზმი?**

- დიახ (იღიმის), მაშინ მე ახალგაზრდული გუნდი ჩამაბარეს და არ ვიცოდი, რამდენად მზად ვიყავი ამ საქმისთვის. რეალურად შეუძლებელიც იყო, რომ მცოდნოდა. გულის სიღრმეში ნამდვილად ვგრძნობდი, რომ ამ საქმის გაძღოლა შემეძლო. დღეს კმაყოფილი ვარ ჩემი პროფესიით. მე ხომ სამწვრთნელო ლიცენზიის მისაღებად სწავლა სულ რაღაც 4,5 წლის წინ დავიწყე. ჯერ პატარები ჩავიბარე, მაგრამ უფროსების გუნდი მალევე მანდეს, არადა, მეგონა, ამისთვის 3-4 წელი მაინც მექნებოდა. “აიაქსმა” რაღაცნილად გარისკა, როცა თავისი ბედი მანდო.

**- მას შემდეგ, რაც მწვერვალზე იყავით, გქონდათ შიში, რომ ფეხი ადვილად დაგიცდებოდათ?**

- ალბათ, რადგან “აიაქსში” პასუხისმგებლობა უზარმაზარია. მუდმივად ყურადღების ცენტრში ხარ. ასაკობრივ გუნდებთან გატარებულ პერიოდს ამას ნამდვილად ვერ შევადარებ, დიახ, ეს განსაკუთრებული სამყაროა მიუხედავად იმისა, რომ მინდორზე შეგირდებს იმავეს ვასწავლი, რასაც აკადემიაში ვუჩიჩინებდი ბავშვებს. ჩემი მიდგომა ფეხბურთისადმი ნამდვილად არ შეცვლილა, რადგან “აიაქსში” ყველა ასაკობრივი გუნდი დიდი გუნდის სისტემით თამაშობს და შესაბამისად, სწავლების მეთოდები პრაქტიკულად არ განსხვავდება.

**- რა ისწავლეთ თავად თქვენი მწვრთნელებისგან?**

- ყოველთვის ვცდილობდი, რომ ჩემი თავი მწვრთნელის ადგილას წარმომედგინა. ახლა კი ყოველთვის ვეკითხები ხოლმე საკუთარ თავს, ვინ როგორ მოიქცეოდა კონკრეტულ სიტუაციაში. ვცდილობდი, რომ ყველასგან რაღაც კარგი ამეთვისებინა. მაგალითად გუუს ჰიდინკის ადამიანების მართვის ნიჭი, ბერტ ვან მარვიიკის ორგანიზატორული შესაძლებლობები, ვან გაალის სწრაფვა მუდმივი პროგრესისკენ. ლუისის მის შეგირდებს ყოველთვის ეშინოდათ, მაგრამ პატივს სცემდნენ.

**- ამას წინათ აღიარეთ, რომ გიჭირთ ახალი თაობის გაგება. რატომ ხდება ასე?**

- ეს რთული ამბავია... ახლანდელი ფეხბურთელები საკმაოდ განსხვავდებიან ჩემი თაობისგან. ამიტომ გავხდი იძულებული, რომ კორექტივები შემეტანა გეგმებში. პირადად მე მხოლოდ ის მინდოდა, რომ მეთამაშა, მემუშავა ბევრი ჩემს თავზე. მაშინ ნამდვილად არ გვქონდა ამდენი საცდური ფეხბურთელებს, ახლა კი საქმე სხვაგვარად არის. საზოგადოებამ მიიღო ცხოვრების განსხვავებული წესი და არც ფეხბურთია გამონაკლისი. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ჩემი 11 წლის ქალიშვილი ითხოვს, რომ მას მობილური ტელეფონი ვუყიდოთ და მისთვის ეს აბსოლუტურად ბუნებრივი მოთხოვნაა. ფეხბურთელებიც ასევე არიან.

**- როგორი იყო თქვენთვის ფეხბურთელობიდან მწვრთნელად გარდასახვის პერიოდი?**

- როცა ფეხბურთელი ხარ, ძირითადად საკუთარ თავზე ფიქრობ და ნაკლებად გეხება თანაგუნდელების პრობლემები. მწვრთნელი კი 26 ზრდასრული მამაკაცის სუროგატი მამასავით არის და ყველაფერს ყურადღებას აქცევს. ამ შემთხვევაშიც ვან გაალი მახსენდება, რომელმაც ყოველთვის იცოდა, თუ რა ხდებოდა მისი ფეხბურთელების ცხოვრებაში და ყოველთვის ხვდებოდა, რა ეთქვა ყოველ კონკრეტულ რთულ სიტუაციაში მისთვის. ეს აუცილებელია, რათა კონროლის ქვეშ გყავდეს სიტუაცია შენ გარშემო.

**- რამდენად მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მხარე?**

- ვიტყოდი, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი საჩემპიონო რბოლის ბოლო ეტაპზე.

**- წარმოგიდგენიათ თქვენი თავი 5 წლის შემდეგ?**

- კარიერაში არასოდეს დამიგეგმავს არაფერი 2-3 წლით ადრე. ახლაც ასე ვარ, ცხოვრებას ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვები.

**ლევან ბიბილაშვილი**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXIV ტურის მიმოხილვა

# ინტრიგამ კუდი მოიქნია

## QUE SE BESAN

ძალზე იშვიათი ტური გამოდგა ეს 34-ე ტური: „ბარსელონამ“ და „რეალმა“ ორწლიანი პაუზის შემდეგ წყვილად წააგეს და ახლა კატალონიელებს ტიტულის შენარჩუნებას 4 ტურში 4 ქულალა აშორებთ; მოულოდნელად დაიძაბა მე-3 ადგილისთვის ბრძოლა, ისევე როგორც - ევროთასების სხვა საგზურებისთვის, ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კატალონიურ-ბასკური ორშაბათის დაპირისპირება იყო (ბრწყინვალე მატჩიც გამოვიდა); პრიმერაში დარჩენისთვის ბრძოლა ხომ ისედაც დაძაბული იყო და ბოლო ტურის ბოლო წამებამდე ასეთად დარჩება. მოკლედ, ლა ლიგაში ინტრიგამ კუდი მოიქნია...

### ტურის სიმბოლური ნაკრები

GOAL.COM 3-4-3

**მეკარე**

**ტონიო** (რასინგი, 2): „რასინგი“ ალბათ კვლავ შეძლებს პრიმერაში დარჩენას, რადგან ასეთ მნიშვნელოვან ტურებში კარში დიდებულად თამაშობს ტონიო. „მალიორკასთან“ მატჩში კანტაბრიელთა გოლკიპერმა „თავი გაიგიჟა“ ერთი-ორი „მკვდარი ბურთი“ აიღო, ჩაროზად კი ივან რამისის პენალტი „დააყოლა“.

**მცველები**

**ტომაშ უიფალუში** (ატლეტიკო, 2): „ატლეტიკოს“ მატარებელი, როგორც იქნა, რელსებზე შედგა - მადრიდული კლუბი დიდებულად ასრულებს სეზონს. „დეპორტივოსთან“ ჩეხი მცველი უშეცდომოდ და ეფექტურად გაისარჯა.

**ივან ერნანდესი** (სპორტინგი, 1): სეზონის მეორე ნახევარში „სპორტინგის“ დაცვა ერთ-ერთი ყველაზე საიმედოა პრიმერაში. „ლევანტე“ თამაშით სჯობდა ასტურიელებს, მაგრამ მისმა თავდამსხმელებმა ვერაფერი გააწყვეს ივან ერნანდესთან.

**მიკელ გონსალესი** (რეალ სოსიედადი, 1): „ბარსელონას“ წინააღმდეგ თამაში მეტოქის მცველთათვის ძალზე რთულია, თუმცა მიკელ გონსალესის შემხედვარე ამას ვერ იტყოდით, ბასკი ძალიან კარგად, უშეცდომოდ გაისარჯა.

**ნახევარმცველები**

**ალვარო სეხუდო** (ოსასუნა, 1): პამპლონაში 3 ქულის ბედი სეხუდოს გასროლამ გადაწყვიტა, „ოსასუნას“ პრიმერაში დარჩენის შანსი მიეცა.

**კანი** (ვილიარეალი, 2): ადამიანი, რომელმაც ჟოზე მოურინიოს ბოთლი ესროლა, „ხეტაფეს“ კარში ულამაზესი გოლის ავტორია.

**ჩაბი პრიეტო** (რეალ სოსიედადი, 3): ბასკურმა გუნდმა გმირობა ჩაიდინა და, ბუნებრივია, ეს მისი საუკეთესო ფეხბურთელის გარეშე არ გამოვიდოდა - კონტრშეტევებზე მახვილგონივრულ პასებს აკეთებდა და გამარჯვების პენალტი გაიტანა.

**გაბი** (სარაგოსა, 2): კაპიტანმა ძალიან კარგად ითამაშა „სანტიაგო ბერნაბეუზე“, პლუს პენალტი გაიტანა.

**თავდამსხმელები**

**სერხიო აგუერო** (ატლეტიკო, 6): სეზონის მეორე ნახევარში მარადონას სიძე ბრწყინვალე ფორმაშია. აგუერომ „რიასორზე“ გამარჯვების გოლი გაიტანა.

**ჟულიო ბაპტიშტა** (მალაგა, 5): ეს ფეხბურთელი სასიამოვნოდ გვაოცებს. იტალიიდან გადმოსულმა ტრავმის გამო ბევრი გამოტოვა, მაგრამ ესპანურ ფეხბურთში თავს გრძნობს ისე, როგორც თევზი წყალში. ასეთ მოკლე დროში ბაპტიშტა 5-ჯერ მოხვდა სიმბოლურში და სუპერპროდუქტიულია.

**ანხელ ლაფიტა** (სარაგოსა, 1): ბევრი ვერ დაიკვეხნის „ბერნაბეუზე“ „რეალის“ კარში შესრულებული დუბლით. ამის გარდა, პენალტიც ლაფიტას მოპოვებულია.

## ტურის გმირი

**დიეგო იფრანი (რეალ სოსიედადი)**

„რეალ სოსიედადი“ აგებდა, როცა მისმა ურუგვაელმა ფორვარდმა დიეგო იფრანმა „ბარსას“ კარში გაიტანა და ბასკური გუნდის შემობრუნებას დაუდო სათავე. 23 წლის იფრანი აცხადებს, რომ კარიერაში ამაზე მნიშვნელოვანი გოლი არ გაუტანია.

## ტურის ანტიგმირი

**იკერ კასილიასი (რეალი)**



„რეალის“ კაპიტანმა ძალზე სერიოზული შეცდომა დაუშვა, საჯარიმოს გარეთ ბურთს ფეხი ააცილა და ლაფიტას ანგარიშის გახსნის საშუალება მისცა.

## ლეო VS რონალდო...

დუბლი 34

..არ შედგა. რატომ? ჰკითხეთ **ჟოზე მოურინიოს!** „სარაგოსასთან“ მატჩის განაცხადში **კრიშტიანო რონალდოს** ადგილი არ მოიძებნა, სეზონში 42 გოლის გამტანი ფორვარდისთვის ადგილი არ გამოიძებნა. **ლეო მესიმ** კი ითამაშა, მაგრამ არცთუ დამაჯერებლად.

## პირველი...

ახლა მოგიყვებით, როგორ ჩაეშალა დებიუტი 17 წლის **ჟერარდ დეულოფეუს**. **ხოსეპ გვარდიოლამ** სან სებასტიანში მეტად ექსპერიმენტული შემადგენლობა დააყენა. „ბარსელონას“ ოფიციალურ საიტზე 2 დღით ადრე დაიწერა, რომ დებიუტი ექნებოდა დეულოფეუსაც, რომელიც სათადარიგოთა სკამზე იჯდა. მაგრამ ისე მოხდა, რომ გვარდიოლას ორი მცველი დაემტვრა, ჯერ **მარტინ მონტოია**, რომელიც კარიერაში პირველად თამაშობდა „ბარსას“ სასტარტო შემადგენლობაში ისე დაიმტვრა, რომ თვე-ნახევარი მოედანს ვერ გაეკარება, შემდეგ კი **გაბრიელ მილიტოსთვისაც** ნაადრევად დასრულდა სეზონი. ორი მცველის გამოკლების შემდეგ პეპი, ბუნებრივია, ვერ შეუშვებდა 17 წლის ფორვარდს ასეთ დაძაბულ შეხვედრაში.



[...]ნას“ კარში დუბლის გატანით. ტამუდო ახლა „რეალ სოსიედადის“ ფეხბურთელია, ბოლო მატჩის პირველივე ტაიმში ის ისე ეუხეშა ახალბედა მონტოიას, რომ ამ უკანასკნელს ლავიწის ძვალი ჩაუშალა და მხარი ამოუგდო.

## ტურის ფრაზები

*„ვაღიარებ, მწვრთნელმა ვერ შეძლო შესვენებაზე ფეხბურთელების მოტივირება“*, - ჟოზე მოურინიო „სარაგოსასთან“ 2:3 მარცხის შემდეგ.

*„თუკი, რომელიმე კლუბს გმირული წარსული აქვს, ეს „რეალია“*, - **ხორხე ვალდანო.**

*„ყველას აქვს უფლება შეცდეს, ჩვენ ადამიანები ვართ“*, - **იკერ კასილიასი.**

*„ის, რაც დღეს მოხდა, ჩვენთვის ძალიან კარგი გაკვეთილია“*, - **ხოსეპ გვარდიოლა** „რეალ სოსიედადთან“ 1:2 მარცხის შემდეგ.

*„სხვა შედეგები რომ გავიგე, მწარედ ჩამეცინა, მაგრამ, რა ვქნა, არ მჩვევია სხვა გუნდების პატიოსნებაზე ლაპარაკი“*, - „დეპორტივოს“ მწვრთნელი **მიგელ ანხელ ლოტინა** უთუოდ „რეალისა“ და „ბარსელონას“ მარცხებზე მიუთითებს.

*„უდიდესი უპირატესობა გვქონდა, მაგრამ, რად გინდა“*, - „ალმერიას“ მწვრთნელი **რობერტო ოლაბე** „სევილიასთან“ მარცხის შემდეგ.

*„შეიძლება შევცდი, როცა ასეთი შემტევი ფეხბურთით ვათამაშე გუნდი“*, - „მალიორკას“ თავკაცი **მიქაელ ლაუდრუპი.**



ესპანიოლი-ბილბაო

## QUE SE BESAN ანუ ხვევნა-კოცნა ესპანურად

ამბობენ, რომ „ლევანტესა“ და „სპორტინგს“ შორის შეხვედრა, არცთუ სპორტულ გარემოში წარიმართაო. სტატისტიკის მოყვარულები ირწმუნებიან, რომ ორივე გუნდს ფრე ჰყოფნიდა პრიმერაში ადგილის დასაბევებლად. თამაში კი სწორედ 0:0 დასრულდა. თამაშის შემდეგაც საკმაოდ მეგობრული სიტუაცია იყო მოედანზე. თუმცა აი, როგორ ხსნის ამას „სპორტინგის“ თავკაცი **მანუელ პრესიადო,** ამას „ტურის ფრაზებისთვის“ შევინახავთ, რადგან მეტისმეტად მსუყე ლუკმაა.

## ტურის ინციდენტი

„ბარსელონას“ გულშემატკივრებს კიდევ ერთი მიზეზი მიეცათ კიდევ უფრო შეიძულონ **რაულ ტამუდო.** ვეტერანი ფორვარდი, რომელიც ცნობილია „ესპანიოლში“ თამაშით და „ბარსელო-

## დაბოლოს, ჩემპიონი ფრაზა:

*„ესეც ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია. მოლაპარაკება არავისთან არ არის საჭირო, როცა ფეხბურთელმა იცის, რა სჭირდება. როცა ორივე გუნდს ფრე სჭირდება, ხშირად თამაში მართლა ასე სრულდება. მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ თამაში ნაყიდი იყო“*, - ბრავო მანუელ პრესიადო!




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტურის მსხვერპლნი

**გაბი მილიტო:** „ბარსელონას“ არგენტინელი მცველი ორმაგად დააზარალეს, ჯერ ასპროცენტიანი გოლი არ ჩაუთვალეს, შემდეგ კი კუნთი ისე დაიზიანა, სეზონს წერტილი დაუსვა. გაბიმ წინა ტურშიც მიიღო ტრავმა, მოკლედ, ძალიან უიღბლოა.

**მარტინ მონტოია:** „ბარსელონას“ ახალგაზრდა მარჯვენა მცველი დამტვრეული ლავიწით და ამოგდებული მხრით გაიყვანეს მოედნიდან.

**ივან რაკიტიჩი:** ხორვატმა ნახევარმცველმა მარცხენა ფეხის თითი მოიტეხა და შემდეგ ტურებს ვინ ჩივის, ივნისში საქართველოს ნაკრების წინააღმდეგაც არ იქნება.

**კასერესი:** „სევილიას“ მცველმა ნეკნები დაიმტვრია იაკობსენთან შეჯახებისას. ალბათ, ვერც ის ითამაშებს სეზონის ბოლომდე.

**დუდუ ავატე:** ებრაელ გოლკიპერს ყბა გაუტეხეს და მას ოპერაცია ესაჭიროება.

**ტიაგო:** „ატლეტიკოს“ პორტუგალიელი ნახევარმცველის თამაში მომდევნო ტურში საეჭვოა, ის „რიასორზე“ დაამტვრიეს.

## ტურის სტატისტიკა

23 გოლი, 2,3 გოლი საშუალოდ. მასპინძლებმა მოიგეს 6, სტუმრებმა - 3, 1 თამაში ფრედ დასრულდა. 60 გაფრთხილება, 1 გაძევება, 2 ორი ყვითელი ბარათი

### ყველაზე, ყველაზე

**მეტი მაყურებელი:** 67 000 - „სანტიაგო ბერნაბეუ“

**ნაკლები მაყურებელი:** 10 000 - „მედიტერანეო“

**მეტი დარტყმა კარისკენ:** 19-19 - ვილიარეალი, სევილია

**კარში:** 8 - მალიორკა

**კუთხური:** 9-9 - დეპორტივო, ვილიარეალი

**ჯარიმა:** 21 - სარაგოსა

**ბურთის ფლობის %:** 74 - ბარსელონა

### TOP 10 დონ ბალონის მიხედვით

აქ ცოტაოდენი ახსნა-განმარტება უნდა მივაშველოთ, რადგან ბოლო ტურმა მნიშვნელოვანი კორექტურა შეიტანა - მესი და რონალდო ერთმანეთს დააშორეს, პორტუგალიელს სეზონში საშუალო შეფასებით „ვილიარეალის“ იტალიელმა ვარსკვლავმა **ჯუზეპე როსიმ** გაუსწრო. როსის საშუალო შეფასება 7,13-ია მას შემდეგ, რაც მან მორიგი გოლი გაიტანა. რონალდოს არ უთამაშია და ისევ 7,07 დარჩა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. მესი | ბარსელონა | 230 (31) | 7,42 |
| 2. როსი | ვილიარეალი | 228 (32) | 7,13 |
| 3. რონალდო | რეალი | 212 (30) | 7,07 |
| 4. ინიესტა | ბარსელონა | 229 (33) | 6,94 |
| 5. კასორლა | ვილიარეალი | 229 (33) | 6,94 |
| 6. ბ. ვალერო | ვილიარეალი | 215 (31) | 6,94 |
| 7. დ. ალვეში | ალმერია | 227 (33) | 6,88 |
| 8. რეიესი | ატლეტიკო | 202 (30) | 6,73 |
| 9. დ. ალვეში | ბარსელონა | 208 (31) | 6,71 |
| 10. ჩავი | ბარსელონა | 194 (29) | 6,69 |

სეზონის სიმბოლური ნაკრები „დონ ბალონის“ მიხედვით (პოზიციების გათვალისწინებით, 3-4-3):

**დიეგო ალვეში** (ალმერია) - **დანი ალვეში** (ბარსელონა), **მარსელო** (რეალი), **ჟერარდ პიკე** (ბარსელონა) - **ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა), **სანტი კასორლა** (ვილიარეალი), **ბორხა ვალერო** (ვილიარეალი), **ხოსე ანტონიო რეიესი** (ატლეტიკო) - **ლიონელ მესი** (ბარსელონა), **ჯუზეპე როსი** (ვილიარეალი), **კრიშტიანო რონალდო** (რეალი).

### მომდევნო ტური

**7 მაისი**

ბილბაო-ლევანტე
ხეტაფე-ალმერია
ერკულესი-რასინგი
სპორტინგი-დეპორტივო
ვალენსია-რეალ სოსიედადი
ატლეტიკო-მალაგა
სევილია-რეალი

**8 მაისი**

მალიორკა-ვილიარეალი
ბარსელონა-ესპანიოლი
სარაგოსა-ოსასუნა

| გუნდი | ქულა |
|---|---|
| 1. ბარსელონა | 88 |
| 2. რეალი | 80 |
| 3. ვალენსია | 63 |
| 4. ვილიარეალი | 60 |
| 5. ატლეტიკო | 52 |
| 6. სევილია | 52 |
| 7. ბილბაო | 51 |
| 8. ესპანიოლი | 48 |
| 9. ლევანტე | 43 |
| 10. სპორტინგი | 42 |
| 11. მალიორკა | 42 |
| 12. სოსიედადი | 41 |
| 13. რასინგი | 40 |
| 14. სარაგოსა | 39 |
| 15. მალაგა | 39 |
| 16. ოსასუნა | 38 |
| 17. დეპორტივო | 38 |
| 18. ხეტაფე | 37 |
| 19. ერკულესი | 33 |
| 20. ალმერია | 26 |

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. მანჩესტერი-შალკეს წინ

# ფერგი რუნის და ჩიჩარიტოს ასვენებს!

## მანჩესტერი მაინც შეუტევს, ოლონდ ოუენით და ბერბატოვით

**1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი**

**მანჩესტერი (ინგლისი) VS შალკე (გერმანია)**

**პირველი მატჩი 2:0**

04.05. მანჩესტერი. ოლდ ტრეფორდი. 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მანჩესტერი (4-4-2):** ვან დერ სარი - ფაბიო და სილვა, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ვალენსია, ქერიკი, სქოულზი, ნანი - ოუენი, ბერბატოვი.

**შალკე (4-2-2-2):** ნოიერი - უჩიდა, პიოვედესი, მეტცელდერი, სარპეი - კლუგე, პაპადოპულოსი - ფარფანი, ხურადო - რაული, ედუ.

**არბიტრი:** პედრო პროენსა (პორტუგალია)



უეინ რუნის დღეს დაასვენებენ

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის მეორე საპასუხო მატჩის წინ „შალკეს" შანსები იმდენად მცირეა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი **სერ ალექს ფერგიუსონი** თამამად ამბობს, რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს დავასვენებო. „იუნაიტედმა" გელზენკირხენში დამაჯერებელი ანგარიშით 2:0 მოუგო და მხოლოდ „შალკეს" უკანასკნელ ოპტიმისტ ფანებს თუ სჯერათ, რომ **რალფ რანგნიკის** გუნდს „ოლდ ტრეფორდზე" სასურველი ანგარიშით მოგება შეუძლია. „მანჩესტერს" კი მართლაც სჭირდება ძალების დაზოგვა, რადგან ფერგიუსონის ბიჭები გასულ უქმეებზე, პრემიერლიგაში „არსენალთან" დამარცხდნენ (0:1), რის შემდეგაც, უახლოეს მდევარ „ჩელსის" მხოლოდ სამი ქულითღა უსწრებენ. ინგლისის ჩემპიონატის მომდევნო ტურში კი, „იუნაიტედი" სწორედ „ჩელსის" უნდა შეხვდეს...

მართალია, მანკუნიანელები ოდნავ გადახალისებული შემადგენლობით ითამაშებენ, მაგრამ „იუნაიტედის" საყრდენი ნახევარმცველი **მაიკლ ქერიკი** დარწმუნებულია, რომ „შალკეს" მაინც არ აქვს დღევანდელი შეხვედრის თუნდაც ფრედ დამთავრების შანსი.

*„გამორიცხულია, რომ ფრეზე ვითამაშოთ. შევუტევთ ზუსტად ისე, როგორც პირველ მატჩში ვუტევდით. ასე რომ, რაულსა და კომპანიას ფინალში გასვლის თუნდაც მცირე იმედიც ნუ ექნებათ,* - აცხადებს მანჩესტერელთა 29 წლის ნახევარმცველი და იქვე დასძენს, *- მნიშვნელობა არ აქვს, ვის დაასვენებს ფერგიუსონი. ვინც მოედანზე გავა, ყველა უდიდესი თავდადებით ითამაშებს. ეს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალია, სადაც ყურადღების მოდუნება დაუშვებელია."*

„მანჩესტერმა" პირველი მატჩი **რაიან გიგზისა** და **უეინ რუნის** გოლების წყალობით მოიგო, თანაც, ორივე გოლი სამი წუთის ინტერვალში გაიტანა და დღევანდელი დაპირისპირების წინ ძალიან კომფორტულ მდგომარეობაშია. მეტიც: ეს ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ 28 მაისს, ლონდონში სწორედ „იუნაიტედი" ითამაშებს, „შალკესთვის" კი ჩემპიონთა ლიგის ზღაპარი ნახევარფინალში მთავრდება, რაც ნამდვილად „ჰეფი ენდად" უნდა მოვნათლოთ, რადგან გელზეკირხენული კლუბისთვის ესეც უდიდესი მიღწევაა.

### რუნი და ერნანდესი დაისვენებენ

რაც შეეხება კონკრეტულ საკადრო ცვლილებებს: „მანჩესტერის" ძირითად შემადგენლობაში დღეს ვერც რუნის ვიხილავთ და ვერც **ხავიერ ერნანდესს**. ეს თვითონ ფერგიუსონმა დაადასტურა: *„სასტარტოში რამდენიმე ცვლილება იქნება, ეს გარდაუვალია, რადგან მომავალ უქმეებზე „ჩელსისთან" უმნიშვნელოვანესი თამაში გვაქვს და ძალები ზუსტად უნდა გადავანაწილოთ. სწორედ ამიტომ, „შალკესთან" თავდასხმაში მაიკლ ოუენისა და დიმიტარ ბერბატოვის დუეტს ვათამაშებ,"* - განაცხადა ფერგიუსონმა გუშინწინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ბულგარელი გოლეადორი ბერბატოვი, რომელიც პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირია, ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე ითამაშებს და მექსიკელ ერნანდესს შეცვლის, ხოლო ოუენს კი რუნის ადგილზე, უკან დახეული ფორვარდის პოზიციაზე ვიხილავთ. გაგახსენებთ, რომ ერნანდესმა პირველ მატჩში არაერთი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, რადგან „შალკეს" მეკარე **მანუელ ნოიერი** შესანიშნავად თამაშობდა, რუნიმ კი მეორე გოლი გაიტანა.

სამაგიეროდ, ფერგიუსონი ცვლილებებს არ განახორციელებს უკანა ხაზში, სადაც, სავარაუდოდ, ისევ იმ ფეხბურთელებს ენდობა, რომლებიც გელზენკირხენში ათამაშა. აღსანიშნავია, რომ ფერგის **დარენ ფლეტჩერი** გამოუჯანმრთელდა. ამ უკანასკნელმა „ფელტის არენა აუფ შალკეზე" ავადმყოფობის გამო ვერ იასპარეზა.

### შალკეს სჭირდება სასწაული, რომელიც...

გუშინწინ გამართულ პრესკონფერენციაზე, „შალკეს" თავკაცი **რალფ რანგნიკს** ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა, უნდა ველოდოთ თუ არა თქვენი გუნდისგან მორიგ, ზუსტად ისეთ სასწაულს, როგორიც „შალკემ" ერთი თვის წინ მილანში მოახდინაო. ამ კითხვამ „პროფესორი რალფი" ძალიან გააბრაზა - ყოველ შემთხვევაში, „შალკეს" თავკაცს ერთობ ალერგიული რეაქცია ჰქონდა.

*„რას ნიშნავს მორიგი სასწაული? „ინტერს" სტუმრად 5:2 რომ მოვუგეთ, ის გამარჯვება სულაც არ იყო სასწაული. ეს იყო აბსოლუტურად დამსახურებული გამარჯვება. ჩვენ გვქონდა გეგმა, რომელიც იდეალურად შევასრულეთ და „ინტერი" ყველა ასპექტში დავჯაბნეთ. შესაძლოა, „ინტერი" ინდივიდუალურად არანაკლებ კარგადაა დაკომპლექტებული, ვიდრე „მანჩესტერი", მაგრამ როგორც გუნდი, „იუნაიტედი" გაცილებით ძლიერია, ვიდრე მილანური გრანდი,"* - აღნიშნა განაწყენებულმა რანგნიკმა.

მოკლედ, რა მნიშვნელობა აქვს, რას დავარქმევთ, გნებავთ სასწაული უწოდეთ, გნებავთ სენსაცია, ფაქტი ის არის, რომ „შალკეს" „ოლდ ტრეფორდზე" მინიმუმ ორბურთიანი სხვაობით გამარჯვება სჭირდება. გელზენკირხენული კლუბის უკიდურესად ოპტიმისტი ქომაგები ამბობენ, სად უნდა მოხდეს ამგვარი სასწაული, თუ არა „ოლდ ტრეფორდზე", ანუ, „ოცნებების თეატრშიო".

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ხელი ბოლომდე არც ფეხბურთელებს ჩაუქნევიათ. მაგალითად, 30 წლის საყრდენი ნახევარმცველი **პეერ კლუგე** ამბობს, ვინ იფიქრებდა, რომ მილანში ხუთ გოლს გავიტანდითო, რითაც იმის თქმა უნდა, რომ „შალკეს" გამარჯვება მანჩესტერშიც შეუძლია. *„სანამ რამე შესაძლებელია, წარმატების ყოველთვის უნდა გჯეროდეს,"* - ეს კი 24 წლის **ალექსანდერ ბაუმიოჰანის** სიტყვებია.

რანგნიკი კი იმას უსვამს ხაზს, რომ მის გუნდს დასაკარგი არაფერი აქვს, რამაც „შალკეს", წესით, ფრთები უნდა შეასხას - თუკი ეს შესაძლებელია. მაგრამ „პროფესორი რალფი" იმასაც ამბობს, რომ „მანჩესტერთან" უკანმოუხედავ შეტევებზე წასვლა თვითმკვლელობის ტოლფასია, შემტევ და დაცვით ფეხბურთს შორის ბალანსს კი ტაქტიკური თვალსაზრისით საუკეთესო მზადყოფნა სჭირდება.

თუ როგორ უნდა ითამაშოს „შალკემ" მანჩესტერში, ამაზე დეტალურად გელზენკირხენელთა ცენტრალურმა მცველმა, 30 წლის **კრისტოფ მეტცელდერმა** ისაუბრა: *„გაცილებით კომპაქტურად უნდა ვიდგეთ და ბურთთან უფრო აგრესიულად უნდა ვიმუშაოთ. „იუნაიტედი" ჩვენზე ძლიერია, რის გამოც, თითოეული ჩვენგანი საკუთარ თავს უნდა გადააჭარბოს. იმისათვის, რომ სასწაულის მოხდენა მართლაც რეალური გახდეს, ძალიან ბევრი უნდა ვიშრომოთ!"*

აღსანიშნავია ისიც, რომ „შალკეს" მეორე მცველი, უკანა ხაზის ბურჯი **ბენედიქტ ჰიოვედესი** მწყობრში ჰყავს და სხვათა შორის, გამოჯანმრთელდა ჰოლანდიელი თავდამსხმელი **კლაას-იან ჰუნტელაარიც**, მაგრამ ეს უკანასკნელი ძირითად შემადგენლობაში არ იქნება. ჰუნტელაარს რანგნიკის ფორმაციის „შალკეში" ჯერ არ უასპარეზია და მაქსიმუმ, შეცვლაზე ითამაშოს.

**გოტფრიდ ლენცი**

გუშინდელი მატჩი

**1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი**

**ბარსელონა (ესპანეთი) 1:1 რეალი (ესპანეთი)**

**პირველი მატჩი 2:0**

3 მაისი. ბარსელონა. კამპ ნოუ. 95 000 მაყურებელი

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, მასკერანო, პიკე, პუიოლი (90. აბიდალი) - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - ვილია (74. კეიტა), მესი, პედრო (92. აფელაი).

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, რიკარდო კარვალიო, ალბიოლი, მარსელო - ლ. დიარა, ჩაბი ალონსო - რონალდო, კაკა (60. იოზილი), დი მარია - იგუაინი (55. ადებაიორი).

**გოლები:** 1:0 პედრო (54), 1:1 მარსელო (64)

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: ბარსელონა

პირველი კუთხური: ბარსელონა

პირველი ჯარიმა: რეალი

პირველი გაფრთხილება: რეალი

| ბარსელონა | | რეალი |
|---|---|---|
| 11 (6) | დარტყმა | 3 (1) |
| 10 | ჯარიმა | 31 |
| 3 | კუთხური | 2 |
| 1 | გაფრთხილება | 5 |
| 64% | ბურთის ფლობა | 36% |

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერე (ბელგია)

# ბარსა უემბლიზე, რეალი სახლში

## პეპე, ჟოზე, მესი, აბიდალი...

ყველაზე კარგი ამ წვიმითა და უხეშობით გაჯერებულ თამაშში სულ უკანასკნელ წუთზე მოხდა - მოედანზე გამოვიდა **ერიკ აბიდალი**, „ბარსელონას" ფრანგი მცველი, რომელმაც ამით დიდი გამარჯვება მოიპოვა - ადამიანმა აჯობა სასტიკ სენს და არა მარტო გამოჯანმრთელდა, არამედ ფეხბურთსაც დაუბრუნდა. მან სულ რამდენიმე წამი ითამაშა, თუმცა თავისი ცხოვრების უდიდესი გამარჯვება კი მოიპოვა.

უნდა ვაღიაროთ, რომ საგაზაფხულო „კლასიკოების" 4 სერიიდან (17 დღეში!) გაცილებით მეტს ველოდით - არა, „რეალისა" და „ბარსელონას" დაპირისპირებებს სკანდალი და დაძაბულობა არ დაჰკლებია, მაგრამ საფეხბურთო ზეიმი არ შედგა. ორი-სამ გაელვებას თუ არ ჩავთვლით, ამ სერიამ ფეხბურთს ბევრიც ვერაფერი შემატა - **ლეო მესის** სუპერგოლს თუ გავიხსენებთ პირველ ნახევარფინალურ მატჩში. განსაკუთრებით დიდი იმედგაცრუება წუხელ გველოდა - „რეალი" თითქმის განწირული იყო ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალის წინ, მწვრთნელისა და ორი მოწინავე ფეხბურთელის გარეშე „სამეფო კლუბს" 0:2 წაგების აღმოხვრა ნაკლებად ხელეწიფებოდა. ბრძოლა არც ამ თამაშს დაჰკლებია, თუმცა ორი მიზეზის გამო ის ნაკლებად ჰგავდა საფეხბურთოს - პირველი კოკისპირული წვიმაა, რომელმაც „კამპ ნოუს" მინდორი ერთ დიდ გუბედ აქცია, მეორე კი ფეხბურთელთა ზღვარგადასული უხეშობა, განსაკუთრებით კი სტუმართა მხრიდან. წარმოიდგინეთ, „რეალი" 31-ჯერ დაჯარიმდა თამაშის მსვლელობისას ანუ ყოველ 2,9 წუთში ერთხელ! თამაში კი ყოველ 2,1 წუთში ერთხელ ჩერდებოდა („ბარსაც" ხომ ჯარიმდებოდა).

და მაინც, ყველაფერი სულ სხვაგვარად შეიძლება განვითარებულიყო **ფრანკ დე ბლეეკერეს** 47-ე წუთზე **გონსალო იგუაინის** გოლი რომ ჩაეთვალა, ბელგიელმა არბიტრმა ბოლო პასის გამკეთებელი **კრიშტიანო რონალდო** დააჯარიმა. საოცარია, მაგრამ ფაქტია - უეფას ოფიციალური საიტის მიმოხილვაში ეს ეპიზოდი საერთოდ არ მოხვდა, ხოლო „ცოცხალ" კომენტარში წაიკითხავთ: *„47-ე წუთი: რონალდო ჯარიმდება მასკერანოსთან ორთაბრძოლაში".*

სულ მალე კი ყველაფერი გადაწყდა - 54-ე წუთზე **ანდრეს ინიესტამ** დიდებული პასი მისცა **პედროს** და ამ უკანასკნელმაც დააწინაურა „ბარსელონა". ისედაც განწირული „რეალი" 3 გოლს რომ ვერ გაიტანდა, ცხადი იყო, თუმცა **ჟოზე მოურინიოს** ფეხბურთელები არ დანებდნენ და ათ წუთში გათანაბრება შეძლეს - **დი მარიამ** ძელს გაარტყა ბურთი, უკან გამოვარდნილი ისევ თავად ჩაიგდო და **მარსელოს** გაატანინა - 1:1. „ბარსელონა" ფინალშია - 28 მაისს „უემბლიზე" ითამაშებს, მისი მეტოქე დღეს გაირკვევა, თუმცა დიდი ალბათობით, ის მეტოქე „მანჩესტერ იუნაიტედია".

ისე, კაცმა რომ თქვას, გაზაფხულის ოთხი „კლასიკოდან" გუნდებმა თითო მოიგეს და ორი ფრედ დაასრულეს, თუმცა ცხადზე უცხადესია, რომ „ბარსელონა" გამარჯვებული გამოვიდა ამ სერიალიდან - ჩემპიონატში მანამდე თითქმის მოგებული, ლოგიკურ დასასრულს მიუახლოვა, ჩემპიონთა ლიგიდან გააგდო „რეალი", რომელსაც მხოლოდ ქვეყნის თასი „დაუთმო".

**საინტერესო ფაქტი:** ლეო მესის წინააღმდეგ წუხელ 11-ჯერ დაჯარიმდნენ. **ლასანა დიარამ** კი სულ 8-ჯერ დაარღვია თამაშის წესი.

ქვესათაურში ოთხი ადამიანის სახელი გამოვიტანეთ, რომლებიც ჩვენი აზრით, 4 „კლასიკოს" 4 გმირია (ქრონოლოგიურად): პირველში მართლაც საუცხოოდ ითამაშა **პეპემ**, მეორე „რეალმა" ჟოზეს გამართული ტაქტიკით მოიგო, მესამე - მესი უკომენტაროდ და ბოლოს - აბიდალი. ამასთან, პირველმა ორმა გმირმა მერე და მერე ანტიგმირობაც მოასწრო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლეო მესი რეალელთა ალყაში

● თბილისი-2015. პრესკონფერენცია ოლიმპიური კომიტეტში




# კირკიტა ბელგიელი და ტრადიციული ქართული პრობლემა

გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც „თბილისი-2015" მზადებას მიეძღვნა. 24 მაისს თბილისში სპორტული ობიექტების შესამოწმებლად ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის კომისიის თავმჯდომარე, ბელგიის ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი **გვიდო დებონდტი** და „თბილისი-2015" საკოორდინაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სლოვაკეთის ეოკ-ის გენერალური მდივანი **ჯოზეფ ლიბა** ჩამოდიან. გუშინდელი შეხვედრაც მათთვის დასახვედრად მომზადებას ისახავდა მიზნად. ამიტომ მიწვეულები იყვნენ თამაშების პროგრამაში შეტანილი ცხრავე სახეობის და შეჯიბრების მასპინძელი სპორტული ობიექტების ხელმძღვანელები. აგრეთვე, ამ თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **რევაზ ჩომახიძე** და გენერალური მდივანი **არჩილ გეგენავა**.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** საგანგებოდ სთხოვა ყველას, დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ხსენებულ ვიზიტს, რადგან წინასწარ იციან, ბელგიელი დებონდტი საკირკიტოდ ჩამოვა და არ დაგვზოგავს. საქმე ისაა, რომ ამ ფესტივალის მასპინძლობისთვის ბრძოლაში ბელგიელი ჩეხების ბანაკში იყო (შეგახსენებთ - მაშინ თბილისის ერთადერთი კონკურენტი იყო ჩეხური ბრნო). *„ამგვარ ღონისძიებებში ყველაფერი, ყველა ნიუანსი განსაზღვრულია ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ქარტიით. დებონდტი და ლიბა 24 მაისს თბილისში სწორედ იმის შესამოწმებლად ჩამოდიან, როგორ ვითვალისწინებთ ქარტიის მოთხოვნებს და შევძლებთ თუ არა მათ შესრულებას. უნდა ვეცადოთ, ბელგიელს არ მივცეთ უარყოფითი დასკვნის დაწერის საშუალება"* - მიმართა ნაცვლიშვილმა სხდომის მონაწილეებს. მან დამსწრეთ ისიც სთხოვა, რომ ბაზების ტექნიკური სტანდარტების მოსაწესრიგებლად კონსულტაციები თავიანთი სახეობების საერთაშორისო ფედერაციებთან გაიარონ, სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა **რამაზ გოგლიძემ** კი რამდენჯერმე სთხოვა ყველა ფედერაციის ხელმძღვანელს, საგანგებოდ მოემზადონ ევროპელი სტუმრების სამასპინძლოდ, რათა რაიმე გაუთვალისწინებელი არაპროფესიული კითხვით, რბილად რომ ვთქვათ, სტუმრებთან არ ჩაიჭრან. ბაზების ხელმძღვანელებს ასევე საგანგებოდ სთხოვეს, სანიტარულ-ჰიგიენურადაც მოაწესრიგონ იქაურობა. ჯერ კიდევ კანდიდატად ყოფნისას ყოფილა შემთხვევები, როცა ბაზებზე მისულ ევროპელ ექსპერტებს იქ ანტისანიტარია დახვედრიათ. მაშინ თურმე იმით გადავრჩით, რომ ისინი მეგობართა ჯგუფიდან იყვნენ და ამაზე თვალი დახუჭეს, არ დააფიქსირეს, ბელგიელისგან კი დანდობა არ გვექნება.

ნაცვლიშვილმა ამას წინათ ტრაბზონში მივლინებაზეც ისაუბრა, რომელიც ზაფხულში უმასპინძლებს ანალოგიურ ფესტივალს. თურმე იმათ საორგანიზაციო კომიტეტში 150 კაცი ყოფილა, ჩვენთან კი დაახლოებით 100-კაცამდეა ნავარაუდევი. ითქვა ისიც, რომ თურქეთში ფესტივალის სამასპინძლოდ 157 მილიონი დოლარი ყოფილა გამოყოფილი, ოღონდ ცენტრალური სტადიონის გარდა, სადაც გახსნა-დახურვის ცერემონიალები გაიმართება, ყველაფერი თავიდან აუშენებიათ. სავარაუდოდ, ჩვენთან შედარებით იაფი დაჯდება, რადგან ბაზების უმეტესობა უკვე აშენებულია, თუმცა მათაც სჭირდებათ საერთაშორისო სტანდარტებამდე მისასვლელად გაუმჯობესება.

ბაზების საკითხი გუშინდელ სხდომაზე ყველაზე მტკივნეული იყო, რამაც ერთი ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემაც გააშიშვლა - გაირკვა, რომ ქვეყანაში არც ერთი სპორტული ობიექტი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და საამისოდ კიდევ გვარიანი რემონტია საჭირო. უშუალოდ საშეჯიბრებო არენა იქნებ კი ჯდება სტანდარტებში, მაგრამ აუცილებლად გადასაჭრელი პრობლემაა სათადარიგო დარბაზები, გასახდელები, სათავსები და დამხმარე ოთახები. ეს ერთმნიშვნელოვნად აქტუალურია ძველი თუ ახალაშენებული ბაზების უმეტესობისთვის. მაგალითად, ეროვნული სტადიონისა თუ საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკისთვის". ეროვნულ სტადიონზე მძლეოსანთა შეჯიბრებაა განზრახული, მაგრამ იქ ძირითადი სარბენი ბილიკების გარდა არაა სავარჯიშო ბილიკები, ოთახები, სადაც სტუმრები თუნდაც ეკიპირებას, ჩანთებს დაალაგებენ. მოგეხსენებათ, მძლეოსნობის ფედერაცია დიდუბის მანეჟს არემონტებს და ფესტივალისთვის იმის გამოყენებას გეგმავდა თავისი სასტუმროთი, მაგრამ მათ განუმარტეს, რომ სტუმრები ოლიმპიურ სოფელში უნდა დაბინავდნენ, ხოლო ვარჯიშითაც ძირითად არენაზე უნდა ივარჯიშონ. სიგრძე-სიგანე-სიმაღლით საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს „ოლიმპიკი", მაგრამ აუზი მოთელვისთვის არც მას აქვს. იქ კი არის ერთი სათადარიგო, მაგრამ ის მეტად პატარაა. ამასთან, სავარჯიშო აუზი ძირითად არენას და გასახდელს დახურული დერეფნით უნდა უკავშირდებოდეს - ესეც საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნაა. ამ კონტექსტში „ლაგუნა-ვერეც" ახსენეს, სადაც ეს ყველაფერი არის, მაგრამ კოსმეტიკური სამუშაოებისთვის იქაურობას დიდი რემონტი სჭირდება. ამ კონტექსტში **ბიძინა ივანაშვილიც** ახსენეს, იმას ვთხოვოთ დახმარება, მაინც უნდა გვეთხოვა რალაცის გაკეთებაო, რასაც მეორე სახუმარო რეპლიკა მოჰყვა - მისთვის უფრო მნიშვნელოვანი სათხოვარი გვქონდა, ეს წვრილმანიაო.

ბაზების უმეტესობაში ტრიბუნებიც პრობლემაა - 1000 კაცს მაინც უნდა იტევდეს. სწორედ ესაა ძირითადი ხელის შემშლელი მიზეზი ძიუდოს აკადემიის და **ჯემალ ცერცვაძის** სახელობის სპორტსკოლისთვის, სადაც ხელბურთელთა შეჯიბრების გამართვაა ნავარაუდევი - იქაური ტრიბუნები მეტისმეტად მცირე ტევადობისაა, განსაკუთრებით - სპორტსკოლაში. ძიუდოს აკადემია ვახსენეთ და აქვე ერთი უცნაურობაც - სადღეისო გეგმით, თავად ამ შენობაში ხელბურთელთა ტურნირის ჩატარებაა განზრახული, ძიუდოსი - სპორტის სასახლეში, კალათბურთელთა შეჯიბრებისთვის კი ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეა შეგულებული! ალბათ, ლოგიკური იქნება, კალათბურთი სპორტის სასახლეში დავტოვოთ, ძიუდო - თავის დარბაზში, თუმცა ეს კიდევ არაფერი, მთავარი პრობლემა ისაა, რომ ვერის ბაღიც პატარაა - კალათბურთში ბიჭებთან ერთად გოგოების ტურნირიც უნდა გაიმართოს ანუ ორი დარბაზია საჭირო. რაოდენობრივად იქ მართლაც არის ორი, მაგრამ ერთი იმდენად პატარაა, ამ შეჯიბრებისთვის არ გამოდგება.

პრესკონფერენციაზე ყველაზე უკეთ მაინც კალათბურთისა და ჩოგბურთის ბაზების მდგომარეობა წარმოჩნდა, თუმცა ჩოგბურთში ახალი კორტების აშენება „მზიურშიც" იგეგმება. შეხვედრაზე ყველაზე პრობლემურად ველოსპორტის საკითხი იქცა. ითქვა, რომ კარგი იქნება, თუ ტრასები ქალაქში მოეწყობა - ეს ტელერეპორტაჟებისას თბილისის უფასო ტურისტული რეკლამაც გამოვა, რადგან კადრში ქალაქის ხედებიც მოხვდება. ოღონდ პრობლემაა ტრასების სიგრძე და თან ქალაქში გუნდური რბოლა არა არის რეკომენდებული. ამ კონტექსტში რუსთავი-თბილისის ტრასაც ახსენეს, თუმცა ამან დიდი ენთუზიაზმი ვერ გამოიწვია. არადა, თბილისთან ერთად რუსთავის რეკლამაც რატომ იქნება ცუდი? ველოტრეკის მოწყობა თბილისის ზღვაზეა განზრახული, სადაც ოლიმპიური სოფლის აშენება იგეგმება, მაგრამ ამ იდეას თავად ფედერაციის ხელმძღვანელობა არ მიესალმა სათანადო პირობების არქონის გამო. სპორტის ერთადერთი სახეობა, სადაც ახალი, სპეციალური ბაზის აშენებას ალტერნატივა არ აქვს, ტანვარჯიშია - ყველა თანხმდება იმაზე, რომ მისთვის ახალი დარბაზის აგების გარდა სხვა საშველი არაა.

**ირაკლი თავაძე**

● ძიუდო

# ბაქოსთვის გუნდი გაირკვა

საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრების ხელმძღვანელობამ დაასახელა ის შემადგენლობა, რომელიც 6-8 მაისს ბაქოში, „დიდი პრიზის" ტურნირზე იჭიდავებს. მწვრთნელებმა არჩევანი ძირითად იმათზე შეაჩერეს, რომლებმაც ახლახან სტამბოლში ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავეს: **ამირან პაპინაშვილი** (60), **შალვა ქარდავა** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი**, **თენგიზ პაპოშვილი** (ორივე - 73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი**, **ლევან ნიკლაური** (ორივე - 81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ირაკლი ცირეკიძე**, **ლომერ ჟორჟოლიანი** (ორივე - 100), **მერაბ მეტრეველი** (+100).

შეგახსენებთ, რომ ეს შეჯიბრება ტუნისში უნდა გამართულიყო, მაგრამ იქ შექმნილი პოლიტიკური არეულობის გამო საერთაშორისო ფედერაციამ ბაქოში გადმოიტანა. ეს ბევრად უფრო მისაღებია, ვიდრე ეგვიპტური ტურნირის ბედი, რომელიც ასევე პოლიტიკური ვითარების გამო საერთოდ გააუქმეს. ბაქოს „დიდი პრიზი" სალიცენზიო ქულებსაც იძლევა.

**ირაკლი თავაძე**

● ჩოგბურთი

# ერთი მოგება ასეულამდე

## ანა ტატიშვილმა საქართველოს ნაკრებში თამაშზე უარი თქვა

მსოფლიოს მე-100 ჩოგან **ჟილ კრეიბასს ანა ტატიშვილი** (105) ზუსტად 24 ქულით ჩამორჩება. 21 წლის ქართველის უპირველესი ამოცანაც ამ ჩამორჩენის ალმოფხვრა და კარიერაში პირველად ასეულში შესვლაა. ამ მიზნისთვის ჩვენმა პირველმა ჩოგანმა, სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებში გამოსვლაზე უარი თქვა და საფრანგეთის ტურნირში ჩაერთო. ანა წინასწარ განაცხადში იყო, ახლა გუნდი 3-კაციანი შემადგენლობით ითამაშებს ეგვიპტეში პირველი, მეორე და მესამე ჩოგნების გარეშე. რა ობიექტური მიზეზიც უნდა არსებობდეს, ჩვენ ტატიშვილს ამ ნაბიჯს მაინც ვერ მოვუწონებთ, თუმცა კანსურ-მერში წარმატებას ვუსურვებთ. ამ ტურნირის საპრიზო ფონდი 100 ათას დოლარზე მეტია.

კან-სურ-მერში ტატიშვილმა პირველ წრეში ორ სეტში დაამარცხა მე-8 ნომრად განთესილი ბრიტანელი **ენ კეტავონგი** (96) - 6:3, 6:4. მერვედფინალში ჩვენებურის მეტოქე ან რუმინელი **სორანა ცირსტეა** (106) ან სლოვენიელი **ანდრეა კლეპაჩი** (279). ამ ერთი მოგებით ანამ უკვე დაიბევა 20 ქულა, თუმცა ასეულში შესასვლელად ეს არ კმარა. თუკი ჩვენი თანამემამულე მომდევნო მატჩსაც მოიგებს, 40 ქულას დაიბევებს და მიზანსაც მიაღწევს. ანა ასე ახლოს არასოდეს ყოფილა ტოპ-100-ეულთან.

უზბეკეთის ქალაქ ბუხარაში 25-ათასიანი ტურნირი მოგებით დაიწყო **ოქსანა კალაშნიკოვამ** (187), რომელმაც „უაილდ ქარდით" მიწვეული ბულგარელი **ანი ვანგელოვა** გაანადგურა - 6:2, 6:0. შეგახსენებთ, რომ ჩვენი თანამემამულე ბუხარაში მე-2 ნომრად არის განთესილი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



● სუმო

# დიდი ჩემპიონის სტუმრობაო...

8 მაისის ტოკიოს დარბაზ „კოკუგიკანში" წლის მეორე ბაშო დაიწყება. საყოველთაო ყურადღების ცენტრშია დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰოს** მზადება. მონღოლს ხომ თანამემამულე ასაშორიუს რეკორდის გამეორება სურს - 2004-2005 წლებში **ასაშორიუმ** ზედიზედ 7 ბაშო მოიგო, ჰაკუჰოს ანგარიშზე კი მიჯრით 6 მოგებული ბაშოა. გუშინ ჰაკუჰო „კასუგანოს" კლუბს ეწვია და იქ გამართა სავარჯიშო ორთაბრძოლები. სწორედ ამ კლუბის წევრია ელიტის ყველაზე ახალგაზრდა რიკიში **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**. ჰაკუჰომ ტოჩინოშინთან, მის თანაკლუბელებთან, **ტოჩიოძანთან** და **ტოჩინოვაკასთან** და ორ მიწვეულ სუმოისტთან, **კაკურიუსთან** და **ოკინოუმისთან** 15 ორთაბრძოლა გამართა. 15-დან 14 დიდი ჩემპიონის გამარჯვებით დასრულდა, მას მხოლოდ ერთხელ აჯობა კომუსუბი კაკურიუმ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სუპერლიგა. მეოთხედფინალი

# NBA-ს მსგავსად ვერა, მაგრამ... დაიწყო

ოთხივე მეოთხედფინალში უხვად ოფლი დაიღვარა, ერთში კი გადამწყვეტი სიტყვა იღბალმა თქვა. ეს იყო შსს-სა და „სოხუმის" დაპირისპირება, რომელიც სიუჟეტის დრამატულობით არც ჰოლივუდის ფილმს ჩამორჩებოდა და არც NBA-ს მატჩებს. თუმცა, არ გეგონოთ, საქართველოს ჩემპიონატს ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციას ხარისხობრივად ვადარებთ.

ქვემოთ გაეცანით შსს-"სოხუმის" მატჩის მიმოხილვას და თავადაც დარწმუნდებით, რომ მოვლენები მართლაც საინტერესოდ განვითარდა.

ისევ NBA უნდა ვახსენოთ. იქ პლეი ოფი სენსაციებით დაიწყო: რეგულარული ეტაპის მიხედვით ერთ-ერთი საუკეთესო გუნდები „ორლანდო" და „სან ანტონიო" რიგითებმა, შესაბამისად „მემფისმა" და „ატლანტამ" გამოაგდეს. საქართველოში კი ყველაფერი ლოგიკურად დაიწყო: პირველადგილოსანმა „არმიამ" მერვეადგილოსანი „ენერჯი" დაამარცხა, თსუ-მ (რეგულარულში მეორე იყო) - სტუ (VII), „ქუთაისმა" (III) - „სამედიცინო" (VI), ხოლო შსს-მ (IV) - „სოხუმი" (V).

**3 მაისი, თბილისი**

| | |
|---|---|
| არმია | 94 |
| ენერჯი | 63 |

**25:13, 22:14, 23:15, 24:21**

**არმია:** ბაქრაძე (3ქ), ბაბიაშვილი (12ქ, 5მ), ბოისა (11ქ, 5მ, 3პ), მინაშვილი (7ქ, 5მ), ტულუში (10ქ, 9მ, 3პ), პირველაშვილი (4ქ), მოსეშვილი, ათანელიშვილი (15ქ, 15მ, 2დ), ათუაშვილი (8ქ, 6მ), საყვარელიძე (11ქ, 5მ, 4პ, 3ჩ), შარაბიძე (13ქ), ბ/ ბერიშვილი (5პ, 3ჩ)

**ენერჯი:** მაჭავარიანი (7ქ, 4პ), გ. ბერუაშვილი (3პ), აბაიშვილი (6ქ, 6პ, 5მ), გუგავა (7ქ), ლამუ (26ქ, 14მ, 5დ), თვარაძე (2ქ), არაბული (11ქ, 3ჩ, 7მ), აბულაძე (4ქ)

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

**არმია იგებს სერიას 1:0**

ამ წყვილში გამარჯვებულის გამოცნობა ყველაზე იოლი იყო. წინასწარ იმის თქმაც შეიძლება, რომ „არმია" მეოთხედფინალში ორ მატჩს იკმარებს.

ამის მიზეზი ისაა, რომ შუა სეზონში „ენერჯი" წამყვანმა კალათბურთელებმა დატოვეს, ხოლო „არმია" ახლახან დაბრუნდა ბათუმური შეკრებიდან და შემადგენლობის სიძლიერეს თავი რომ დავანებოთ, კარგ ფორმაშია.

**3 მაისი, თბილისი**

| | |
|---|---|
| შსს | 77 |
| სოხუმი | 72 |

**26:14, 11:25, 18:16, 22:17**

**შსს:** ლაფანაშვილი (3ქ, 3პ), ბ. ლეჟავა (22ქ, 5მ, 6პ), ნიკოლაძე (6ქ, 5მ), ი. ბერიშვილი (6ქ), კოტონი (3პ), მარკოიშვილი (3ქ), ტუჯანი, დ. ბარბაქაძე (13ქ, 10მ), იმნაძე (21ქ, 9მ, 2დ), ს. შერმადინი, ტომარაძე (3ქ)

**სოხუმი:** ფარლალავა (19ქ, 9პ), პარისი (3ქ, 4პ), ჩლაიძე (8ქ, 6მ), კვეტენაძე, შანიძე (7ქ), სორდია (4ქ), კანკია, კ. დამუსი (8ქ, 6მ, 2დ), რ. დამუსი (12ქ), ფაცაცია (11ქ, 8მ)

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

**შსს იგებს სერიას 1:0**

ციფრებს დაგისახელებთ და თავადაც მიხვდებით, რომელმა გუნდმა როგორ დაიწყო მატჩი: მეორე პერიოდის სტარტზე **დავით უსტიაშვილის** შსს 29:14 დაწინაურდა. ისევე როგორც „არმიასთან" მატჩში საწყის უპირატესობას შსს-ელებმა პერიმეტრიდან ზუსტი თამაშით მიაღწიეს.

მალე თამაშის სურათი რადიკალურად შეიცვალა: ათამაშდა ყველა სოხუმელი, სამქულიანებს ფარქვეშიდან ზუსტი ტყორცნები მიემატა და „გამოცხვა" 19:0 გაქცევა, რის შედეგადაც **აინარს ბაგაცკისის** შეგირდები წინაც გავიდნენ (33:29).

მესამე პერიოდი ტრავმამოშუშებული **დათო იმნაძის** ბენეფისად იქცა: ფარქვეშ მისი შეჩერება გაუჭირდა **რიჩარდ დამუსს**, თუმცა იმნაძე პერიმეტრიდანაც ზუსტი იყო, ერთმანეთის მიყოლებით 10 ქულა ჩააგდო და 47:42 - შსს-ს სასარგებლოდ. „სოხუმის" ლატვიელმა მწვრთნელმა იმნაძის შესაჩერებლად მოედანზე **კარლ დამუსი** შეუშვა და მკაფიოდ უთხრა - ფართან ახლოს არ მიუშვაო. კარლი გულიანად ასრულებდა მწვრთნელის დავალებას, თუმცა ერთ ეპიზოდში იმნაძესთან შელაპარაკება მოუვიდა და არაერთი უხეში სიტყვა გაცვალეს, რაც მსაჯებმა შენიშნეს და ორივე ტექნიკური ჯარიმით დასაჯეს. ეს „სოხუმს" აძლევდა ხელს, რადგან მანამდე კარლ დამუსს 1 ფოლი ჰქონდა, ხოლო იმნაძეს - 3. ეს უკანასკნელი მწვრთნელმა სათადარიგოთა სკამზე დასვა, კარლს კი გაბრაზება ძალიან მოუხდა: დამაგვირგვინებელ ფაზაშიც გამოირჩა და დაცვაშიც მეტად სასარგებლო იყო.

მეოთხე პერიოდში თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. დაღლა არ ეტყობოდა **ლაშა ფარლალავას**, რომელიც მეტოქეს ჯერ დაწინაურების საშუალებას არ აძლევდა, ხოლო სირენამდე 3:08 წამით ადრე შორეული სამქულიანით „სოხუმი" 5 ქულით წინ გაიყვანა (68:63). სწორედ ამ დროს ბევრს ეგონა, რომ გუშინ იღბალი სოხუმელთა მხარეს იყო, მაგრამ ზუსტად ორ წუთში შსს-ს გამოცდილმა უკანახაზელმა **გიორგი ნიკოლაძემ** სამქულიანით „ჩარხი" შსს-ს სასარგებლოდ დაატრიალა. მან ეს არ იკმარა და გამარჯვების მომტანი მეორე სამიანი სირენამდე 31 წამით ადრე ჩააგდო (73:70). ეს უპირატესობა **ბესიკ ლეჟავამ** კიდევ უფრო განავრცო და შსს-ს მეოთხედფინალურ სერიაში პირველი მატჩი მოაგებინა.

მატჩის სტატისტიკა საინტერესო სანახავი იყო: მოხსნებში შსს-მ 48:37 იმარჯვა, თუმცა ფარქვეშიდან ჩაგდებულ ბურთებში დიდი უპირატესობა „სოხუმს" ჰქონდა - 36:22.

ეს მატჩი ჩვენ წავაგეთო, თქვა „სოხუმის" დამრიგებელმა **აინარს ბაგაცკისმა.** ამ სიტყვების ანარეკლი სოხუმელთა საჯარიმოების რეალიზების მაჩვენებელი უნდა იყოს: 17-დან 4 (23.5%). ბოლო წამებზე, „სოხუმი" 3 ქულით წინ იყო, საჯარიმოს ხაზიდან ორჯერ არაზუსტად ისროლა **დიმა ფაცაციამ,** რომელიც წლევანდელ სუპერლიგაში პირველ მატჩს ატარებდა. იგი ამერიკიდან შაბათს ჩამოვიდა და როგორც თვითონ ამბობს, ჯერაც ვერ გადმოერთო ქართულ დროზე. ეს ტყორცნების სიზუსტეზე აისახა, თუმცა დაცვაში კარგად ითამაშა, მეორე ტაიმში შსს-ს სნაიპერ ლეჟავას მეურვეობდა.

- ბევრი შეცდომა დავუშვით, თუმცა გადამწყვეტ მომენტში უკეთესად მობილიზებულები აღმოჩნდით და ჩვენი გულშემატკივრის მოლოდინი გავამართლეთ. „სოხუმი" ძლიერი გუნდია, რაც დღესაც დაამტკიცა. მომდევნო მატჩშიც ასეთივე მძიმე ბრძოლა გველის, - აღნიშნა ნამატჩევს ბესიკ ლეჟავამ.

შსს-ს მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა ყურადღება ტრავმირებულებზე გაამახვილა:

- ტრავმები ვერ მოვიშორეთ... ტუჯანმა ორი დღეა, რაც ვარჯიში განაახლა, ნივნივაძეს ხელი აქვს ნატკენი და ვერ გვეხმარება, ხოლო კოტონმა დღევანდელ მატჩში მუხლი დაიზიანა. რამდენად სერიოზულია ტრავმა, ჯერ არ ვიცით. ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

**3 მაისი, თბილისი**

| | |
|---|---|
| თსუ | 97 |
| სტუ | 81 |

**19:15, 26:21, 30:25, 22:20**

**თსუ:** ფანჩულიძე (19ქ), გაფრინდაშვილი (3ქ, 9მ, 3პ, 3ჩ), მარხვაშვილი, კოხრეიძე (2ქ), ლონდარიძე (11ქ, 8მ), კორკოტაძე (9ქ, 5მ), ჩიტაშვილი (3ქ, 5მ), მათიაშვილი (31ქ, 14მ, 5პ, 2დ), მ. ბერიშვილი (19ქ, 10მ, 3პ, 2დ)

**სტუ:** ჭოხონელიძე, ვ. ბერუაშვილი (11ქ, 11მ, 3პ, 4ჩ), ჩიკვილაძე (25ქ, 4პ), ლომოური (18ქ, 6ჩ, 5მ), გასიტაშვილი (2ქ), თევზაძე (2ქ, 7მ), კობიძე (2ქ, 2დ), ჯანგველაძე (10ქ, 3პ), ლაშქარაძე, ძიძიგური (7ქ, 3პ), ახალკაცი (4ქ)

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე

**თსუ იგებს სერიას 1:0**

სტუ-ს ახალგაზრდა, ნიჭიერი უკანახაზელები ჰყავს. ფარქვეშ კი თსუ-ს ვერ გაუტოლდება. სწორედ ამიტომ, ტექნიკოსებმა ბედის ძიება სწრაფი თამაშით სცადეს, რაც თსუ-საც კარგად ეხერხება. ამიტომ, ბოლო წუთებამდე სწრაფი თამაში ვიხილეთ.

თსუ-ელები მეტოქეს მოედნის ცენტრთანვე ხვდებოდნენ, რათა ბურთის გათამაშების ან სამქულიანის ტყორცნის უფლება არ მიეცათ, ხოლო შეტევაში **რიჩარდ მათიაშვილის** იმედად იყვნენ. მან იმედები გაამართლა - 31 ქულა ჩააგდო და 14 მოხსნა მიითვალა.

სტუ-ს მხრიდან **ბექა ჩიკვილაძე** გამოირჩა - 25 ქულა, **აკაკი ლომოურმა** კი სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა: 18 ქულა (4-დან 3 ორქულიანი, 4-დან 4 სამიანი), 5 მოხსნა, 6 ჩაჭრა.

საინტერესო ფაქტის მომსწრენი გავხდით ჟურნალისტები მესამე პერიოდში: დიდ შესვენებაზე ჰაერის ჩასაყლაპად გარეთ გავედით. რომ დავბრუნდით, მატჩი განახლებული დაგვხვდა. პირველსა და მეორე იარუსს შორის იდგა ტექნიკოსთა მთავარი მწვრთნელი **ზურაბ ტომარაძე**... როგორც აღმოჩნდა, მან მსაჯის შეურაცხყოფისთვის დისკვალიფიკაცია მიიღო და სათადარიგოთა სკამის დატოვებამ მოუწია.

განმეორებითი მატჩები 5 მაისს გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**





# შვიდქულიანი

| ქუთაისი-სამედიცინო | 95:88 |
|---|---|

**29:15, 21:24, 25:22, 20:27**

**ქუთაისი:** დიდია (14ქ, 6მ), კვიმსაძე (15ქ, 7მ), ბოლქვაძე (4ქ), ბარბაქაძე (12ქ, 5მ), ცეკვავა (22ქ), ბაბუნაშვილი (14ქ), ლომინაშვილი (10ქ, 5მ), კოლუაშვილი (4ქ)

**სამედიცინო:** გულისაბედაშვილი (9ქ), ჩაჩიბაია (8ქ, 5მ), ბექაური (5ქ), დვალიშვილი (20ქ, 9მ), როჯერსი (23ქ), ს. ლეჟავა, თავართქილაძე, კეიდია (4ქ), როდუმტა (5ქ), ჭოჭუა (14ქ), ფაიქრიძე

ფლეი ოფში გასვლაზე ვინ იოცნებებდა, როცა წლების განმავლობაში ქუთაისს საკალათბურთო გუნდი საერთოდ არ ჰყავდა. თუმცა, მრავალწლიანი პაუზის შემდეგ ქუთათურები ჩემპიონატს რიხიანად დაუბრუნდნენ და არა გვგონია ახლა მხოლოდ პფლეი ოფში გასვლას დასჯერდნენ. ამის დასტურად გუშინდელი შეხვედრაც გამოდგება, რომელშიც **მალხაზ კოხრეიძის** შეგირდებმა საოცარი ბრძოლისუნარიანობა და გამარჯვებისკენ სწრაფვა გამოავლინეს. პრინციპული დაპირისპირებისადმი გულშემატკივართა ინტერესი გასაკვირი არ იყო. ქუთაისის სპორტის სასახლე თითქმის ბოლომდე გაივსო. ადგილობრივ ქომაგებთან ერთად დარბაზში „სამედიცინოს" გულშემატკივრებიც მრავლად იყვნენ. მათ ერთი სექტორი მთლიანად ეკავათ და კლუბის ფერებში შემოსილები ორგანიზებულად გულშემატკივრობდნენ საკუთარ გუნდს.

თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. ქუთათურებს ყველაფერი გამოსდიოდათ. ზუსტად წაუვიდათ სროლები **დიდიას, კვიმსაძეს** და **ცეკვავას,** რომელიც გუშინ საუკეთესო იყო რიონისპირელთა რიგებში. „ქუთაისი" 18:6 დაწინაურდა, საბოლოოდ კი პირველი პერიოდი 14 ქულიანი სხვაობით მოიგო (29:15).

მალხაზ კოხრეიძის შეგირდებმა მეორე ათწუთეულიც კარგად დაიწყეს, ცეკვავას 3-ქულიანისა და **გიგი ბარბაქაძის** 2-ქულიანი სროლების შემდეგ სხვაობა 19 ქულამდე გაიზარდა (34:15). ამის შემდეგ „სამედიცინოც" ათამაშდა, განსაკუთრებით **მიხეილ ჭოჭუას** კარგი თამაშია აღსანიშნავი. მან ამ პერიოდში 8 ქულა შესძინა გუნდს, ამას **როჯერსის** ბრწყინვალე გარჯაც დაემატა და თბილისელებმა სხვაობა შეამცირეს. აქვე უნდა ვთქვათ, რომ „მედიკოსთა" ამერიკელმა ლეგიონერმა როჯერსმა, რომელიც 23 ქულით მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო, 7 დან შვიდივე საჯარიმო სროლა გამოიყენა. ამ მხრივ 100-პროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდა მის თანაგუნდელ **აკაკი დვალიშვილს** (4-დან 4საჯარიმო).

მეორე პერიოდში აღსანიშნავი იყო ქუთაისელთა ლამაზი კომბინაცია, რომლის შემდეგაც დიდიამ პერიმეტრიდან სამქულიანი ჩააგდო. მესამე ათწუთეულში თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. სტუმართა რიგებში შეუჩერებელი იყო დვალიშვილი, მან ქულათა უმეტესობა (11) სწორედ დროის ამ მონაკვეთში მოაგროვა (სულ 20 ქულა).

მასპინძელთა რიგებში გამოსარჩევია ახალგაზრდების **ავთო ლომინაშვილის** და **თემურ ბაბუნაშვილის** კარგი თამაში. მესამე პერიოდის შემდეგ „ქუთაისი" 14 ქულით დაწინაურდა. ყველაზე დაძაბული და დრამატული მატჩის ბოლო მეოთხედი გამოდგა საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე ქუთათურები 12 ქულით იგებდნენ (88:76), მაგრამ როჯერსი, **ბექაური,** დვალიშვილი და მათი თანაგუნდელები ყველაფერს ეცადნენ, რომ საქმე გამოესწორებინათ. მატჩის დასრულებამდე 1 წუთით ადრე ჩამორჩენა 4 ქულამდეც შეამცირეს, მაგრამ შემდეგ ძალები აღარ ეყოთ. „ქუთაისი" მოტივირებული თამაშობდა და იმ დროს, როცა დაძაბულობამ პიკს მიაღწია მასპინძლებმა სასწორის თავის მხარეს გადაწონა მოახერხეს. ბოლოს კვიმსაძემ და ცეკვავამ საჯარიმოები ზუსტად სტყორცნეს და მასპინძელთა 7-ქულიანი გამარჯვება დააფიქსირეს.

**დავით კოხრეიძე**

ქუთაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

კალათბურთი. ქართველი NBA-ში



# ატლანტამ ჩიკაგო შამფურზე ააგო

თამამი სათაურია. მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ სამწვადის შამფურზე აგება მის შეჭმას არ ნიშნავს. საჭიროა კიდევ სამი ოპერაცია: ცეცხლის დანთება, ტკაცუნა ნაკვერჩხალზე შეწვა, ზედ ხახვის მოჭრა და...

„ატლანტელ ქორებსაც" ჯერ ბევრი უკლიათ „ჩიკაგოელი ხარების" გზიდან ჩამოშორებამდე - „ჰოქსი" 1:0 დაწინაურდა, მეოთხედფინალური სერია კი ოთხ მოგებამდეა. ასე რომ, „ატლანტას" ნახევარფინალამდე კიდევ სამი მოგება აშორებს.

■ ■ ■

ჯორჯიელებმა „ჩიკაგოსთან" მეოთხედფინალური სერიაც ზუსტად ისევე დაიწყეს, როგორც - მერვედფინალური („ორლანდოსთან"): ორივე შემთხვევაში პირველივე გასვლითი მატჩი მოიგეს, ორჯერვე 103-103 ქულა ჩააგდეს. ჰოდა, თუ ეს იმის მინიშნებაა, რომ „ატლანტა" „ჩიკაგოსთანაც" ისეთივე წარმატებით ითამაშებს, როგორც „ორლანდოსთან", ამას რა აჯობებს.

■ ■ ■

კიდევ ერთი დამთხვევა: **ზაზა ფაჩულიამ** მერვედფინალის პირველ მატჩშიც 8 წუთი ითამაშა და მეოთხედფინალშიც. თუმცა, ამჯერად („ბულსთან") გუნდს გაცილებით მეტი სარგებელი მოუტანა: 6 ქულა ისე ჩააგდო, რომ ერთი ტყორცნა არ აუცილებია. მესამე პერიოდის ბოლო წამზე ზაზამ ორი საჯარიმო ზუსტად ისროლა და 17:4 გაქცევას ჩაუყარა საფუძველი, რის შედეგადაც „ჰოქსი" 87:75 დაწინაურდა. სპურტისას ფაჩულიამ 6 ქულა მიითვალა და ერთი „საგოლე" გადაცემა გაუკეთა **ჯეფ ტიგს**. ლოგიკურიც იყო ოქმში ქართველის გასწვრივ დაფიქსირებული +10, რაც იმას ნიშნავს, რომ ფაჩულიას მოედანზე ყოფნისას „ატლანტა" 10 ქულით დაწინაურდა. ზაზაზე უკეთესი მაჩვენებელი მხოლოდ **ელ ჰორფორდს** ჰქონდა: +13.

...როცა „ატლანტას" წარმატების საფუძველზე ვლაპარაკობთ, ჯერ **ჯო ჯონსონი** უნდა ვახსენოთ, რომელმაც მეორე ტაიმში „სისხლმდინარ ხარს" უამრავი ჭრილობა მიაყენა, ზოგი სამქულიანი დისტანციიდან, ზოგი - ახლოდან... ჯომ 34 ქულა ჩააგდო (13-დან 7 ორქულიანი, 5-დან 5 სამქულიანი, 5-დან 5 საჯარიმო).

აქვე დავამატებთ: ტრავმირებული გამთამაშებელი **კირკ ჰაინრიხი** ღირსეულად შეცვალა ჯეფ ტიგმა (10 ქულა, 5 პასი), რომელმაც მოედანზე 45 წუთი გაატარა.

■ ■ ■

ზაზას მონაგარის გაცნობისას დავწერეთ, რომ „ატლანტა" 17:4 გაქცევის შედეგად 12 ქულით დაწინაურდა. დარჩენილ 7 წუთში „ატლანტამ" „ჩიკაგოს" თამაშის შემოტრიალების უფლება რომ არ მისცა, საბოლოო სტატისტიკიდანაც ჩანს. ისე კი მეტად არათანაბარი თამაში გამოვიდა: პირველ მეოთხედში სტუმრებს ყველაფერი გამოსდიოდათ, ჩიკაგოელებს - ბევრი არაფერი. შედეგად „ატლანტა" 28:18 დაწინაურდა. მეორე მეოთხედში **როუზისა** და **დენგის** სიზუსტის წყალობით მასპინძლები მეტოქეს მალევე დაეწივნენ. მესამე თორმეტწუთეულში მათ მხარი **ბუზერმა** აუბა და „ხარები" 66:60 დაწინაურდნენ... თუმცა ამის შემდეგ „ქორებს" მეორე სუნთქვა გაეხსნათ და სერიაში 1:0 დაწინაურდნენ.

■ ■ ■

მომდევნო მატჩი ისევ ჩიკაგოში, 4 მაისს გაიმართება. ვინც შეხვედრა ტელევიზიით ნახა, ემახსოვრება, რომ „ხარების" ლიდერმა დერეკ როუზმა ბოლო წამზე ფეხი იტკინა. როგორც თავად აღნიშნა, ტრავმა სერიოზული არ არის და მეორე მატჩში აუცილებლად ითამაშებს.

**ჩიკაგო-ატლანტა 95:103**

**ზაზა ფაჩულია:** 08:13 წუთი, 6 ქულა (2-დან 2 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 5 მოხსნა, 1 პასი, 3 ფოლი, 1 შეცდომა

**ქრონოლოგია**

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 00:22 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 00:15 | ფოლი: 1 |
| 00:14 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| **II პერიოდი** | |
| 11:24 | ფოლი: 2 |
| 11:24 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 00:56 | ზაზამ სმითი შეცვალა |
| 00:00 | საჯარიმოები: 2/2 (72:71) |
| **IV პერიოდი** | |
| 11:16 | ფოლი: 3 |
| 11:11 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 11:05 | პასი: 1 (ტიგი 2ქ, 77:71) |
| 09:46 | ორქულიანი: 4ქ (82:73) |
| 08:58 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 08:42 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 08:41 | ორქულიანი: 6ქ (84:75) |
| 07:34 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 06:00 | შეცდომა: 1 |
| 05:42 | კროუფორდმა ზაზა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**

კრივი

# დელეგატად ბაქოს ტურნირზე

საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი **ვლადიმერ ახალკაცი**, როგორც ადრე ვწერდით, ევროპის კრივის კონფედერაციის აღმასკომისა და ამავე კონფედერაციის მსაჯთა კომიტეტის წევრად აირჩიეს. ამას წინათ კი ახალკაცმა წარმატებით ჩააბარა გამოცდები და კრივის საერთაშორისო ფედერაციის (AIBA) ტექნიკური დელეგატი გახდა. მსოფლიოს მასშტაბით AIBA-ს ამ წოდების სულ რამდენიმე ადამიანია. სასიამოვნოა, რომ მათ შორის ერთი ჩვენებურიცაა. 8-15 მაისს მოკრივეთა ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე ვლადიმერ ახალკაცი დელეგატად არის მიწვეული.

ჩვენთან საუბარში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ *„ქართულ კრივს სახელმწიფოსგან ასეთი თანადგომა არასდროს ჰქონია. ეს კი გვავალდებულებს, რომ ტყავის ხელთათმანის ქართველმა ოსტატებმა ყველაფერი გააკეთონ 2012 წლის ოლიმპიური ლიცენზიების მოსაპოვებლად და ლონდონში წარმატების მისაღწევად".*

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი



# ჯობავამ მოგებით დაიწყო

სარაევოში გუშინ დაიწყო მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველი დიდოსტატი **ბაადურ ჯობავაც** (რეიტინგი 2704) მონაწილეობს. იგი **არკადი ნაიდჩის** (გერმანია, 2716) შემდეგ მეორე ნომრად არის განთესილი. ასპარეზობის სტარტზე მან შავი ფიგურებით მასპინძელი **სენად კამბეროვიჩი** დაამარცხა. იმარჯვა ტურნირის რეიტინგფავორიტმაც - ჩერნოგორიელ დიდოსტატ **იოვანა ვოინოვიჩს** სძლია. წარმატებას მიაღწიეს ასევე მაღალი რეიტინგის მქონე მოჭადრაკეებმა - **კირილ გეორგიევმა** (ბულგარეთი, 2656), **ივან ივანიშევიჩმა** (სერბეთი, 2648), **იან სმიიტსმა** (ჰოლანდია, 2647), **კონსტანტინ ლუპულესკუმ** (რუმინეთი, 2638), **ლუკა ლენიჩმა** (სლოვენია, 2637), **ივან სარიჩმა** (ხორვატია, 2637).

დღეს მეორე ტურის შეხვედრები გაიმართება. ჯობავა **დალიბორ სტოიანოვიჩს** (ბოსნია-ჰერცეგოვინა, 2503) დაუპირისპირდება, ნაიდიჩი კი **თალ აბერგელთან** (საფრანგეთი, 2506) გაარკვევს ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**

ძიუდო

მეტოქეთა ბანაკი



კეიჯი სუძუკი

# იაპონელებს დიდი ჩემპიონები უბრუნდებიან

## იშიმ ძიუდოსკენ მოიხედა

სტიქიური კატასტროფით დათრგუნვილი იაპონია საკუთარ თავში ძალებს ყველაფრისთვის პოულობს და ცდილობს, თანდათან დაუბრუნდეს ცხოვრების ჩვეულ რიტმს. ამის ერთი დასტური ტოკიოში გამართული იაპონიის აბსოლუტური პირველობაა ძიუდოში, რომელმაც აგვისტოში პარიზში გასამართ მსოფლიოს პირველობაზე მძიმე წონაში წამსვლელი ფალავანი გამოარკვია. ეს უფლება მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **კეიჯი სუძუკიმ** მოიპოვა.

აბსოლუტური პირველობა იაპონიაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრებაა. ამჯერად მასში 40 ძიუდოისტი გამოვიდა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მათ შორის ერთ-ერთი მსოფლიოს ჩემპიონი, ოღონდ... 66 კილოგრამში **ჯუნპეი მორიშიტაც** იყო. მართალია, ამ რანგის შეჯიბრება წონებად დაყოფას არ ითვალისწინებს, მონაწილეობაც ყველას შეუძლია და ქვედა წონების ფალავნები სხვებიც იყვნენ, მაგრამ არა მთლად ასე მჩატე წონებისა. სუძუკის, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **იასუიუკი მუნეტას**, მსოფლიოს პრიზიორ **იოჰეი ტაკაის**, მსოფლიოს ჩემპიონ **დაიკი კამიკავას**, მსოფლიოს პრიზიორ **ჰიროკი ტაჩიამას** და ამგვარ მთაკაცთა გარემოცვაში მორიშიტა აშკარად არათანაბარ სიტუაციაში იყო და აკი პირველივე შეხვედრაში მომავალ ფინალისტთან, მსოფლიოს ჩემპიონ **ტაკამასა ანაისთან** დამარცხდა.

კეიჯი სუძუკის მხარეს ცნობილ იაპონელთაგან მუნეტა, **კაზუჰიკო ტაკაჰაში**, 90 კილოგრამში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **დაიკი ნიშიამა**, რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზე თავგამოჩენილი **მასარუ მომოსე** და სხვები მოხვდნენ. თუმცა ლიდერებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს - მუნეტა პირველივე შეხვედრაში **ჰიროტაკა კატოსთან** დამარცხდა, ტაკაჰაშიმ **აკინორი ჰონგოსთან** წააგო, რომელმაც მეოთხედფინალში ნიშიამაც შეიწირა. სუძუკიმ ფინალამდე ასეთი გზა გაიარა - ჯერ **შუნი საიტოს** მოუგო, მერე - **ტაკეში ოჯიიას** და იმავე ჰონგოს.

არანაკლებ საინტერესო ამბები ხდებოდა ბადის მეორე ნახევარშიც, სადაც ფავორიტები მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები, ანაი და კამიკავა ჩანდნენ. მსოფლიოს პირველობაზე აბსოლუტურის ფინალში ფრანგ **ტედი რინერის** დამმარცხებელი კამიკავა პირველივე შეხვედრიდან გავარდა ტაკაისთან მარცხით. ტაკაიმ მეოთხედფინალში ტაჩიამასაც აჯობა, მაგრამ წააგო ნახევარფინალში ანაისთან. თავის მხრივ, ანაის შედარებით გაუმართლა - მორიშიტა ხომ მისთვის ნამდვილად ვერ იქნებოდა ღირსეული მეტოქე და ვეჭვობთ, **იუტა კანზავაც** სერიოზული ბარიერი გამომდგარიყო. აი, ტაკაის დამარცხება კი სერიოზული შედეგია.

სუძუკისა და ანაის ფინალი დაზვერვის გარეშე დაიწყო. ორივე ძალიან გამოცდილი ფალავანია, უმაღლესი დონის მოჭიდავე და ერთმანეთსაც ჩინებულად იცნობენ. ამიტომ დაზვერვა და დაკვირვება არც სჭირდებოდათ, რადგან ჭიდაობის ანბანიც ხუთი თითივით იციან და ერთმანეთის საჭიდაო სტილიც. ჩავლებებზე დაფუძნებული ჭიდაობა უშედეგოდ მანამ გრძელდებოდა, ვიდრე შეხვედრის შუაწელში ანაიმ გარეს[illegible]მის გამოდება არ მოინდომა. სუძუკი შემოტევას მომზადებული დაუხვდა და არათუ დაეჯაბნინა, იქით შეუტია, რაშიც თავისთავად ჩახვეულმა ფეხმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია - ანაიმ ფეხის გამოღება ვერ მოასწრო, სუძუკი სხეულით მიაწვა და მშვენიერი [illegible]კაურით იპონზე დასცა. ეს ძალიან ლამაზი გდება და მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო. გახარებულმა სუძუკიმ ემოცია ვერ მოთოკა და პირდაპირ ტატამზე ისე ატირდა, თითქოს დამწყებმა მოჭიდავემ პირველი სერიოზული გამარჯვება მოიპოვა. ის მაშინაც ტიროდა, როცა იაპონიის ტელევიზიას ტატამის კიდეზევე ინტერვიუს აძლევდა.

კეიჯი სუძუკი უნიკალური მოჭიდავეა იმ მხრივ, რომ ზემოხსენებული სამივე დიდი ტიტული სამ სხვადასხვა წონაში მოიპოვა. საკუთარი კოლექციის შეგროვება მან 2003 წელს მშობლიურ ოსაკაში დაიწყო, როცა აბსოლუტურ პირველობაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მომდევნო წელს უკვე ოლიმპიადა მოიგო, ამჯერად - მძიმეში, ერთ წელიწადში კი კაიროში მსოფლიოს პირველობაზე უკვე 100 კილოგრამში გაიმარჯვა. შესაძლოა, მაშინ ის მწვრთნელებმა აზარალეს კიდეც, რადგან აბსოლუტურში მას ვერ ენდვნენ და ტაკაი დააყენეს. შესაძლოა, მწვრთნელებს რაც შეიძლება მეტი ფალავნის გამოცდა სურდათ და ტაკაი ამიტომაც წაიყვანეს, მაგრამ ფაქტია, ის იქ ძალზე ცუდად გამოვიდა, სუძუკი კი მშვენიერ ფორმაში იყო.

კაიროს შემდეგ სუძუკის საქმეები, ცოტა არ იყოს, უკან-უკან წავიდა. მართალია, ის რეგულარულად იმარჯვებდა იაპონიისა თუ აზიის პირველობებზე, იგებდა სხვადასხვა რანგის საერთაშორისო ტურნირებსაც, მაგრამ პირველხარისხოვან შეჯიბრებებზე მედლები ფრიად დაუძვირდა. ამ ტურნირებზე ბოლო მედალი შარშან მოიპოვა, როცა ტოკიოში გამართულ მსოფლიოს პირველობაზე მესამეზე გავიდა. ვნახოთ, რას იზამს აგვისტოში პარიზში, სადაც მასპინძლის ფაქტორით შეგულიანებულ რინერისთან მოუწევს დაპირისპირება. ეს ორი დიდი მოჭიდავე აქამდე ერთმანეთს ორჯერ შეხვედრია, საინტერესოა, რომ ორივეჯერ მასტერსის ტურნირზე და ორივე შემთხვევაში რინერიმ იმარჯვა.

ამასობაში იაპონელ მძიმეწონოსანთა შორის კიდევ ერთი სიახლეა, რაც მთელი მსოფლიოსთვის საინტერესოა - ფრანგული წყაროების ცნობით, ძიუდოში დაბრუნებას და ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიისთვის ბრძოლას აპირებს ოლიმპიური ჩემპიონი **სატოში იში**. მან პეკინის ოლიმპიადაზე მძიმე წონაში გაიმარჯვა, მაგრამ 22 წლის სპორტსმენმა მოულოდნელად მიატოვა ძიუდო და ალმოსავლურ ორთაბრძოლებში გადაინაცვლა, სადაც შოუებში მონაწილეობდა. 30 აპრილს მან ამერიკის ღია პირველობაში იჭიდავა და აბსოლუტურ წონაში ტრიუმფითაც გაიმარჯვა. ამერიკას არ ჰყავს ძლიერი სპორტსმენები, განსაკუთრებით - ზედა წონებში, მაგრამ მაინც საყურადღებოა, რომ იშიმ ოთხი შეხვედრა გამართა და ყველა ვადამდე, წმინდა გდებით მოიგო.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს თასი

# ისინი საქართველოს ნაკრების მატჩებს მოემსახურებიან

რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) ახალ ზელანდიაში გასამართ მოსფლიოს თასზე მომსახურე მსაჯების სია დაამტკიცა. ცნობილი გახდა იმ არბიტრების ვინაობა, რომლებიც საქართველოს ნაკრების მატჩებს განსჯიან.

14 სექტემბერს ინვერქაგილში, „ბორჯღალოსნების" შოტლანდიის ნაკრებთან დაპირისპირებას ირლანდიელი ჯორჯ კლენსი განსჯის. ოთხი დღის შემდეგ კი, დანიდინში, საქართველოსა და ინგლისის ეროვნული გუნდების მატჩის რეფერი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მსაჯი, სამხრეთაფრიკელი ჯონათან კაპლანი იქნება.

28 სექტემბერს პალმერსტონში ჩვენი გუნდი რუმინეთის ნაკრებს ეთამაშება. ამ შეხვედრას ინგლისელი დეივ პირსონი წარუძღვება. ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩს ქართველი მორაგბეები პალმერსტონშივე გამართავენ არგენტინის ნაკრებთან. ამ თამაშს ჩვენთვის კარგად ნაცნობი არბიტრი, ირლანდიელი ალან როლანი განსჯის.

### საქართველო-შოტლანდია

**მსაჯი: ჯორჯ კლენსი (ირლანდია)**

ის საერთაშორისო არენაზე დიდი ხანი არაა, რაც გამოჩნდა, თუმცა მიუხედავად ამისა, საკმაოდ მალე მოიპოვა ავტორიტეტი და, სავარაუდოდ, მომავალში, ხანგრძლივი და საინტერესო კარიერა ელოდება.

ჯორჯ კლენსი 1977 წლის 12 იანვარს ლიმერეკში დაიბადა. აქვე კოლეჯის გუნდში დაიწყო რაგბის თამაში. კოლეჯის დამთავრების შემდეგ, ცხრა ნომრის პოზიციაზე თამაშობდა რაგბის კლუბ „ბრაფში".

კლენსიმ პირველი მატჩი 23 წლის ასაკში განსაჯა. იმ შეხვედრაში, 2000 წლის ოქტომბერში, რიჩმონდში, ადგილობრივი გუნდი „ჯეიროიენს" დაუპირისპირდა.

„მაგნერს ლიგაში" ჯორჯ კლენსის დებიუტი ოთხი წლის შემდეგ ჰქონდა. ხოლო საერთაშორისო მატჩების მსაჯობა პირველად 2008 წლის აპრილში ანდეს. მან „თვიქნემზე" ინგლისის ნაკრებისა და „ბარბაროსების" მატჩში, მერე ექვსი ერის თამაშებშიც დადებითად წარმოაჩინა თავი.

თუმცა, მის კარიერაში შავი ლაქაც არის. „ჰაინეკენის თასის" გათამაშების მეოთხედფინალში კლენსიმ „ბიარიცის" ხელმძღვანელები განარისხა, რადგან მეტოქე **დიმიტრი იაშვილზე** განხორციელებული დაგვიანებული შებოჭვისთვის არ დააჯარიმა. იმ მატჩში „იაში" დაშავდა და მერე, საკმაოდ დიდი დრო გაუცდა.

ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, კლენსი მაინც საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და მსოფლიო თასზე შოტლანდიის ნაკრებთან მატჩში გვიმსაჯებს.



### საქართველო-ინგლისი

**მსაჯი: ჯონათან აიზეკ კაპლანი (სამხრეთ აფრიკა)**

1966 წლის 7 ნოემბერს დურბანში, ებრაულ ოჯახში დაბადებული ჯონათან აიზეკ კაპლანი, თანამედროვე რაგბიში, ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი და, შესაბამისად, პატივსაცემი ფიგურაა. ახალ ზელანდიაში გასამართი შეჯიბრება მისთვის, რიგით მეოთხე მსოფლიოს თასი იქნება.

კაპლანმა დურბანში კოლეჯის დასრულების შემდეგ იოჰანესბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა და ჰუმანიტარული მეცნიერების ბაკალავრის ხარისხი მიიღო. მუშაობდა საკმაოდ მსხვილ კომპანიებში მარკეტინგის მენეჯერად, რომლის დიპლომის აღებაც კეიპთაუნის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ შეძლო.



კაპლანმა მსაჯობა 1984 წელს დაიწყო. საერთაშორისო ასპარეზზე მისი დებიუტი 1993 წელს შედგა ნამიბიისა და ზიმბაბვეს ეროვნული ნაკრებების დაპირისპირებისას. ის 1999 წლის მსოფლიოს თასზე გვერდითი მსაჯი იყო. 2003 წლის თასზე კი, როგორც მთავარმა მსაჯმა, ოთხი შეხვედრა განსაჯა. მათ შორის ერთი იყო მეოთხედფინალური მატჩი საფრანგეთისა და ირლანდიის ნაკრებებს შორის.

2007 წელს საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს თასზე კაპლანს უკვე ხუთი მატჩის გაძღოლა ანდეს - ოთხი ჯგუფურ ტურნირში და ერთიც ნახევარფინალში, რომელშიც ერთმანეთს საფრანგეთისა და ინგლისის ნაკრებები დაუპირისპირდა.

ჯონათან კაპლანმა არაერთ მნიშვნელოვან მატჩში იმსაჯა ზე რაგბისა და სამი ერის გათამაშებებში.

ვფიქრობთ, „ბორჯღალოსნებს" ინგლისელებთან უმძიმეს მატჩში უმაღლესი დონის რეფერი მოემსახურება.

### საქართველო-რუმინეთი

**მსაჯი: დეივ პირსონი (ინგლისი)**

ის პროფესიონალი რეფერია და მსოფლიოს ელიტარულ მსაჯთა მარაქაში შედის. დეივ პირსონი 1966 წლის 9 აგვისტოს პატარა ქალაქ მორპეთში დაიბადა. ამჟამად კი ინგლისის სამხრეთში, დაბა ეშინგტონში ცხოვრობს.

სკოლის დამთავრების შემდეგ, სადაც დეივი რაგბის ეზიარა, მან მსაჯობას სერიოზულად მოჰკიდა ხელი. თუმცა პროფესიონალი მოგვიანებით, 2002 წელს გახდა. პირსონის ინგლისის ჩემპიონატში დებიუტი იმითაა დასამახსოვრებელი, რომ ეროვნული ნაკრების მაშინდელი კაპიტანი და ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი **მარტინ ჯონსონი** გაასინბინა.

საერთაშორისო ასპარეზზე მის მიერ განსჯილი პირველი მატჩი 2005 წლის 23 აპრილს გაიმართა, რომელშიც არგენტინის ნაკრები იაპონიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდა.

მას შემდეგ ის რეგულარულად მსაჯობს უმაღლესი რანგის ტურნირებში. 2010 წელს კი თანამემამულე **უეინ ბარნსს** გაუწია ასისტენტობა „ჰაინეკენის თასის" ფინალურ მატჩში. სხვათა შორის, ბარნსი, რომელიც ქართველ გულშემატკივარს ძალიან ცუდად დაამახსოვრდა (მან 2006 წელს მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის მატჩში იმსაჯა ბუქარესტში, რუმინეთის ნაკრებთან. ბარნსი იყო მთავარი არბიტრი 2007 წლის მსოფლიოს თასზე ირალნიის ნაკრებთან შეხვედრაშიც. ბორჯღალოსნებმა ორივე თამაში წააგეს, რაშიც ინგლისელი რეფერის ხელიც ურევია), ახალ ზელანდიაში მსაჯთა სიაში ვერ მოხვდა.



იმედია, ბარნსისგან განსხვავებით, პირსონი რუმინეთის ნაკრებთან მიუკერძოებლად განგვსჯის.

### საქართველო-არგენტინა

**მსაჯი: ალან კოლმ პიერ როლანი (ირლანდია)**

ალან როლანი ქართველი ქომაგებისთვის ყველაზე კარგად ნაცნობი მსაჯია. მას არაერთხელ განუსჯია „ბორჯღალოსანთა" მატჩები. ყველაზე გამორჩეული კი 2002 წლის შემოდგომაზე რუსეთის ნაკრებთან გამართული თამაში იყო, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა 17:13 გაიმარჯვა და პირველად მოიპოვა მსოფლიოს თასზე თამაშის უფლება.

როლანი 1966 წლის 22 აგვისტოს დუბლინში დაიბადა. მისი მამა ფრანგი ემიგრანტი იყო. ამ გარემოებამ ალანი „იდეალურ ნეიტრალურ" არბიტრად აქცია, როცა ერთმანეთს ბრიტანული და ფრანგული გუნდები ეთამაშებიან.



მან რაგბი საკმაოდ მაღალ დონეზე ითამაშა და „სამყურების" შემადგენლობაში სამი კეპი მოიხვეჭა. მისი დებიუტი ირლანდიის ეროვნულ გუნდში 1990 წელს არგენტინასთან მატჩში შედგა. მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ ალანმა ხელი მსაჯობას მიჰყო.

ის საერთაშორიო ასპარეზზე 2001 წლის 19 სექტემბერს გამოჩნდა, როცა კარდიფში, „მილენიუმზე" უელსის ნაკრებმა რუმინეთის ეროვნული გუნდი 81:9 გაანადგურა.

ალან როლანმა 2003 და 2007 წლების მსოფლიოს თასის გათამაშებაში იმსაჯა. მეტიც, საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმზე მას ფინალის განსჯა ანდეს.

როლანი, რომელიც მსაჯობას დუბლინში იპოთეკური ბროკერის საქმიანობასაც უთავსებს, საქართველოს ნაკრებისთვის იღბლიანი არბიტრია. ჩვენ ეროვნულ გუნდს აქამდე მის მიერ განსჯილ შეხვედრებში არ წაუგია. იმედია, ეს ტრადიცია ახალ ზელანდიაში არგენტინასთან მატჩშიც გაგრძელდება.

ამბები

## მაიკ ბრედლიმ საქართველოს ნაკრები დატოვა



საქართველოს ნაკრების უკანახაზის მწვრთნელი, ირლანდიელი **მაიკ ბრედლი** შოტლანდიის „ედინბურგის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. შესაბამისად, ბრედლიმ საქართველოს რაგბის კავშირთან კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაწყვიტა. ბრედლიმ შოტლანდიურ გუნდთან კონტრაქტი ორი პლუს ორი სისტემით გააფორმა.

## სმიტი კაპიტანი, მეტფილდი ვიცე-კაპიტანი

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე სამხრეთ აფრიკის ნაკრებს, რომელიც წინა, 2007 წლის მსოფლიოს თასის გამარჯვებულია, ისევ შერკინების კვაჭი, **ჯონ სმიტი** უკაპიტნებს. მან „ბოკეს" შემადგენლობაში 102 კეპი მოიხვეჭა და აქედან 76 მატჩში უკაპიტნა ეროვნულ ნაკრებს. მეორეხაზელი **ვიქტორ მეტფილდი**, რომელიც ზე რაგბის ჩემპიონის, პრეტორიის „ბლუ ბულზის" კაპიტანია, ეროვნულ გუნდში ვიცე-კაპიტნად აირჩიეს.

*„სმიტი და მეტფილდი უდიდესი გამოცდილების მქონე მორაგბეები არიან და ძალიან გვიხარია, რომ სწორედ ისინი იქნებიან ჩვენი ნაკრების ლიდერები. ისინი შესანიშნავი მოთამაშეები არიან და ძალიან გაგვიმართლა, რომ მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ, მინიმუმ ერთი წელიწადი, კიდევ ითამაშებენ ნაკრების კვართით"* - თქვა „ბოკეს" თავკაცმა **პიტერ დე ფილიერსმა.**

სმიტის დებიუტი ეროვნულ გუნდში 2000 წელს შედგა. კაპიტანი კი 2003 წლის მსოფლიოს თასის შემდეგ, 2004 წლიდან გახდა.

*„სასიამოვნოა, რომ ისევ მანდეს გუნდის კაპიტნობა. ეს უწინარესად უდიდესი პასუხისმგებლობაა. ყველაფერს ვილონებთ, რომ მსოფლიოს თასზე ჩვენი ქვეყანა ღირსეულად წარმოვაჩინოთ"* - თქვა ჯონ სმიტმა.

## სიპრიანი ტულონს დაეხმარება




ინგლისური სპორტული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საფრანგეთის ელიტური, პირველი დივიზიონის ერთ-ერთი ლიდერის, **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონის" მულტი მილიონერი პრეზიდენტი **მურად ბურჯელალი** ზე რაგბის ახალი გუნდის, „მელბურნ რებლზის" ინგლისელ მგეზავ **დენი სიპრიანისთან** მოლაპარაკებას აწარმოებს.

23 წლის ინგლისელი ევროპაში შესაძლოა დროებით დაბრუნდეს, ანუ ის „ტულონს" მხოლოდ იმ პერიოდში დაეხმარება, როცა ძირითადი მგეზავი **ჯონი ვილკინსონი** ეროვნულ ნაკრებთან ერთად მსოფლიოს თასზე იასპარეზებს. მსოფლიოს თასზე ითამაშებს ასევე ტულონელთა ახალი შენაძენი **მეთ გიტო**, არგენტინელი ფელიპე კონტეპომი კი „სტად ფრანსეში" გადასვლას აპირებს.

## ის დაბრუნდა

ზე რაგბის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტურილა დარჩა. ფავორიტები უკვე გამოიკვეთნენ, თუმცა ვერაფრით ვიტყვით, რომ მათ შორის რომელიმე ახალი გუნდია. მე-11 ტურში მხოლოდ ერთი ლიდერი ბრისბენის „რედსი" დამარცხდა და, შესაბამისად, საუკეთესოთა შორის მხოლოდ ერთი ბრისბენელი მოხვდა.

სამ-სამი მორაგბე მიავლინა სიმბოლურ ნაკრებში ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზმა", კეიპთაუნის „სტორმერზმა" და ბლუმფონტეინის „ჩიტაზმა". საკვირველია, მაგრამ წლეულს შესანიშნავად მოასპარეზე სიდნეის „ვორათაზიდან" მონინავეთა შორის ადგილი მხოლოდ ერთმა, შერკინების ბურჯმა **სკოპე კეპუმ** დაიკავა.

ასევე თითო-თითო მოთამაშე მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში ველინგთონის „ჰარიკენზიდან" და პრეტორიის „ბლუ ბულზიდან".

შესანიშნავად ითამაშა მე-11 ტურში პერთის „ფორსის" მესამეხაზელმა **დევიდ პოქოქმა**. ავსტრალიურმა სპორტულმა მედიამ ომახიანად შემოსძახა - „ის დაბრუნდა"!

### სიმბოლური ნაკრები

15. იზრაელ დაგი (კრუსეიდერზი), 14. ლუკ მორენი (რედსი), 13. რობერტ იბირსონი (ჩიტაზი), 12. იან დე ფილიერსი (სტორმერზი), 11. ზაკ გილფორდი (კრუსეიდერზი), 10. აარონ კრადენი (ჰარიკენზი). 1. კონი ოსტჰუიზენი (ჩიტაზი), 2. კორი ფლინი (კრუსეიდერზი), 3. სეკოპე კეპუ (ვორათაზი), 4. რეინარდ ესტადტი (სტორმერზი), 5. ვიქტორ მეტფილდი (ბლუ ბულზი), 6. ჯერომ კაინო (ბლუზი), 7. დავიდ პოქოქი (ფორსი), 8. დუეინ ვერმიულენი (სტორმერზი).

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

## უცხოური სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი


ჯონ ჰიგინსი

# ოთხგზის ჰიგინსი

შოტლანდიელი **ჯონ ჰიგინსი** მეოთხედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ჩვენი წინა მიმოხილვა მაშინ შევწყვიტეთ, როცა მეორე ფინალისტი - ინგლისელი **ჯად ტრამპი** ორი სესიის შემდეგ წინ იყო - 10:7. მატჩის მომდევნო ორ ნაწილში საკითხი ასე იდგა - ინგლისელის ფსიქოლოგიური უპირატესობა გადაწონიდა თუ შოტლანდიელის გამოცდილება?

უკვე მესამე სესიაში ამ კითხვას მკაფიო პასუხი გაეცა. თუმცა დღის დასაწყისში თამაშის ხასიათი შენარჩუნებული იყო და მეტოქეები მოგებულ ფრეიმებს ცვლიდნენ. როგორც კი ჰიგინსმა შეამცირა სხვაობა, ჯადმა მაშინვე აღადგინა სტატუს-კვო 104-ქულიანი სენჩურის წყალობით. ამის შემდეგ იყო ჯონის 97-ქულიანი ბრეიკი და უფრო გრძელი სერია (99 ქულა) ტრამპისგან - 12:9.

ამ სესიაში და მთლიანად მატჩში გადამწყვეტი აღმოჩნდა 22-ე პარტია. 47 ქულაზე იძულებითი გაჩერების შემდეგ ტრამპმა ფრეიმის მოგების ბრწყინვალე შანსი მიიღო. მაგრამ ამისთვის მას რთული ცისფერი ბურთი უნდა ჩაეგდო. სავარაუდოდ, 21 წლის ინგლისელს არ უნდა გაერისკა, ის კი შეტევაზე წავიდა... ვერ ჩააგდო და ისე გამოვიდა, ახალგაზრდულმა ტემპერამენტმა დაალალატა ფინალისტი. რა თქმა უნდა, ჰიგინსმა ეს საჩუქარი კარგად გამოიყენა - 10:12.

მესამე სესიის დარჩენილი ფრეიმებიც ჯონს დარჩა. მან ჯერ 93-ქულიანი ბრეიკი დააფიქსირა, 113-ქულიანი „სენჩურით“ კი ფინალში ანგარიში გათანაბრდა - 12:12.

შოტლანდიელის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო, მით უმეტეს, რომ მისი მეტოქე განადგურებული ჩანდა. შესაბამისად, ბოლო სესიის წინ ჰიგინსი იგებდა - 13:12.

მინიმალური სხვაობა იყო შენარჩუნებული მატჩის ბოლო ნაწილის პირველი ექვსი ფრეიმის შემდეგ - 16:15. 31-ე პარტია სწორედ ტრამპმა აიღო და მაშინ მან ჯერ არ იცოდა, რომ ეს მისი ბოლო წარმატება იყო ფინალში.

არადა, შემდეგი ფრეიმი სწორედ მისი კარნახით მიდიოდა, მაგრამ 33-ქულიანი სერია ვერ გააგრძელა. ჯონმა კი 50 ქულა დააგროვა და მართალია, ყავისფერი ბურთი ააცილა, პარტია მაინც მას დარჩა - 17:15.

ჰიგინსს ერთი ნაბიჯი აკლდა მსოფლიოს ჩემპიონობამდე. თავიდან უპირატესობა ისევ ტრამპს ჰქონდა - მის აქტივში 60 ქულა იყო და მიუხედავად იმისა, რომ წითელი ბურთი ააცილა, ჰიგინსს მოსაგებად ორი სნუკერი სჭირდებოდა. ამ მომენტში შოტლანდიელმა მეტოქე შეცდომაში გამოიჭირა, როცა ჯადმა ვარდისფერი ბურთი ვერ მოათავსა მიზანში. ამის შემდეგ ჰიგინსმა ეფექტური კროს-დაბლით მოათავსა ეს ბურთი ლუზაში, ამას შავიც დაუმატა და კარიერაში მეოთხე ტიტული მოიპოვა.

ახლა ჰიგინსი აღარ იყოფს მესამე ადგილს **რონი ო'სალივანთან** ტიტულების რაოდენობით - ეს პოზიცია მას ერთპიროვნულად ეკუთვნის. არადა, ერთი წლის წინ ეს სნუკერისტი ჩაწყობილ მატჩებთან დაკავშირებულ სკანდალში გაეხვია. მას შემდეგ ჰიგინსი ბევრს აღარ უყვარს და მისი მომავალი კარგა ხანი ბუნდოვანი იყო.

ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია, მამის სიკვდილი, უელსის ღია პირველობის მოგება და ბოლოს, ტრიუმფი მსოფლიოს ჩემპიონატზე - ასეთი დრამატული გამოუვიდა წელი ახლა უკვე მსოფლიოს ოთხზის ჩემპიონს.

რაც შეეხება ტრამპს, მან 21 წლის ასაკში უდიდეს შედეგს მიაღწია, მაგრამ მომავალში გაუჭირდება, რადგან მეტოქეები მას უფრო სერიოზულად მოეკიდებიან.

**ფინალი**

| | |
|---|---|
| **ჯონ ჰიგინსი-ჯად ტრამპი** | **18:15** |

### ამბები

**ტრამპლინიდან ხტომა**

## ჩემპიონი არ მიდის

ოთხზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **სიმონ ამანმა** გადაიფიქრა დიდი სპორტიდან წასვლა. შვეიცარიელმა მინიმუმ ერთი წლით გაახანგრძლივა კარიერა, ამასთან არ დაუზუსტებია, აპირებს თუ არა 2014 წელს სოჭის ოლიმპიადაზე გამოსვლას.

29 წლის ამანმა წელს მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში - დუელი წააგო ავსტრიელ **ტომას მორგენშტერნთან**. ოსლოში მსოფლიოს ჩემპიონატზე მის ანგარიშზე ერთი ბრინჯაოა დიდი ტრამპლინიდან ხტომაში.

**ბიატლონი**

## ოლემ დოლი მოიგო

ლეგენდარულმა ნორვეგიელმა ბიატლონისტმა **ოლე ეინარ ბიორნდალენმა** მონაწილეობა მიიღო BUFF Challenge 2011-ის დოლში, რომელიც დრამენის იპოდრომზე გაიმართა.

პროფესიონალების გარდა შეჯიბრებაში ტრამპლინიდან მხტომელები მონაწილეობდნენ - ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორები **იოჰან ევენსენი, ტომ ჰილდე, ბიორნ ეინარ რომორენი** და **ანდერს ბარდალი**. და, რა თქმა უნდა, ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი ბიორნდალენი, რომელიც დოლზე საპატიო სტუმარი იყო. ყოველ სპორტსმენს ეკიპაჟში პროფესიონალი ჟოკეი ახლდა.

ნორვეგიელმა და მისმა პარტნიორმა **გუნარ აუსტევოლმა** პირველი ადგილი დაიკავეს.

### კალათბურთი. NBA პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# მარტო კობი ცოტაა

**პლეი ოფის მეოთხედფინალში ოთხივე წყვილში ჩატარდა პირველი მატჩები და მხოლოდ „მაიამიმ“ შეძლო საკუთარ მოედანზე გამარჯვება. დანარჩენ სამ შეხვედრაში უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო.**

**დასავლეთი**

| **ლეიკერსი-დალასი** | **94:96** |
|---|---|

**23:25, 30:19, 25:27, 16:25**

ლ: ბრაიანტი (36+5 მოხსნა), გასოლი (15+11 მოხსნა+7 პასი), ოდომი (15+12 მოხსნა), ფიშერი (8+6 პასი), ბინუმი (8+5 მოხსნა), ბრაუნი (6), ბარნსი (4+5 მოხსნა), არტესტი (2).

დ: ნოვიცკი (28+14 მოხსნა), ტერი (15), ჩენდლერი (11+9 მოხსნა), მერიონი (10), სტოიაკოვიჩი (10), ბარეა (8+5 პასი), კიდი (7+11 პასი+5 მოხსნა), ბრიუერი (5), ჰეივუდი (2).

**სერია: 0-1**

მატჩის წინ თითქმის ყველა ამერიკელი ექსპერტი იმაზე თანხმდებოდა, რომ ამ სერიაში „დალასი“ მაქსიმუმ ორი მატჩის მოგებას თუ შეძლებდა. საინტერესოა, პირველი მატჩის შემდეგ რა განცხადებებს აკეთებენ ისინი. ასეა თუ ისე, „ლეიკერსმა“ ზუსტად ისე დაიწყო მეორე რაუნდის სერია, როგორც პირველი - საშინაო წაგებით.

სტუმრებისთვის მნიშვნელოვანი იყო გასაქანი არ მიეცა „ლეიკერსის“ მაღლებისთვის - **პაუ გასოლისთვის, ლამარ ოდომისთვისა** და **ენდრიუ ბინუმისთვის**. „მავერიქსის“ წინა ხაზი ამ ამოცანას დამაჯერებლად გაუმკლავდა. ეს, პირველ რიგში, **ტაისონ ჩენდლერს** ეხება, რომელმაც არა მარტო გააძევა ფარქვეშიდან ბინუმი, არამედ სერიოზულად გაურთულა საქმე გასოლს, რის გამოც შეხვედრის ბოლოსკენ ესპანელი აშკარად გამოფიტული ჩანდა. საბოლოოდ, პაუმ მონაწილეობა მიიღო ეპიზოდში, რამაც მისი გუნდის მარცხი განაპირობა.

ასევე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო რეზერვისტების როლი. აქ გამარჯვება სტუმრებს დარჩათ. თუ ოდომს არ ჩავთვლით, მასპინძლების სათადარიგოებმა მინიმალური სარგებლობა მოიტანეს, „დალასის“ სკამის მონაგარი კი 40 ქულა იყო.

რაც შეეხება გუნდის ლიდერების დაპირისპირებას, ფაქტია, რომ „ლეიკერსმა“ ვერ შეძლო **დირკ ნოვიცკის** შეჩერება, თანაც გერმანელს სათანადო მხარდაჭერა ჰქონდა პარტნიორებისგან. დირკმა ბოლო მეოთხედში 11 ქულა დააგროვა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში **შონ მერიონი, ჯეისონ ტერი, პეჯა სტოიაკოვიჩი**, ჩენდლერი და **ჯეისონ კიდიც** კარგები იყვნენ. „ლეიკერსში“ კი ბოლო 5 წუთი მხოლოდ ერთი კაცი თამაშობდა - **კობი ბრაიანტი**. არადა, მატჩის ბოლოსთვის კალიფორნიელთა ლიდერი აშკარად დაღლილი ჩანდა და ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა.

საფინალო სირენამდე 40 წამით ადრე ნოვიცკიმ ზუსტი საშუალო ტყორცნით ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა - 93:94. საპასუხო შეტევაში კობიმ ბურთი დაკარგა და იმავე დირკმა ორი საჯარიმოთი წინ გაიყვანა „დალასი“. მასპინძლებს საკმარისი დრო ჰქონდათ გამარჯვების მოსაპოვებლად, მაგრამ გასოლმა და ბრაიანტმა კიდევ ერთხელ დაკარგეს ბურთი - კიდმა ჩაჭრა და მასზე მაშინვე დაჯარიმდნენ. გამოცდილმა პლეიმეიკერმა მხოლოდ ერთი საჯარიმო ჩააგდო - 96:94 3.1 წამით ადრე. ტაიმაუტის შემდეგ თამაშის გადარჩენა ბრაიანტს დაევალა, მაგრამ მატჩის ერთ-ერთი გმირი საბოლოოდ ანტიგმირად იქცა.

შეხვედრის შემდეგ „ლეიკერსის“ დამრიგებელი **ფილ ჯექსონი** იმის გამო ჩიოდა, თუ როგორ გაუშვა მისმა გუნდმა ხელიდან პრაქტიკულად მოგებული მატჩი: *„მესამე მეოთხედში 16 ქულით ვიყავით წინ და წაგება მოვახერხეთ. ეს უდიდესი იმედგაცრუებაა“.*

შეიძლება ძნელია დასაჯერებელია, მაგრამ ეს კლუბები ბოლო 23 წლის განმავლობაში პირველად ხვდებოდნენ ერთმანეთს.

**აღმოსავლეთი**

| **ჩიკაგო-ატლანტა** | **95:103** |
|---|---|

**18:28, 32:23, 21:21, 24:31**

ჩ: როუზი (24+10 პასი+5 მოხსნა), დენგი (21+6 მოხსნა), ბუზერი (14+8 მოხსნა+3 პასი), ნოა (11+9 მოხსნა), კორვერი (9), ბუზერი (6), უოტსონი (5), ბოგანსი (3), გიბსონი (2+3 დაფარება).

ა: ჯონსონი (34+4 პასი+3 ჩაჭრა), კროუფორდი (22+4 პასი), ტიგი (10+5 პასი), ჰორფორდი (9+13 მოხსნა+4 პასი+2 დაფარება), სმიტი (8+6 მოხსნა+4 პასი+4 დაფარება), ფაჩულია (6+5 მოხსნა), უილიამსი (5), კოლინზი (5), უილკინსი (4).

**სერია: 0-1**


კობისა და პაუს საბედისწერო შეცდომა


დერიკ როუზი

„ჩიკაგო ბულზის“ 22 წლის მცველი დერიკ როუზი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა MVP გახდა. ამ არაოფიციალურ ინფორმაციას სიტუაციასთან დაახლოებულ სანდო წყაროზე დაყრდნობით ESPN აქვეყნებს.

როუზმა თავის გუნდს რეგულარულ ჩემპიონატში 62 მატჩში გაამარჯვებინა, რითაც „ბულზი“ სეზონის საუკეთესო გუნდი გახდა. შეგახსენებთ, რომ დერიკი 2008 წლის დრაფტის

# MVP როუზი გახდა

## ჯექსონმა მემკვიდრე დაასახელა

პირველი ნომერი იყო და სადებიუტო სეზონში საუკეთესო ახალბედას პრიზი დაიმსახურა. წელს მისი საშუალო სტატისტიკა 25.0 ქულას, 7.7 შედეგიან პასსა და 4.1 მოხსნას უდრიდა.

„ჩიკაგოს“ შემადგენლობიდან სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ ბოლოს **მაიკლ ჯორდანი** დაასახელეს 1998 წელს.

■ ■ ■

ამერიკული პრესის ვარაუდით, მომავალი სეზონიდან NBA-ის ჩემპიონს „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ **ბრაიან შო** გაწვრთნის. დღეს ეს სპეციალისტი კალიფორნიულ კლუბში მთავარი მწვრთნელის **ფილ ჯექსონის** ასისტენტის მოვალეობებს ასრულებს.

*„ვფიქრობ, მთავარი მწვრთნელის შერჩევის საქმე კლუბის მფლობელთა პრეროგატივაა და ვცდილობ მათ საქმეებში არ ჩავერიო. მაგრამ პირადად მე „ლეიკერსის“ ახალ მწვრთნელად რომელიმე ჩემს თანაშემწეს ვისურვებდი“*, - ამბობს ფილ ჯექსონი, რომელსაც ამ სეზონის შემდეგ სამწვრთნელო მოღვაწეობის დასრულება აქვს გადაწყვეტილი.

# მეფეები საკრამენტოში რჩებიან

გუშინ ოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ საკალათბურთო გუნდი „კინგზი“ კვლავაც ქალაქ საკრამენტოში გააგრძელებს არსებობას. კლუბის მფლობელმა **ჯო მალუფმა** განაცხადა, რომ გუნდი მინიმუმ ერთი წელი დარჩება საკრამენტოში. „კინგზის“ მეპატრონე შანსს აძლევს ქალაქის მერს **კევინ ჯონსონს** აასრულოს დანაპირები და გუნდისთვის ახალი არენის მშენებლობაზე იზრუნოს.

*„ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ „კინგზს“ საუკეთესო გულშემატკივრები ჰყავს მსოფლიოში. მათ კლუბისთვის ურთულეს პერიოდშიც გამოხატეს მხარდაჭერა. ამიტომაც დიდი სიხარულით ვითვალისწინებთ მათ ინტერესებს.*

*საკრამენტოს მერმა ჯონსონმა პირობა მოგვცა, რომ ამ წლის განმავლობაში შემუშავდებოდა ახალი არენის მშენებლობის გეგმა. თუ მან დანაპირები არ აასრულა, იძულებული გავხდებით ერთი წლის შემდეგ დავტოვოთ ქალაქი.*

*მაგრამ ამ მომენტისთვის დარწმუნებული ვარ, რომ ერთი წლით დარჩენა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა“*, - განაცხადა ჯო მალუფმა.



ფანებს ოცნება აუხდათ

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ამჯერად უსენსაციოდ

**პირველი** ჯგუფური ეტაპის მეორე ტური ლოგიკური შედეგებით დასრულდა. ამჯერად სენსაცია არ დაფიქსირებულა, თუმცა ფავორიტებს (მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის გარდა) გაუჭირდათ გამარჯვებების მოპოვება.


ჩეხეთმა ექვსი გაიტანა

### C ჯგუფი

**აშშ–ნორვეგია 4:2**

0:2, 0:0, 4:0

**გოლები**: 0:1 ოლიმბი-1 (ჰოლტეტი-1), 0:2 ბასტიანსენი-2, 1:2 პალმიერი-1 (კრეიდერი-1, შენონი-2), 2:2 სკაილი-1 (სტეპლტონი-1, მაკდონაჰი-1), 3:2 პალმიერი-2 (შენონი-3, შატენკირკი-1), 4:2 სმიტი-2 (სტეპანი-3, ჯონსონი-1).

ნინა ტურში ნორვეგიამ 61-წლიანი დაპირისპირების განმავლობაში პირველად მოუგო შვედეთს, ახლა კი დიდი ბრძოლა გაუმართა ამერიკას და ამ უკანასკნელს ძალების უდიდესი დაძაბვა დასჭირდა იმისთვის, რომ თამაშის ბედი თავის სასარგებლოდ შემოეტრიალებინა.

ამერიკელთა სათამაშო უპირატესობა უდიდესი იყო. ოკეანისგაღმელები მუდმივად ფლობდნენ შაიბას და ბევრს ურტყამდნენ. მაგრამ თითქმის ყველა დარტყმა რთული პოზიციიდან სრულდებოდა და მეკარეს არ უჭირდა მისი მოგერიება, ხოლო, როცა **სკოტ გორდონის** შეგირდებმა პირველი პერიოდის შუაში ორი შაიბა გაუშვეს, ამერიკას ნერვიულობაც დაეტყო.

მესამე პერიოდამდე ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მაყურებელი მორიგი სენსაციის მოწმე გახდებოდა, მაგრამ ფავორიტის რიგებში აღმოჩნდა ჰოკეისტი, რომელმაც გამოაცოცხლა თანაგუნდელები. **ნიკ პალმიერიმ** ჯერ ლამაზი ფლანგური გარღვევის შემდეგ გაიტანა, მოგვიანებით რიცხობრივ უპირატესობაში გამოიჩინა თავი. ამ გოლებს შორის **ჯეფ სკაილმაც** შეაგდო, ბოლოს კი **კრეიგ სმიტმა** გააწბილა ნორვეგიელთა მეკარე **ლარს ლიუგენი.**

ურთულესმა გამარჯვებამ ამერიკას პირველი ადგილი შეუნარჩუნა და ეს გუნდი შემდეგ ეტაპზე მინიმუმ სამი ქულით გადავა.

**შვედეთი–ავსტრია 3:0**

1:0, 1:0, 1:0

**გოლები**: 1:0 პერსონი-1 (ლ. ერიქსონი-1, რ. ნილსონი-3), 2:0 პერსონი-2 (პეტრაშეკი-1, რ. ნილსონი-4), 3:0 პააიარვი-1 (პეტრაშეკი-2).

ნორვეგიასთან სენსაციური წაგების შემდეგ „ტრე კრუნურისგან" მეორე ტურში რეაბილიტაციას ელოდნენ. ასეც მოხდა, მაგრამ ფავორიტმა მაინც ვერ აიცილა თავიდან პრობლემები.

პირველივე წუთებიდან ავსტრიამ საკუთარ ზონას მიაჯაჭვა მეტოქე და ერთი პირობა დარტყმების შეფარდება 9:1 (!) იყო ამ გუნდის სასარგებლოდ. შვედეთი აშკარად დაბნეული ჩანდა. მაგრამ გოლი მაინც არ გაუშვა და მალე მეკარე **ვიქტორ ფასტის** დამაჯერებლობა წინა ხაზის მოთამაშეებს გადაედოთ. „ტრე კრუნურმა" თამაში გაათანაბრა და პერიოდის ბოლო წუთზე **ნიკლას პერსონმა** ანგარიში გახსნა.

ამ გოლმა ფსიქოლოგიურად ცუდად იმოქმედა ავსტრიელებზე, თან კლასშიც დიდი სხვაობა იყო. პერსონმა 26-ე წუთზე დუბლი გაიფორმა, **პააიარვიმ** კი მესამე 20-წუთეულში დასვა წერტილი - 3:0.

ახლა შვედეთმა უნდა ილოცოს იმაზე, რომ ავსტრიამ ნორვეგიას მოუგოს და მეორე ეტაპზე გავიდეს. ამ ვარიანტით სკანდინაველები მეორე რაუნდში მინიმუმ სამი ქულით გადავლენ, წინააღმდეგ შემთხვევაში - ერთით.

### D ჯგუფი

**ჩეხეთი–დანია 6:0**

1:0, 4:0, 1:0

**გოლები**: 1:0 ფროლიკი-1 (ჰუბაშეკი-1, ზ. მიხალეკი-1), 2:0 მ. მიხალეკი-1 (ჟიდლიცკი-1), 3:0 მ. მიხალეკი-2 (ელიაში-2, ჰავლატი-2), 4:0 ფროლიკი-2 (ჩასლავა-1, ნოვოტნი-1), 5:0 პლეკანეცი-1 (ჩერვენკა-1), 6:0 პრუხა-1 (ფროლიკი-1).

შარშანდელი ჩემპიონატის სენსაცია - დანიის ნაკრები აშკარად მოუმზადებელი შეხვდა მსოფლიო ფორუმს. პირველ ტურში ფინეთთან 1:5 წაგების შემდეგ ამ გუნდმა ჩეხეთთან მატჩიც ჩააგდო.

დაახლოებით პერიოდ-ნახევარი **პერ ბეკმანის** გუნდი ღირსეულ სხვაობას (0:1) ინარჩუნებდა, მაგრამ 32-დან 35 წუთამდე დაცვაში გარღვევამ ყველა მონდომება წყალში ჩაყარა - ამ მონაკვეთში მსოფლიოს ჩემპიონმა სამი გოლი გაიტანა. მესამე პერიოდში ჩეხეთი დამშვიდდა და მეტოქეს ზუსტი დარტყმების რაოდენობით ჩამორჩა კიდეც, მაგრამ ერთი შაიბა მაინც გაიტანა. სამი ქულა (2+1) ჩაიწერა აქტივში **მიხალ ფროლიკმა**, დუბლი შეასრულა **მილან მიხალეკმა**.

**ლატვია–ფინეთი 2:3 (ბ)**

0:1, 1:0, 1:1, 0:0, 0:1

**გოლები**: 0:1 იმონენი-2 (ვალივაარა-2, გრანლუნდი-1), 1:1 კ.რედლიჰსი-1 (მ.რედლიჰსი-2, ძერინში-1), 2:1 ვასილიევსი-1 (ციპულისი-1, პუიაჩი-1), 2:2 კაპანენი-1 (იმონენი-1, გრანლუნდი-2).

**ბულიტები გაიტანეს**: იმონენი (ფინეთი), მ.კოივუ (ფინეთი).

ჩეხეთთან შესანიშნავი თამაშის შემდეგ ლატვიელებს კიდევ ერთ უხერხულ მეტოქესთან უწევდათ ბრძოლა. ისტორიის განმავლობაში ლატვიამ ფინეთს ოციდან მხოლოდ სამჯერ მოუგო, თანაც სამივეჯერ ამხანაგურ მატჩებში. ასე რომ, ეს სტატისტიკა წესით შანსს არ უტოვებდა ბალტიისპირელთა გუნდს.

ფინეთმა ისე დაიწყო, როგორც ფავორიტს შეშვენის - ინიციატივა მოიპოვა, ორი საგოლე მომენტი შექმნა და აქედან ერთი გამოიყენა. თითქოს ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, მაგრამ ლატვია თამაშის ხარისხით არ ჩამოუვარდებოდა მეტოქეს, რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებისას კი ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. სწორედ ზედმეტი მოთამაშე გაითამაშეს **კრისტიანს რედლიჰსმა** და **ვასილიევსმა** და ლატვია წინ გაიყვანეს. გუნდი ამ უპირატესობას კარგა ხანი ინარჩუნებდა, მაგრამ ვერ გაექცა დასანან გაძევებებს. საბოლოოდ მოედნის შუაში შეცდომა **კაპანენის** გოლად დაუჯდათ და მატჩის ბედი ბულიტების სერიაში გადაწყდა.

სერია დიდი ხანი არ გაგრძელებულა. **იმონენმა** და **კოივუმ** თავიანთი პენალტები გამოიყენეს, **ნიჟივიმ** და **დარძინშმა** კი წააგეს დუელი მეკარესთან. თუ ბოლო ტურში ლატვია დანიას მოუგებს, მეორე რაუნდში ფინეთთან მოპოვებული ქულით გადავა.

## NHL პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# ბრწყინვალე ტომასი


ტომასი ყველაფერს იჭერდა

„ფილადელფიას" დამრიგებელი **პიტერ ლავიოლეტი** კვლავაც ვერ ჩამოყალიბდა ძირითად მეკარეზე. **ბუშეს**, **ლეიტონისა** და **ბობროვსკის** სამეულიდან ის არც ერთს არ უცხადებს ნდობას და შედეგად, მეკარეები თავს არც ისე დამაჯერებლად გრძნობენ. ამჯერად „ფლაიერზის" კარში ბუშე იდგა და მაინცდამაინც საიმედოდ ვერ ითამაშა. ამ მხრივ „ბოსტონს" ყველაფერი წესრიგში აქვს - გუნდის კარს **ტიმ ტომასი** იცავს და მას სრული ნდობა აქვს გამოცხადებული. მართალია, ხანდახან მასაც სჩვევია თამაშის ჩაგდება, როგორც ეს „მონრეალთან" წინა სერიის პირველ ორ მატჩში მოხდა, მაგრამ დროზე მოვიდა გონს და ახლა წინ მიუძღვის თავის გუნდს.

ტომასზე ცუდად არ უმოქმედია მეორე მატჩის კოშმარულ დასაწყისს - უკვე მეათე წუთისთვის **ვან რიმსდიკის** დუბლით მასპინძლები ორი შაიბით იგებდნენ. ამის შემდეგ „ფილადელფიამ" პერიოდის მშვიდად დასრულება გადაწყვიტა, მაგრამ შუა ზონაში რამდენიმე შეცდომა დაუშვა და ანგარიში 2:2 გახდა. მეორე გოლში ბუშეს შეცდომა იყო - საშუალო მანძილიდან **მარშანის** დარტყმა უნდა მოეგერიებინა.

ამის შემდეგ გოლი დიდი ხანი აღარ გასულა. „დათვების" მეკარეს პირველ ორ პერიოდში ბევრი საქმე ჰქონდა, მაგრამ ეს არაფერია იმ შტურმთან, რომელიც „ფილადელფიამ" მესამე 20-წუთეულში მოაწყო. ამ დროის განმავლობაში მასპინძლებმა 22 ზუსტი დარტყმა შეასრულეს და ტომასი ყველას გადაელობა, სულ კი მის ანგარიშზე 52 „სეივი" იყო. მან უვნებელყო ორი პირისპირ გასვლა და საფინალო სირენასთან ერთად ნახტომში მოიგერია **ბრიერის** დარტყმა.

ტომასის შემდეგ მატჩის მეორე გმირი „ბოსტონის" ჩეხი ლეგიონერი **დავიდ კრეისი** გახდა. ოვერტაიმის მე-14 წუთი მიდიოდა, როცა მასპინძელთა მცველმა **კიმო ტიმონენმა** უწყინარ სიტუაციაში ვერ გააჩერა თავის ზონაში შაიბა, მას **ნათან ჰორტონი** დაეუფლა, რომელმაც კრეისის გადააწოდა და ჩეხმა შანსი ხელიდან არ გაუშვა.

ახლა გუნდები ბოსტონში გააგრძელებენ სერიას. სტუმრად ორი მატჩის მოგების მიუხედავად, „ბრუინზს" გარანტირებული არაფერი აქვს. კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ ამ გუნდების შარშანდელი სერია, როცა „ფილადელფიამ" 0:3-დან მოიგო სერია.

### აღმოსავლეთი

**ფილადელფია–ბოსტონი 2:3 (ო)**

2:2, 0:0, 0:0, 0:1

**გოლები**: 1:0 ვან რიმსდიკი-6 (ჟირუ-11, ჟერდიოვი-2), 2:0 ვან რიმსდიკი-7 (ბრიერი-2, ტიმონენი-5), 2:2 კელი-4 (რაიდერი-2, კაბერლე-3), 2:2 მარშანი-4 (ბერჟერონი-9, რეკი-4), 2:3 კრეისი-4 (ჰორტონი-2).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევრო 2011** | |
| **UNDER 17** | |
| საფრანგეთი-ინგლისი | 2:2 |
| სერბეთი-დანია | 2:3 |
| ჩეხეთი-რუმინეთი | 1:1 |
| გერმანია-ჰოლანდია | 0:2 |
| **ევრო 2011** | |
| **UNDER 19** | |
| ნორვეგია-სერბეთი | 0:3 |
| მოლდოვა-უელსი | 0:2 |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი (ჩრ)** | |
| გისელეი-ბოსტონი | 1:0 |
| ნანიტონი-ტელფორდი | 1:1 |
| **კონფერენსი (სამ)** | |
| ჩელმსფორდი-ებსფლიტი | 1:4 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამეენლინა-იიპო | 1:1 |
| ლაჰტი-ესპოო | 3:0 |
| **ავსტრიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| კაპფენბერგი-აუსტრია (ლ) | 1:2 |
| **ისლანდია** | |
| ბრეიდაბლიკი-რეიკიავიკი | 2:3 |
| ვიკინგური-ტორი | 2:0 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| ბოლესლავი-კრომერიჟი | 1:1 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ნ. ნოვგოროდი-სიბირი | 2:1 |
| ტორპედო (ვ)-ენისეი | 0:2 |
| **პოლონეთის თასი** | |
| **ფინალი** | |
| ლეხი-ლეგია | 1:1 პენ. 5:6 |
| **სლოვენია** | |
| პუბლიკუმი-გორიცა | 3:1 |
| **უნგრეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| ზალაეგერსეგი-კეჩკემეტი | 0:0 (1:5) |
| **ბულგარეთი** | |
| ბეროე-ლოკომოტივი (პ) | 1:0 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| ალ სადი-ესტეგალი | 2:2 |
| ბუნიოდკორი-ალ ვეჰდა | 3:2 |
| პესპოლისი-ალ ითიჰადი | 3:2 |
| ემირეიტსი-ზობი | 0:1 |
| ალ შაბაბი-ალ რაიიანი | 1:0 |
| არემა-სერეზო | 0:4 |
| შანდონგი-ჟეონბუკი | 1:2 |
| კაშიმა-შანხაი | 2:0 |
| სუვონი-სიდნეი | 3:1 |
| **იაპონია** | |
| ნიიგატა-კობე | 1:0 |
| კავასაკი-ივატა | 1:0 |
| ურავა-იოკოჰამა | 0:2 |
| ვეგალტა-ფუკუოკა | 1:0 |
| კოფუ-ომიია | 1:1 |
| შიმიცუ-ჰიროშიმა | 0:1 |
| იამაგატა-კაშივა | 2:1 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| ლე მანი-როანი | 85:58 |
| ლიმოჟი-გრაველინი | 76:79 |
| ნანსი-ვიში | 76:72 |
| პარიზი-პო ორტეზი | 76:82 |
| სტრასბური-ჰავრი | 80:71 |
| ტულონი-ორლეანი | 72:76 |
| შოლე-პუატიე | 72:66 |
| შალონი-ვილერბანი | 83:82 |
| **ჰოკეი** | |
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | |
| კანადა-შვეიცარია | 4:3 (ო) |
| სლოვენია-გერმანია | 2:3 (ბ) |
| რუსეთი-სლოვაკეთი | 4:3 |
| საფრანგეთი-ბელარუსი | 2:1 (ო) |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მადრიდი** | |
| ტროიცკი-**ფ. მაიერი** | 6:4, 5:7, 4:6 |
| **ანდერსონი**-ო. როხუსი | 6:2, 6:4 |
| ლუბიჩიჩი-**სიმონი** | 5:7, 6:7 |
| **დელ პოტრო**-იუჟნი | 6:1, 3:6, 6:3 |
| **ცონგა**-რიბა | 6:4, 6:2 |
| **ბელუჩი**-ანდუხარი | 6:4, 6:2 |
| **გრანოლერსი**-დავიდენკო | 7:5, 6:2 |
| **სტახოვსკი**-ისნერი | 7:6, 4:6, 7:6 |
| რაონიჩი-**ფ. ლოპესი** | 6:4, 6:7, 4:6 |
| **ლუ**-ვერდასკო | 7:6, 7:5 |
| **გარსია ლოპესი**-დე ბაკერი | 6:2, 6:3 |
| **ფერერი**-მანარინო | 7:5, 0:6, 6:0 |
| **WTA. მადრიდი** | |
| **მატეკი**-კინგი | 6:0, 6:2 |
| ჰანტუხოვა-**სტოსური** | 6:7, 5:7 |
| **კვიტოვა**-სხეპერსი | 6:3, 6:3 |
| **ვოზნიაცკი**-იოვანოვსკი | 6:4, 6:4 |
| ა. რადვანსკა-**გაიდოშოვა** | 6:3, 3:6, 3:6 |
| **პავლიუჩენკოვა**-ბარტოლი | 7:5, 6:1 |
| **სკიავონე**-ერანი | 6:0, 2:6, 6:3 |

## TV პროგრამა

**4 მაისი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
**14:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. სტ. ეტიენი-მონაკო.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-ლევერკუზენი.
**18:00** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:00** არგენტინის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-ველესი.
**00:00** გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ვოლფსბურგი.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ტოტენჰემი.
**12:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. მაიამი-ბოსტონი. II მატჩი.
**14:30** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ტულონი-ტულუზა.
**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. II წრე. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**23:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. მაიამი-ბოსტონი. II მატჩი.
**06:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ლეიკერსი-დალასი. II მატჩი (LIVE).

**რუსთავი 2**

**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. მანჩესტერ იუნ-შალკე. საპასუხო მატჩი (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**22:30** ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. მანჩესტერ იუნ-შალკე. საპასუხო მატჩი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**09:15** ტაეკვანდო. მსოფლიოს ჩემპიონატი. კორეა (LIVE).
**03:45** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**18:55** რუსეთის ჩემპიონატი. ნიჟნი ნოვგოროდი-კრასნიე კრილია (LIVE).
**04:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ჩიკაგო-ატლანტა. II მატჩი (LIVE).

**SPORT+**

**18:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III წრე. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).

**EUROSPORT**

**18:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**13:30** ფეხბურთი. აზიის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. მელბურნი (ავსტრალია)-გამბა ოსაკა (იაპონია) (LIVE).
**22:30** ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი



ევანდერ ჰოლიფილდი

# დევიდ ჰეი: ბრძოლა იქნება!

სუპერმძიმე წონაში WBA-ის ჩემპიონმა დევიდ ჰეიმ დააწყნარა კრივის მოყვარულები - ბრიტანელის ბრძოლა IBF-სა და WBO-ის ჩემპიონ **ვლადიმერ კლიჩკოსთან** აუცილებლად გაიმართება. ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლის თაობაზე აჟიოტაჟი მას შემდეგ ატყდა, რაც გაუქმდა ამ კვირას მომავალი ჩხუბისადმი მიძღვნილი ორი პრესკონფერენცია, რომელიც ლონდონსა და ჰამბურგში უნდა ჩატარებულიყო.

აი რა დაწერა Twitter-ზე თავის მიკრობლოგში ჰეიმ: *„ამ კვირას დაგეგმილი პრესკონფერენციები მომავალი კვირისთვის გადაიდო. ბრძოლა აუცილებლად ჩატარდება!!!“*

შეგახსენებთ, რომ ბრძოლამდე ჯერ კიდევ ორი თვეა დარჩენილი და ბევრს კიდევ არ სჯერა, რომ ნამდვილად იხილავს სუპერმძიმე წონაში ყველაზე აქტუალურ დაპირისპირებას.

■ ■ ■

სამაგიეროდ, უკვე დანამდვილებით არის ცნობილი, რომ უახლოეს უქმეებზე ორ საინტერესო ბრძოლას ვნახავთ. 48 წლის ლეგენდარული ამერიკელი **ევანდერ ჰოლიფილდი** უკვე კოპენჰაგენშია ჩასული და იქ 7 მაისს შეხვდება 46 წლის ადგილობრივ ვეტერანს **ბრაიან ნილსენს**. აქ მოყვანილი ფოტო ბრძოლის აფიშის ფონზეა გადაღებული.

■ ■ ■

რა თქმა უნდა, იმავე 7 მაისს განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიპყრობილი ფილიპინელი **მენი პაკიაოსა** და ამერიკელი **შეინ მოზლის** შეხვედრისკენ.

ამ ბრძოლისადმი მიძღვნილ ვიდეორგოლში შეინ მოზლისთან ერთად მონაწილეობა მიიღო ამერიკელის მეგობარმა გოგონამ, ფოტომოდელმა და მსახიობმა **ბელა გონსალესმა**. ამ უკანასკნელმა Fighthype.com-ისთვის მიცემულ ინტერვიუში თამამად განაცხადა, რომ მისი შეყვარებული ნოკაუტით დაამარცხებს ფილიპინელს.

*„ვფიქრობ, მენი ძალიან კარგი მოკრივეა, მაგრამ მე ვნახე მისი ბრძოლები მარგარიტოსთან და კოტოსთან და მიმაჩნია, რომ შეინს გამარჯვების კარგი შანსები აქვს, - განაცხადა გონსალესმა - არ ვამბობ, რომ ეს იოლი ბრძოლა იქნება, მაგრამ ჩემი პროგნოზით შეინი მერვე რაუნდში ნოკაუტით გაიმარჯვებს“.*



მოზლი და ბელა გონსალესი

● ამბები

**ჩოგბურთი**

## ფედერერი წასვლაზე არ ფიქრობს

შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** მადრიდის მასტერსის წინ ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ ესპანურ გაზეთს, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ არც კი ფიქრობს უახლოეს ხანებში კარიერის დასრულებას.

*„მას შემდეგ, რაც სპორტის სამყაროში მწვერვალებს იპყრობ, სურვილი გიჩნდება, რაც შეიძლება დიდი ხნით დარჩე იქ. პირადად მე იმედი მაქვს, რომ კიდევ დიდხანს შევძლებ საკუთარი თამაშით სიამოვნების მიღებას.*

*მადრიდის მასტერსისთვის კარგად მოვემზადე. განსაკუთრებული ყურადღება სპორტულ დარბაზში ფიზიკურ მომზადებას დავუთმე“*, - ამბობს ლეგენდარული შვეიცარიელი.

**ფორმულა 1**

## უებერი წასვლაზე ალაპარაკდა

„რედ ბულის“ პილოტმა **მარკ უებერმა** განაცხადა, რომ თუ მისი ამჟამინდელი გუნდი ახალ კონტრაქტს არ შესთავაზებს, მზად არის სხვა საჯინიბოში გააგრძელოს გამოსვლა. ავსტრალიელი არც კარიერის დასრულების ვარიანტს გამორიცხავს.

*„გასულ სეზონში რეალურად ვაცხადებდი პრეტენზიას საჩემპიონო ტიტულზე, - ამბობს უებერი იტალიური პრესისთვის კომენტარში. - ისევ მინდა მსგავსი ემოციები განვიცადო და ვგრძნობ, რომ შემიძლია ამის გაკეთება. „რედ ბულთან“ ხელშეკრულებას ამ წლის ბოლოს გასდის ვადა. ვფიქრობ, კონტრაქტის გაგრძელება მხოლოდ შედეგებზე არ იქნება დამოკიდებული. თუ გუნდი ჩემთან განშორებას გადაწყვეტს, ან კარიერას დავასრულებ ან სხვა საჯინიბოების შემოთავაზებებს განვიხილავ“.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ჩოგბურთი. ტურნირები

# როდიკი გრუნტზე არაფერია

მადრიდის მასტერსის მეორე დღე უიღბლო გამოდგა ორი ამერიკელი განთესილი ჩოგბურთელისთვის. **მარდი ფიშმა**, რომელმაც განთესვის მე-11 ნომერი მიიღო, თანამემამულე **ჯონ ისნერთან** წააგო. ამერიკელებმა გრუნტის კორტზეც კი მოახერხეს ჰარდის საფარისთვის დამახასიათებელი თამაში, რომელიც ორ ტაი-ბრეიკს შეიცავდა. ორივე „შემოკლებული“ გეიმი ისნერს დარჩა, რომელმაც მთელი მატჩის განმავლობაში ექვსი ბრეიკ-პოინტიდან ვერც ერთი ვერ გამოიყენა, მისმა მეტოქემ კი ოთხიდან ერთი ასეთი შანსი გარდასახა ბრეიკში, მაგრამ ეს მხოლოდ მეორე სეტის მოსაგებად ეყო.

**ენდი როდიკი** დიდად არ გამოირჩევა გრუნტის კორტებზე კარგი თამაშით, მაგრამ, ალბათ, ვალდებული იყო გაევლო იტალიელი **ფლავიო ჩიპოლას** ბარიერი. ამ მატჩში, რომელიც თითქმის სამი საათი გაგრძელდა, მეტოქეებს 10-10 ბრეიკ-პოინტი ჰქონდათ, მაგრამ აქედან ამერიკელმა მხოლოდ ორის რეალიზება მოახერხა, იტალიელმა - ორჯერ მეტის.

**მარკოს ბაღდატისსაც** რთული მატჩი ჰქონდა, მაგრამ მან მაინც მოიგო სამ სეტში **ალეხანდრო ფალასთან**. ასევე იმ დღეს გამარჯვება მოიპოვა **გაელ მონფილსმა**, რომელმაც ერთი ბრეიკ-პოინტის შანსიც არ მისცა **ივო კარლოვიჩს**.

როდიკის გავარდნის გარდა, დღის მთავარი მოულოდნელობა იყო ვეტერანი **ხუან კარლოს ფერეროს** მარცხი. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა და ATP-ის 15 ტიტულის მფლობელმა ჰოლანდიელ **ტიემო დე ბაკერთან** წააგო, რომელმაც ათი ეისის ჩაწოდება შეძლო.

■ ■ ■

ქალებს შორის ასევე ბევრი იყო სამსეტიანი მატჩი. ამ დღეს პირველი წრე სრულდებოდა და პარალელურად მეორე რაუნდში დაიწყო ურთიერთობის გარკვევა.

ტურნირზე უაილდ-ქარდით მოხვედრილმა **დინარა საფინამ** მოგებით დაიწყო მადრიდში გამოსვლა. თუმცა მისი მატჩი ესპანელ **ნურია ლაგოსტერა ვივესთან** ორი საათი და 40 წუთი გაგრძელდა. მასპინძელმა პირველი სეტის აღება შეძლო, მაგრამ რუსს ჯერჯერობით იმდენი ოსტატობა მაინც აქვს შემორჩენილი, ლაგოსტერას დონის მოთამაშეები დაამარცხოს. მეორე და მესამე სეტშიც ბრძოლა იყო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში დინარა უფრო ზუსტი აღმოჩნდა.

კიდევ ერთმა ესპანელმა და უაილდ-ქარდის მფლობელმა, წინა კვირას ეშტორილის ტურნირის ჩემპიონმა **ანაბელ მედინა გარიგესმა** უკვე პირველი წრის შემდეგ ჩაალაგა ბარგი და შინ დაბრუნდა. **ლუსი საფაროვასთან** მატჩი სამ სეტში გაიწერა. მასპინძელმა მესამე სეტის ტაი-ბრეიკამდე გაძლო, მაგრამ იქ ძალები გამოელია.

მეორე წრის ოთხი მატჩიდან ყველაზე იოლი გამარჯვება **ვიქტორია აზარენკას** ერგო. როგორც ჩანს, ბელარუსი კარგად მომზადებული შეხვდა მადრიდის ტურნირს. პირველ წრეში მან 6:0, 6:0 დაამარცხა რუსი **ვერა დუშევინა**, ხოლო შვედ **სოფია არვიდსონს** თითო სეტში თითო გეიმი დაუთმო და 45 წუთში გაიმარჯვა.

მოულოდნელი იყო გერმანელი **ანდრეა პეტკოვიჩის** წაგება ესპანელ **არანჩა პარა სანტონხასთან**, რუსებმა **მარია შარაპოვამ** და **ვერა ზვონარევამ** კი სამ-სამი სეტი მოანდომეს თავიანთი მატჩების მოგებას, თანაც ორივემ საკუთარი თანამემამულე დაამარცხა. ტურნირის მეორე ნომერმა ზვონარევამ ერთი სეტი 0:6 წააგო **ელენა ვესნინასთან**, თუმცა მომდევნო ორ პარტიაში დაამტკიცა ფავორიტის სტატუსი.



აზარენკა კარგ ფორმაშია

**WTA**

**Mutua Madrid Open**

მადრიდი (ესპანეთი). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 ევრო

**I წრე**

**ნა ლი (ჩინ, 6)**-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ) 6:4, 7:6(6); **ალისა კლეიბანოვა (რუს)**-შაარ პეერი (ისრ, 9) 6:3, 6:2; **ლუსი საფაროვა (ჩეხ)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 6:2, 2:6, 7:6(3); **რობერტა ვინჩი (იტა)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 6:4, 6:0; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) 6:3, 6:2; **დინარა საფინა (რუს)**-ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ) 5:7, 6:4, 6:3.

**II წრე**

**ვერა ზვონარევა (რუს, 2)**-ელენა ვესნინა (რუს) 0:6, 6:3, 6:3; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 4)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 6:1, 6:1; **მარია შარაპოვა (რუს, 8)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:3, 3:6, 6:1; **არანჩა პარა სანტონხა (ესპ)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 13) 6:2, 7:6(5).

**ATP**

**Mutua Madrid Open**

მადრიდი (ესპანეთი). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 ევრო

**I წრე**

**ჯონ ისნერი (აშშ)**-მარდი ფიში (აშშ) 7:6, 4:6, 7:6; **გაელ მონფილსი (საფ)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 6:3, 7:6; **მარინ ჩილიჩი (ხორ)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 7:6, 6:4; **სერგეი სტახოვსკი (უკრ)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 7:6, 3:6, 7:6; **მიკაელ ლოდრა (საფ)**-სემ კუერი (აშშ) 6:2, 6:3; **ქსავიე მალისე (ბელ)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 3:6, 6:4, 7:5; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 6:3, 3:6, 7:6; **პეპე რიბა (ესპ)**-კეი ნიშიკორი (იაპ) 6:2, 6:4; **ადრიან მანარინო (საფ)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ) 4:6, 6:4, 6:4; **ფლავიო ჩიპოლა (იტა)**-ენდი როდიკი (აშშ) 6:4, 6:7, 6:3; **ტიემო დე ბაკერი (ჰოლ)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ) 2:6, 7:5, 6:4.



ანდრე და პიტი

# ისევ იჩხუბეს

ამერიკული ჩოგბურთის ლეგენდები და ერთმანეთის დაუძინებელი მტრები - **პიტ სამპრასი** და **ანდრე აგასი** ისევ წაკინკლავდნენ. მარტში ჩატარებული საჩვენებელი მატჩის შემდეგ, რომელიც სამპრასმა ორ სეტში მოიგო, ანდრემ პიტს დაურეკა.

*„ანდრე პიტს მატჩის შემდეგ ტელეფონით დაუკავშირდა და უთხრა, რომ არ უნდა აჩქარდეს კორტზე, რადგან მატჩები უინტერესო გამოდის. კიდევ მან ის თქვა, რომ პიტი სერიოზულად არ უნდა აღიქვამდეს საჩვენებელ მატჩებს. საუბარს არცთუ ისე კორექტული დასასრული ჰქონდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სამპრასმა აპრილში არგენტინაში დანიშნული საჩვენებელი მატჩის გაუქმება მოისურვა“*, - ამბობს Tennis.com-ზე სამპრასთან დაახლოებული წყარო.

საბოლოოდ, ერთმანეთში თამაშის ნაცვლად, აგასიმ **ჯიმ კურიეს** წინააღმდეგ ითამაშა, **სამპრასმა** - მარდი ფიშის წინააღმდეგ. ასევე იტყობინებიან, რომ ყველაფერი ისე იყო ორგანიზებული, რომ აგასისა და სამპრასის გზები არსად გადაკვეთილიყო - სხვადასხვა რეისით ჩაფრინდნენ დანიშნულების ადგილზე, ერთ სასტუმროში სხვადასხვა სართულზე ცხოვრობდნენ და ერთმანეთის განცალკევებით ატარებდნენ მასტერკლასებსა და პრესკონფერენციებს.

როცა სამპრასს აგასისთან ურთიერთობაზე ჰკითხეს, პიტმა შემდეგი უპასუხა: *„ერთმანეთს ნორმალურად ვეწყობით. ადრე გვიჭირდა ურთიერთობა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მუდმივად ვხვდებოდით ერთმანეთს მსხვილ ტურნირებზე. ჩვენ აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანები ვართ - ხასიათით, თამაშის სტილით... მაგრამ ერთმანეთს ვეწყობით“.*

აგასიმ კი ასეთი კომენტარი გაუკეთა არგენტინაში თავის მოგზაურობას.

*„მომიწვიეს აქ შესანიშნავ საჩოგბურთო საღამოში მონაწილეობის მისაღებად და ვითამაშე ჩემს ძველ მეტოქესთან და მეგობართან ჯიმ კურიესთან. ამის შემდეგ ჯიმმა ხუმრობით დაამატა: „თუ პიტსაც უნდა, რომ შემდეგ ისიც დავამარცხო, ამას სიამოვნებით გავაკეთებ“*, - თქვა აგასიმ.